ქუთაისის ამხანაგობის კრებული
№ 1.

დუტუ მეგრელი.

სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან.

ქუთაისი
ტიპო-ლითოგრაფია ნ. ი. გამრეკელოვისა
1892

საცოდავნი.

I

ძვირა საღამოა. მშვენიერი მაისის ბუნება ერთობ მხიარულია და მასთან ერთად ჩვენის სოფლის ახალგაზდობაც მხიარულებს. ბანა მარტო ახალგაზდობაა? მხლა ორი ადამიანიც არ მოიძებნება მთელს ჩვენს სოფელში, რომ რასმე აკეთებდეს; ეხლა ძვირად იპოვით ვისმეს თავის სახლში, ეხლა ყველანი «ობირეში»-ში*) არიან წასულნი და იქ ატარებენ დროს. აი, მოუყრია ყველას თავი ას წლოვან ცაცხვის ქვეშ და მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობენ, თუ დღეანდელს დღეს როგორ ისიამოვნონ. ბევრი სხვა-დასხვა გვარი გასართობიც არის ეხლა აქ.

მოშორებით მოსჩანს პატარა ბიჭების გუნდი, რომლებიც ბურთის თამაშში არიან გართულნი; იმათთვის ეხლა ბურთისა და «ლელოს» მეტი არაფერი

*) «ობირეში» მეგრულათ ჭქვიან იმ ადგილს, სადაც თავს იყრიან ცეკვა-სიმღერისათვის.

არ არსებობს ქვეყანაზე. თუნდაც სულ ყველა დაიღალოს და ტანისსამოსი შემოეგლიჯოთ, მაინც არ მიატოვებენ ეხლა ისინი თამაშს, სანამ სულ არ დაბნელდება.

აგერ ყმაწვილ ვაჟებსა და ქალებს გაუკეთებიათ წრე და გაუმართავთ ციკვა-სიმღერა: ერთს მხარეზედ დამდგარან მომღერალი ბიჭები, ჩაუყენებიათ შუაში მოდაირე ქალი და გაიძახიან «რე-რო-რაშას», დანარჩენნი-კი ზოგი სცეკვავს, ზოგიც გულს იყოლიებს ი'ქათის ცქერითა და ტაშს უკრავს.

იქვე დამსხდარან უფრო ხნიერი ქალები, რომლებსაც ცეკვა აღარ შეშვენისთ და რომლებიც მხოლოდ სტკბებიან ახალგაზდათა მხიარულებით.

ოთა მოშორებით სხედან მთლათ მოხუცებული დედაკაცები, მაგრამ ცეკვა-სიმღერას აღარ უგდებენ ყურს: ესენი ათამაშებენ თავიანთ პატარა შვილი-შვილებს და ემუსაიფებიან ერთი მეორეს ყველაფერზედ, რაც-კი ენაზედ მოადგებათ.

აგერ დამსხდარან მოხუცი კაცები; ესენი-კი საქმეზედ ლაპარაკობენ. მთელს ამ გვარ გროვაში მხოლოდ ესენი იგონებენ წარსულს დღეებს და ჰფიქრობენ ხვალინდელზედ. ესენი ერთი მეორეს აძლევენ რჩევას, ერთი მეორეს ეკითხებიან. აქ საერთო სჯაა ეხლა ყველაფერზედ, როგორც მუშაობაზედ, ისე სხვა საქმეებზედაც.

ასე რომ ეხლა მთელი სოფელი—დიდი და პატარა, კაცი და ქალი აქ არის შეგროვილი და ყვე-

ლასა აქეს თავის შესაფერი საქმე. აქ ეხლა სრული ერთობა და მშვიდობა არსებობს. საკვირველიც არ არის, რადგან აქ ყველანი ერთის აზრით არიან გამსჭვალულნი. აქ ეხლა არ არის უკროსი, არ არის ბატონი, რომელსაც შეეძლოს დარღვევა იმათის სიამოვნებისა. აქ მხოლოდ ჭკუას, გამოცდილებას და მოხუცებულებასა აქვს პატივი, შიში და კრძალვა-კი არავისი არ არსებობს.

— მაშ, აღარავის გინდათ ცეკვა? დაიძახა ერთმა ახალგაზდა ბიჭმა, რომელიც შუაგულ წრეში იდგა და ქალს ითხოვდა გამოსათამაშებლად.

— არა, არა, დავიღალეთ! მიუგო რამდენმამე ქალმა.

— აბა, ბიჭებო, ფერხული ეხლა და გავათავოთ! სთქვა ისევ იმან.

— ძარგი, კარგი, ფერხული და მერე ბურთიც გაეკრათ, სთქვეს ყმაწვილებმა.

— ჩვენც გავებმით ფერხულში, სთქვეს ქალებმა და ახალგაზდებმა ჩაჰკიდეს ერთი მეორეს ხელი. ამ ნაირად გაიშალა დიდი უშველებელი წრე და შეიქმნა ორპირი, ერთიანი სიმღერა. წრის ორ მოპირისპირე მხარეზე ერთი მეორეს სიმღერით ეკამათებოდა; ერთნი «მოსათვალავ»-ს ამბობდენ და მეორენი-კი ყოველის ლექსის გათავებაზე ხმა-მაღლა ეაიძახოდნენ «ჰოოი ძაბრა»-ს. ჯერ სიმღერასაც ნელა ამბობდნენ და, აყოლებდნენ რა სიმღერას ფეხს, წრეც ნელა ტრიალებდა. მაგრამ აი ჰოუჩქარეს და მოუჩქარეს სიმ-

ღერას, სიმღერასთან ფეხიც ააჩქარეს და ქალიშვილები იძულებულნი გახდნენ დაენებებინათ წრისთვის თავი. ახალგაზდა ბიჭებიც თითქოს ამას უცდიდნენო, ერთი შესდგნენ და უეცრად დაიწყეს ჩქარი «ფერხისა». მშვენიერი სანახავი შეიქმნა ეხლა ეს მინდორი, სადაც გროვა ახალგაზდა ბიჭებისა ხმა-მაღალის სიმღერით და სწრაფის, სხვა-და-სხვა ვეარის ფეხის თამაშით ავლიდა გარეშემო. აი, თვალის დახამხამებაზედ დაეცა მთელი წრე ცალს მუხლზე და სიმღერა შეუწყვეტლად მოხდენილს დროზედ ყველანი ერთი მეორეს ბრაწებს უკეთებენ. აგერ, თვალის დახამხამებაზედვე წამოხტნენ ყველანი, თითქოს ერთი კაციაო, და რიგ-შეუშლელად მოჰყვენ ისევ ვარეშემო ხტომასა და თამაშობას.

ყველა დაიღალა, ყველას ოფლი ასკდება, მაგრამ ჯერ არც ერთი არ გამოსულა წრიდგან: ყველა ერთ ზომაზედ ირყევა და ხტის, თითქოს დიდი უზარმაზარი გველი დახვეულიყოს და იკლაკნებოდეს. ქალიშვილები, ხნიერი ქალები, პაწაწა ბავშვები, მოხუცი დედაკაცები,—ყველანი ადევნებენ ეხლა ამ თამაშობას თვალსა და სიამოვნობენ. მოხუცებულმა კაცებმაც-კი შესწყვიტეს ეხლა მუსაიჯი და მიაქცევეს ყურადღება შესანიშნავს «ფერხისა»-ს.

მაგრამ აი დაიძახა უეცრად ვიღამაც: «ბატონი მოდის, ბატონი!»-ო, და ყველანი უნებლიედ შეკრთენ. ახალხაზდა ბიჭებმა ერთი კიდევ შემოსძახეს ხმამაღალი «ჰოოი ძაბრა» და ნელ-ნელა დაიშალნენ.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე და მოესმა მხოლოდ ცხენის ფეხის ხმაურობა. ყველანი იქით იცქირებოდენ, საიდამაც ბატონი მოდიოდა. ბატონს ერთი ეიღაც გაჭალარებული რუსიც ახლდა, რომლის დანახვამ კიდეე უფრო გააკვირვა ყველანი. მხოლოდ რამდენმამე მოხუცმა იცნო ის რუსი, რომელიც ჩვენში მაზრის უფროსად ყოფილიყო ოდესმე და ეხლა ქუთაისში მსახურებდა.

ბაეიდა რამდენიმე წამი და ბატონი მოადგა ამ აქამდის მხიარულსა და ეხლა-კი შეშინებულს გროვას.

— ბამარჯვება თქვენი! დაიძახა ბატონმა და გააჩერა ცხენი. სხვებიც შესდგნენ. რუსმა მაშინვე ქალებისკენ დაიწყო ყურება.

—ღმერთმა გაგიმარჯოსთ, ბატონო! დაუძახეს მოხუცებმა და მძიმედ დაუკრეს თავი. ახალგაზდებიკი ხმას არ იღებდენ, თითქოს სჯაერობდნენ, რომ იმათს სიამოვნებას ხელი შეუშალეს.

— როგორ გაჩუმებულხართ, რა ამბავია? მიჰმართა ბატონმა ყმაწვილებსა: ჩემი შეგეშინდათ?

— არა, ბატონო! მიუგო ერთმა გამბედავმა.

— აბა რად მიატოვეთ თამაში? სთქვა ბატონმა და სიცილით უთხრა რალაცა რუსს. რუსმაც კმაყოფილებით გაიცინა.

— აბა ერთი ლეკური, ლეკური მაინც აჩვენეთ ამ უცხო კაცს! განაგრძო ბატონმა. არავინ არ ინძრეოდა.

— ბიგო, დათა, სტეფა, არა გცხვენიათ, ერთი ლეკური გვაჩვენეთ! მიუბრუნდა ბატონი რამდენსამე ახალგაზდას.

— ეი, ბატონო, ეხლაიე! უპასუხეს იმათ და დაიწყეს ფაცი-ფუცი. ბააკეთეს, როგორც იქნა, წრე, მოიყვანეს დაირის დამკვრელი და მორთეს «რე-რო-რაშა». მერე შეიქნა პატიჟი და გამოვიდა ერთი პატარა ბიჭი, რომელმაც ერთჯერ ჩამოუარა.

ბაათავა ბიჭმა ლეკური და დაუკრა თავი ბატონს.

— ბაგზარდა ღმერთმა! უთხრა ბატონმა. აბა, კიდეე, კიდეე! ეინმე კარგი მოთამაშე გამოიყვანეთ! მიუბრუნდა ბატონი სხვებს. შეიქნა კიდეე პატიჟი და რამდენისამე ხნის შემდეგ გამოვიდა ერთი ახალგაზდა. იმანაც ჩამოუარა და გაათავა უცებ.

— აარა, ასე ცოტა არ შეიძლება, განაგრძე, განაგრძე! დაუძახა ბატონმა. ქალიშვილებო, თქვენ რატომ არა თამაშობთ? მიუბრუნდა ბატონი ქალებს. ქალებს შერცხვათ, გაწითლდნენ და ჩაღუნეს თავი. აბა ჰე, ვინც უკეთესი თამაში იცის, ის გამოვიდეს! ამბობდა ბატონი. იმ ახალგაზდამ ხელ-ახლაე დაიწყო თამაში.

— ეკა გამოიყვანე, ეკა! დაუძახეს აქეთ-იქიდამ. ახალგაზდა მართლაც მივიდა ერთ ქალთან, გაუსვა იმის წინ ფეხი და დაუკრა თავი. ქალი თავჩაღუნული იდგა და ყურადღებას არ აქცევდა ამხანაგ ქალების მუჯლუგუნებს.

— ეკა, გამოდი ეკა? დაიძახეს კიდევ ეიღაცე-ებმა.

— ეგ ჩემი ნათლულია, რომ არ თამაშობს? იკითხა ბატონმა. ბამოდი ეკა, ნათლია ნუ მოგიკვდება! დაუძახა ეკას ბატონმა. ეკა კიდევ იდგა რამდენსამე ხანს და ბოლოს ძლივს გადმოდგა ფეხი. ბადმოდგა ფეხი და გაშალა ხელი; გაშალა, მაგრამ მარტო ეს ხელის გაშლა ღირდა ერთ ქალად: ყოველი იმისი მიხვრა-მოხვრა იმოდენად მშვენიერი იყო, რომ ყველა აღტაცებაში მოჰყვანდა. ყველანი სიამოვნებით უმზერდნენ ეკას, თუმცა არა ერთხელ ენახათ იმისი თამაში; მაგრამ ყველაზედ უფრო გამხიარულებული რუსი იყო. იმას, ეტყობოდა, ამისთანა თავის დღეში არაფერი ენახა; ის სულ ერთიანად თრთოდა ქუდიდამ დაწყებული დეზებამდე, კანკალებდა და ილიმებოდა. ბოლოს ველარ მოითმინა და როდესაც ეკამ გაათავა თამაში და გაწითლებული გაჩერდა, დაჰკრა ტაში და რამდენსამე ხანს «ბრავო, ბრავო!»-ს იძახდა.

— აი, ეხლა კარგი ქალი ხარ! უთხრა ბატონმა ეკას. ეკას უფრო მეტად შერცხვა და მიიმალა ქალებში.

— ივან პეტროვიჩ, აწი-კი წავიდეთ შინ, თორემ ჩაის მოგვასწრებენ! უთხრა ბატონმა რუსს და მიატრიალა ცხენი.

— მშვიდობით, მშვიდობით, ყმაწვილებო, ნახვამდის! გასძახა იმან გროვას და შემოჰკრა ცხენს მათ.

რახი. Ივან პეტროვიჩმა მიატრიალა ცხენი, მაგრამ თვალები-კი უკანა რჩებოდა. ეტყობოდა, ძლიერი ზედ-მოქმედება იქონია იმაზე ეკამ და იმისმა ლეკურმა.

II

ეკას ჩვენ სოფელში ტოლი არა ჰყვანდა. ის ყველგან პირველი იყო; უიმისოდ არც ერთი ახალგაზდათა შეკრებილება, არც ერთი «ობირეში» არ ვარგოდა. იქ, სადაც ეკა არ დაესწრებოდა, თითქოს რაღაცა აკლდა; ხაცა-კი ეკა იქნებოდა, იქ ყველაფერს სხვა ფერი ედებოდა, ყველა სიამოვნებას ჰგრძნობდა. ეკა ჩვენის სოფლის ახალგაზდობისათვის სწორეთ მზე იყო, ურომლისოდაც ბუნება ყოველთვის მოწყენილია. ნამეტნავად ჩვენი სოფლის ახალგაზდა ბიჭები ეკას ღმერთსავით თაყვანსა სცემდნენ და ეკაც ღირსი იყო ამ თაყვანის-ცემისა. ერთი იმისი დანახვა, ერთი იმისი დალაპარაკება ჟრუანტელს მოჰგვრიდა ყოველს ახალგაზდას და რა გასაკვირველია, თუ ჩვენს სოფელში ყველანი ერთად და თვითოეულნი ცალკედ სცდილობდნენ დაემსახურებინათ ეკას ყურადღება. მაგრამ ეკა ჯერ არავის ათხოვებდა განსაკუთრებით ყურადღებას და ყველას ერთ ნაირად უცქერიდა; ჯერ ერთობ ყმაწვილი იყო და იმისი გული არავის დაეტყვევებინა, მაგრამ ისიც ნამდვილი იყო, რომ ეკას ამ გვარი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა, რომ უსათუოდ შეიყვარებდა ვისმე,

შეიყვარებდა მთელის თავის არსებით. მკას ბუნება უსათუოდ მოითხოვდა სიყვარულსა და ნეტავი იმას, ვისაც მკა გააბედნიერებდა თავის სიყვარულით! ხუმრობაა, მკა ვისიმე ცოლი, ვისიმე საკუთრება გამხდარიყო? და ჩვენი ახალგაზდა ბიჭებიც ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ, რომ როგორმე მკას მოსწონებოდნენ.

ჩვენს ახალგაზდებში ერთი ვინმეც იყო, რომელსაც მკა, შეიძლება, ყველაზედ უფროც უყვარდა, მაგრამ საერთო თაყვანებაში-კი მონაწილეობას არ იღებდა. ეს ერთი ვინმე იყო ახალგაზდა მუნჯი, რომელიც ჯერ ისევ ბავშვი მოეყვანა ბატონს და თავის სახლში გაეზარდა. სადაური იყო, ან ვისი შვილი, კაცმა არ იცოდა. არც სახელი იცოდნენ იმისი და არც გვარი. მხოლოდ ეს იცოდნენ, რომ ის მუნჯი იყო და ყველანი «მუნჯია»-ს ეძახდნენ. ან-კი ვისთვის რა საინტერესო იყო იმისი ვინაობა? რამდენი ამისთანები სჭამდნენ მჭადს ბატონის სახლში, ყურადღებას ვინ მიაქცევდა? სცხოვრებდა საბრალო და არავის აწუხებდა. სამაგიეროდ, ყველას, ვინც არ დაიზარებდა მახვილობის გამოჩენას, ყოველთვის შეეძლო მუნჯიას წვალება. ნამეტურ საშინლად აწვალებდნენ მუნჯიას ბატონისას მყოფი გოგოები და ბიჭები, თუმცა არც სხვები აძლევდნენ მოსვენებას უბედურს. მთელს ოჯახში მუნჯია ყველაზე უკანასკნელი იყო და პატარა ბალღსაც-კი შეეძლო იმისი წვალება. ჰხედავდა საბრალო მუნჯი, რომ იმისთვის

პატრონი არ არის და ყველაფერს ითმენდა. აბა რა უნდა ექნა? ბრძნობდა საბრალო არსება, რომ ყველანი უსამართლოდ ეპყრობიან, მაგრამ ვისთვის და რა ნაირად ეთქვა რამე? სამაგიეროდ, მუნჯიაც თუ კი რომელსამე პატარა ბავშვს, რომელიც იმას გაახელებდა, მარტოდ ჩაიგდებდა ხელში, უსათუოდ ამოიყრიდა ჯავრს. მაგრამ ეს ჯავრის ამოყრა იაფად არ უჯდებოდა. ერთი რომ შემოეკრა მუნჯიას ვისმესთვის, მაგიერს ათს იმდენს გადაახდევინებდნენ: მოიყრიდნენ თავს რაც ახლო-მ.ხლო ბავშვები იქნებოდნენ და დაუშენდნენ საწყალს ჯოხებსა და ქვებს. ხანდისხან ამ გვარ ქვის სროლაში მოზრდილებიც-კი გამოიევარჯიშებდნენ... იყო საბრალო მუნჯი ამ გვარად ყველასაგან მოძულებული და რასაკვირველია, თვითონაც ყველა სძულდა. ამიტომაც საშინელი ავი გულის შეიქნა: როდესაც სადმე იყო და იკინოდნენ, საბრალოს ყოველთვის ეგონა, მე დამცინიანო და არ იცოდა, რა ექნა. შნდოდა რამე ნაირად ყველასთვის გადაეხადა სამაგიერო, მაგრამ კიდევ უფრო სკდებოდა გულზე, როცა დარწმუნდებოდა, რომ არაფერი არ შეუძლიან. ხშირად ჰნახავდით იმას მიმალულს სადმე კუთხეში და ცხარის ცრემლით მტირალს. რაზედ სტიროდა? ყველაფერზედ. ერთად ერთი წამალი იმისთვის ცრემლი იყო, ცრემლით უნდოდა მოენელებინა თავისი ნაღველი, ცრემლში უნდოდა გამოეხატა თავისი გულის ვითარება, მაგრამ საბრალოს აღარც ტირილს დააცლიდნენ ხოლმე: შე-

მოესეოდა დიდი და პატარა, როცა იმის ტირილს გაიგონებდნენ, და შეიკნებოდა ერთი ხარხარი, თითქოს მაიმუნს ათამაშებენო. მაშინ უბედური მუნჯია ერთი გულ-ამოსკვნით ამოიოხრებდა და მიაშტერებდა თავის ცრემლით ავსებულს თვალებს გარშემო მყოფთ, თითქოს ეუბნებაო: «რა გინდათ ჩემგან, რატომ არ დამაყენებთ? რას მერჩით, განა მეც თქვენისთანა არა ვარ?»-ო მაგრამ სად იყო კაცი, რომ ეს გაეგო?

მაგრამ არა, იყო ერთი ვინმე, რომელსაც ესმოდა მუნჯიას ტანჯვა: ეს ერთი ვინმე იყო ეკა და რა გასაკვირველია, თუ მუნჯიაც ეკას ყველას ამჯობინებდა.

ეკა, როგორც ბატონის ნათლული, ხშირად დადიოდა ხოლმე ბატონისას ქალბატონთან და მხოლოდ ის იყო ერთად-ერთი არსება, რომელსაც მუნჯია ეცოდებოდა. ეკას მეტად ჩვილი გული ჰქონდა და ყველა დამცირებული, დატანჯული ებრალებოდა; ნამეტურ თუ ჰხედავდა, რომ საწყალს კიდევ უფრო ცუდად ეპყრობიან, მაშინ მზად იყო თვითონ აეტანა ყოველივე სატანჯველი, ოღონდ სხვის წვალებისათვის-კი არ ეყურებინა. ამ გვარადვე საშინლად ებრალებოდა ეკას ყველასაგან დაჩაგრული, ბუნებისაგან დასჯილი მუნჯია და ეს სიბრალული სიყვარულს ესაზღვრებოდა. მუნჯიაც, რასაკვირველია, ჰგრძნობდა, რომ ეკა იმას სხვასავით არ უყურებდა, და თავის მხრით გაგიჟებით უყვარდა ეკა. მუნჯია ეკას

ადამიანად არა რაცხდა; იმისთვის ეკა ღმერთი იყო. ან-კი განა შეეძლო მუნჯიას ეკა სხვებისათვის შეედარებინა, როდესაც სხვებისა და ეკას შორის ასეთი განსხვავება იყო? როცა მუნჯია ეკას ჰხედავდა, მაშინ იყო მხოლოდ კმაყოფილი. მთელი სახე დაუწყებდა სიცილს და თვალები მიშტერებული ჰქონდა ეკასაკენ; ლოყები და ტუჩები წამოუწითლდებოდა, თითქო ცეცხლი ეკიდებაო, და მთელი სხეული ეერხვის ფურცელსავით დაუწყებდა კანკალს. იმის სიამოვნებას მაშინ საზღვარი არა ჰქონდა და ძაღლივით დაიწყებდა ხოლმე წკმუტუნს. საკვირველია, რომ ეკა ყოველ მუნჯიას სურვილს ადვილად მიხვდებოდა და თვითონაც ყველაფერს უცებ გააგებინებდა, რაც უნდოდა. მშვენიერი სანახავი იყო, როცა ეს ორნი მარტოკა იყვნენ და ერთი მეორეს ემუსაიჯებოდნენ. მაგრამ სხვას ეს გულ-გახსნილი და არა ჩვეულებრივი საუბარი სიცილადაც არა ჰყოფნიდა. ნამეტნავად ქალები საშინლად დასცინოდნენ ეკას და მუნჯიას საცოლოს ეძახდნენ, მაგრამ ეკა არავის ყურადღებას არ აქცევდა. ეკამ იცოდა, რომ მუნჯიასათვის სასიამოვნო იყო იმასთან ყოფნა და არ უნდოდა ეს ერთად-ერთი სიამოვნება მაინც მოეკლო საბრალოსათვის.

III

მათენდა მეორე დილა. ბ-ნი ივანე პეტრეს ძე ახალი ამდგარი იყო და აივანზე ბოლთასა სცემდა.

ულეაშები ოდნავ უცინოდნენ. მტყობოდა, რაღაც სასიამოვნო რაზედმე ჰფიქრობდა და იმით მხიარულ-ული იყო. მართლაც, ამ დროს იქ ვინმე ყოფილიყო, აი რას გაიგონებდა, რადგან ივანე პეტრეს ძე იმდენად გაეტაცნა სასიხარულო ფიქრს, რომ თითქმის ხმამაღლა ლაპარაკობდა;

— არა, მე იმისთანა ჩემს დღეში არა მინახავს-რა! ამხელა კაცი გაეზდილვარ და ეს პირველი ნახვა იყო იმისთანა მშვენიერების. ჰმ, ან რა მკლავები აქვს, ან რა კისერი, რა ლოყები!.. თვალები ხომ სულ ცეცხლს აფქვეს!.. ოჰ!—რაღაც სხვა ნაირად გააქ-ნია ხელი ბ-ნმა ივანე პეტრეს ძემ და სახე დაღმი-ფა.—უსათუოდ უნდა ვიშოვო იგი, მაგრამ რა ნაი-რად?.. მმმ... ყიდვა არ შეიძლება... რა უთხრა იმას, ვიღაცამ ბატონ-ყმობა მოსპო!.. ეხლა რომ ბატონ-ყმობა იყოს, რა მიჭირს? მიეცი ამდენი და ამდენი და ის, ვინც გინდა, შენია. ვინ იცის, რამდენი «ასულ-ნი კოლხიდისანი» მიშოვნია ამ ნაირად და ეს-კი... მმმ...

ამ დროს გამოვიდა აივანზედ ბ-ნის ივანეს მხლე-ბელი მახთა ძიმწარია, რომელიც სამეგრელოდამ წაე-ყვანა ივანეს.

— ოო, მახთა, შენა? ჰკითხა ივანე პეტრეს ძემ.

— დიახ, მე გახლავარ, ბატონო,—მიუგო ჩვეუ-ლებრივის ღიმილით მახთამ, რომელიც ყოველთვის იღიმებოდა, როცა თავის უფროსს ელაპარაკებოდა.

როგორა სჯობს მაშ, ვახთა, იმ საქმის, წუხელის რომ ელაპარაკობდით? ვერაფერს ვერ მოვახერხებთ?

— არაფერია, ბატონო, მოვახერხებთ,—სთქვა და ჩაიცინა ვახთამ.

— როგორ, როგორ, მე ნუ მოგიკვდე? მითხარი!...

— სულ ადვილად, ბატონო. ბ-ნს ივანეს სახე გაუბრწყინდა და არ იცოდა, რა ექნა სიხარულით.

— რა ნაირად, ვახთა, ა?.. რა ნაირად მოვახერხებთ? მივარდა თავის ვახთას.

— აი, ბატონო, მე რა ვიფიქრე წელან და, სწორე უნდა მოგახსენოთ, მშვენიერი ფიქრიც არის.

ბ-ნი ივანე სმენად გადაიქცა.

— თქვენ,—ლიმილით განაგრძო ვახთამ,—უთხარით ბატონს, რომ ერთი ვინმე ახალგაზდა ქალი გინდათ შვილობილად აიყვანოთ. ბატონმა იცის, რომ თქვენ ცოლი გაგდებული გყავთ და უთხარით, რომ მოხუცდით, მომველელი გჭირდებათ და იმისი ნათლული მოგწონთ. რა გენაღვლებათ, დაუმატეთ ისიც, რომ, როცა გათხოვებას მოინდომებს, თქვენ გაათხოვებთ და ყველაფერს იმას უანდერძებთ. არც ბატონს ეწყინება ეს საქმე და არც მკას დედ-მამა იტყვის ამაზედ უარს, რადგან ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, შვილად აყვანას დიდი პატივი აქვს. ამაზედ უკეთესს ვერაფერს მოვიგონებთ, ბატონო.

ეს სთქვა და გაჩუმდა ვახთა, მხოლოდ იმისი ტუჩები კვლავ ღიმებოდა სატანურად.

— ოჰ, ჩემო ვახთა, ეგ სწორეთ მშვენიერი აზრია!—წამოიძახა ბ-ნმა ივანემ, რომელსაც თვალის წამწამებმაც-კი დაუწყეს თამაში.—მაშ შენ დარწმუნებული ხარ, რომ ამაზედ უარს არ გვეტყვიან, ჰა?

— დარწმუნებული ვარ, ბატონო, მაგრამ ცოტა რამ «ფეშქაშს» შეჰპირდით ქალბატონს და ის უსათუოთ დაიყოლებს მკას. ჩემის მხრით რაც შემეძლება, იმის დედ-მამას ეურჩევ ძალიან და მგონია, კიდეც დაეთანხმენ.

— აბა შენ იცი, ჩემო ვახთა, და, თუ კაცი ვარ, მე ვიცი შენი პატივის-ცემა.

— დიდი მადლობელი გახლავარ, ბატონო, უთხრა ვახთამ და მძიმეთ დაუკრა თავი. ამ დროს გამოვიდა აივანზედ ქალბატონი და მიესალმა ივანე პეტრეს ძეს.

— აბა, ვახთა, ჩაი უბრძანე!—უბრძანა სახლის პატრონმა ვახთას, რომელიც სწრაფად გაჰქრა ბრძანების შესასრულებლად.

— სხვა, ბატონო, ხომ კარგათ გეძინათ წუხელის?—ჰკითხა ქალბატონმა ბ-ნს ივანეს.

— ძი, ბატონო, მშვენივრად, მიუგო ივანემ.

— ხომ არაფერმა შეგაწუხათ?

— არა, ბატონო. ბანა ამ დალოცვილს მხარეში შეაწუხებს კაცს რამე? თქვენ არ მოძიკვდეთ თქვენს სახლში რომ ვგრძნობ თავს, ისე სხვაგან არსადა ვგრძნობ. ღმერთსა ვფიცავ, აქ სამსახლი კიდეც მერჩია, რადგან თქვენისთანა მეგობარი მე სხვა არაეინა მყავს.

ამ დროს ბატონიც გამოვიდა, ჩაიც გამოიტანეს და სამნივე წირვის დაწყებამდის განუწყვეტლად მუსაიფობდნენ. როდესაც წირვა დარეკეს, ყველანი მხიარულად გაემგზავრნენ საყდრისაკენ, მაგრამ უფრო მხიარული ივანე იყო: იმან მოილაპარაკა თავის საქმეზედ და მასპინძლებიც შეჰპირდნენ,—მოგიხერხებთ, რაცა გსურთო.

IV

იმ დღესაც დღესასწაული დღე იყო, და საყდარში ბევრი ხალხი მოგროვდა. როდესაც წირვა გათავდა, მასპინძლები და ივანე პეტრეს ძე დასხდნენ ცაცხვის ძირში და მუსაიფი დაიწყეს. მოხუცი გლეხ-კაცები მიდიოდნენ იმათთან და მოწიწებით თავს უკრავდნენ, როგორც ბატონებს, ისე ივანე პეტრეს ძეს.

— რასა იქთ, ხომ ყოჩაღადა ხართ?—ჰკითხა ბატონმა ივანემ გლეხებს.

— ბახლავართ ღვთისა და ბატონის წყალობით გვარიანად, მიუგო რამდენმამე ხმამ.

— ჰაი, შვილებო, რაღა გიჭირსთ? ბატონისაგან განთავისუფლდით და ყველაფერი, მაგრამ თქვენ მაინც კარგი ბატონი გყავდათ, არც მაგის ხელში იყავით გლახად.

— აცოცხლა ღმერთმა! როგორიც ბატონი ეგ იყო ჩვენთვის, ჩვენც იმისთანა ყმები ვიყავით მაგისთვის, მიუგო ერთმა მოხუცმა.

— ჰო, თქვენი ბატონი მაინც არ უნდა დაი-

ეიწყოთ, სამსახური კიდევ გჭართებთ.

— რაც შეგვიძლიან, საჰსახური, როგორც არ დაგვიკლია, არც აწი დავაკლებთ, მიუგო გლეხმა.

— სხვა ხომ არაფერმა შეგაწუხათ? როგორი მოხელენი გყავთ?

— თქვენისთანა-კი ვერ არიან, ბატონო, და ისე არაფერი უჭირთ.

— ამისთანა კაცი მთელს გუბერნიაშიაც ძვირია, მაგრამ რა ექნათ, ცოტასაც უნდა დავეჯერდეთ ხანდისხან,—სთქვა ბატონმა. ეაი კაცი რომ იყო, იმიტომაც უფრო დიდ ადგილზედ გადაიყვანეს.

— იცოცხლოს და ღმერთმა ხელი მოუმართოს! ჩვენ რომ გვინდოდეს, როგორც იმისთვის სჯობდეს, ისე ამყოფოს! იმედია, არც იქიდამ დაგვტოვებს უყურადღებოდ,—სთქვა კვლავ მოხუცმა გლეხმა.

— არა, მე და ჩემჰა ღმერთმა, მე ყოველთვის მახსოვხართ გლეხები და რაშიაც-კი გამოგადგებით, ჩემს შრომას არ დავზოგავ.

მაშინ, როდესაც ძველი მოხელე და იმისი მადლობელი. გლეხები (ბატონი ივანე პეტრეს ძე, როგორც მოხელე, ბევრს თავისზე უარესსა სჯობდა) ერთმანეთს ისე ტკბილად ესაუბრებოდნენ, ქალბატონი რაღასაც გაცხარებით ეუბნებოდა ეკას, რომელიც იმის ფეხთით იჯდა. ეკას ჯერ გაუგებრობა და უკმაყოფილება დაეტყო, მაგრამ რამდენი ხანიც გადიოდა და ქალბატონიც ხელების ქნევით ამტკიცებდა თავის ნალაპარაკევს, ეკას სახე თან-და-თან

ეცვლებოდა და ბოლოს სულ გაუბრწყინდა. ეტყობოდა, ეკას სჯეროდა ის, რასაც ეუბნებოდნენ; ეტყობოდა, რომ ეკა გაიტაცა იმ მშვენიერმა, სხვა-დასხვა ფერად დახატულმა სურათებმა, რომელიც თვალწინ წარმოუდგინეს; ეტყობოდა, იმისი ნორჩი, მგრძნობიარე, მიმზიდველი გული მოჰხიბლა იმ ბედნიერებამ, რომელიც ქალბატონის სიტყვით მოელოდა; ეტყობოდა, რომ ეკას ჩაეჭდო გულში ქალბატონის რჩევა და სხვა-და-სხვა ნატვრით სავსე გონებამ მართლა ყოველ იმის ტოლისათვის მიუწდომელი ნეტარება დაუსახა თვალ-წინ. ხუმრობა ხომ არ არის! ეკა, უბრალო ყაზახის შვილი, რომელიც თითო კაბას ძლივს იცელიდა წელიწადში, ეხლა იმისთანა წარჩინებულის კაცის შვილობილი უნდა გამხდარიყო! ის ეკა, რომელსაც ჩვენის სოფლის მეტი თავის სიცოცხლეში არაფერი უნახავს, ეხლა ღირსი უნდა გამხდარიყო ძუთაისის ნახვის, იმ ძუთაისის, რომელზედაც, ვინ იცის რამდენს რასმეს ლაპარაკობდნენ! ოჰ, ვინ მოესწრება ამისთანა ბედს ეკას ტოლებში? ვის ეღირსება ეს ნეტარება? ამისთანა ბედი უფრო ჭკვიანსა და გამოცდილსაც-კი აღაფრთოვანებდა და ეკა ხომ სიხარულით ცას უნდა დასწვოდა. რასაკვირველია, ეკა თავის მხრით დაჰყვა ქალბატონის რჩევას, და ეხლა მხოლოდ იმის დედ-მამაზედ-ღა იყო დამოკიდებული თავიანთ შვილის გაბედნიერება, მაგრამ განა ისინი-კი იტყოდნენ ამაზედ უარს? რასაკვირველია, არა, 	dec რომ არ მოსწონებოდათ ეს აზრი, უარს მაინც ვერ გაჰბედავდნენ.

ქალბატონმა, როდესაც ეკაზედ ასე ადვილად გაიმარჯვა, ბატონსა და თავის სტუმარს უთხრა:

— არ წავიდეთ აწი სახლში, ბატონო?

-- ეი, ბატონო, მიუგო სტუმარმა და დააცქერდა ქალბატონს, თითქოს უნდა იმის სახეზედ ამოიკითხოს თავისი ბედი და უბედობაო. ყველანი ადგნენ და შინისკენ გაემგზავრენ. ბატონმა ივანემ ერთი კი მოიხედა უკან, რომ დაენახა ეკა, და მერე აჩქარებით იკითხა:

— რა ჰქენით, ბატონო?

— ეი, ბატონო, თანახმაა; ძალიანაც უხარიან თვითონ და არც იმისი დედ-მამა იტყვის უარს.

— წირვაზედ არ ყოფილა ღღეს იმისი არც დედა და არც მამა?

— არა. საბრალოს მამა ჰყავს ძალიან ავად და დედა ავადმყოფს ვერ მოშორებია, დები-კი იყვნენ.

— ისინიც მაგრე ლამაზები არიან, ბატონო?

— არა, ბატონო, ჩვენი ნათლული ყველაზედ უმცროსია და ყველასაც სჯობია.

— მაშ როდის შევიტყობთ ეხლა ჩვენ, იმის დედ-მამაც თანახმანი არიან თუ არა?

— ეკა შეგვატყობინებს ნასადილევს და, თუ თანახმა არ გახდნენ, მერე ან აქეთ დავიბარებ დედა მისს და ან მე თვითონ წავალ იქ.

— ოო, სწორედ კარგი იქნება, ბატონო! აბა თქვენ იცით, ეს ერთი საქმე დამაეალეთ, როგორც თქვენის ოჯახის მეგობარს, და მაგიერი მე მკითხეთ მერე.

— არაფერია, ბატონო, ეს რა დავალებაა.

ამ ლაპარაკით ისინი ეზოში შეეიდნენ. ჭალბატონი წინ-და-წინ წაეიდა, რომ სადილისათვის დაეხედა; ბატონი და ივანე წყნარად მიდიოდნენ.

ამ დროს იმათ შემოხვდათ მუნჯია, რომელიც ჭიშკრისკენ მხიარულად მიდიოდა: აქ გამოიეელიდა ეკა და იმის მზერით უნდოდა მცირედ არის მაინც, დამტკბარიყო.

აქამდე მუნჯია ეკკლესიაშიაც დადიოდა, მაგრამ ეხლა ეშინოდა, რადგან პატარა ბიჭები საშინლად ემტერებოდნენ და ამისათვის ჭიშკართან თუ ნახავდა ხოლმე ეკას.

მუნჯია ბატონმა გააჩერა და ივანეს ქება დაუწყო. მუნჯიამ ერთი უგემურად შეხედა ბატონს ივანეს, მოკაკვა საჩვენებელი თითი, ამოიოხრა და წავიდა. იმას ივანე არ მოსწონდა, თითქოს ჰგრძნობდა, რომ ის მეცილება ჩემს საყვარელს, ძვირფასს ეკასაო.

V

ჭიშკარზედ ცდა დიდხანს არ დასჭირებია მუნჯიას; შორიდამვე იცნო იმან თავისი ეკა, რომელსაც გარს ეხვია მთელი გროვა ყმაწვილ ქალების, რომელთა შორის ისე ერჩეოდა ეკა, როგორც ვარსკვლავებში მთვარე. იცნო მუნჯიამ ეკა და მორთო მხიარული წკმუტუნი, თითქოს ძალლმა დაინახა თავისი დიდის ხნის უნახავი პატრონიო.

აი კიდეც მოუახლოვდა ეკა მუნჯიას და შეხე-

და თავისის დიდრონის, გრძნობით სავსე, შავის თვალებით. მუნჯიას სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, იმას ეგონა, რომ ჩვეულებრივად მოვა ჩემთან ჩემი ეკა და მკითხავს რასმეო, მაგრამ ეკა დაუმბარდამხარდა იმას, კიდევ შემოჰხედა და აუჩქარა ფეხს. მუნჯიამ, დაინახა თუ არა, რომ ეკა აღარა ჩერდება, საზარლად დაიბღავლა, თითქო პატარა ხბომ დაუძახა დედასაო. ეკამ ერთი კიდევ შემოჰხედა და დაუძახა, რომ ეხლა შენთვის აღარა მცალიანო. მუნჯიამ გაიგო, საქმე რაშიაც იყო, და საშინლად შეწუხებული გასცქეროდა ეკას, რომელიც ისეთის აჩქარებით მიილტვოდა იმისგან. მუნჯიას სახე ისეთ ნაირად იყო ეხლა დალმეკილი, რომ იმისი ნახვა კაცს შეაშინებდა. საბრალო მუნჯია დღეს პირველად დაემდურა ეკას, იმ ეკას, რომელიც იმისთვის ციდამ ჩამოსული ანგელოზი იყო და რომელსაც ღმერთივით შეჰვაროდა.

დიდხანს იდგა მუნჯია ჭიშკარზედ და უცქეროდა მიმავალს ეკას იმ დრომდე, სანამ სულ არ მოეფარა თვალთაგან, და მერეც დიდხანს ჰქონდა მიშტერებული თვალები იქითკენ, საითაც ეკა გაჰქრა. ბოლოს გაუელვა რაღაცა ფიქრმა თავში, გაალო ჭიშკარი და უნდოდა გასულიყო. იფიქრა გულში, რომ გამოეუდგები უკან ეკას და გავიგებ, რას ნიშნავს ასეთი გულ-გრილობაო. მაგრამ ამ დროს დაინახეს მუნჯია პატარა ბიჭებმა, რომელნიც საყდრიდამ მოდიოდნენ, და მოართეს კიჟინა. ერთმა მათგანმა კიდეც მიირბინა იმასთან და მოუღერა ჯოხი, ვითომ

დასარტყმელად. ბაბრაზებულმა მუნჯიამ მოიხედა უკან, მოჰკიდა ჯოხს ხელი, მიითრია უცებ ბავშვი და დაბლუჯა ხელში.

ამ დროს მოცვივდნენ დანარჩენი ბავშვებიც და დაუშინეს მუნჯიას ჯოხი; ახლოს მისვლა-კი ვერავინ გაბედა, რადგან მუნჯია მჭეციით აბრიალებდა თვალებს. საბრალო ბავშვი თან-და-თან უმატებდა ყვირილს და დანარჩენმა ბავშვებმაც მოართეს საზარელი ღრიალი. ბავშვების ყვირილზედ გამოცვივდნენ ბატონის სახლიდამ ბიჭები, სხვებიც მივიდნენ და მიესივნენ მუნჯიას, მაგრამ ადვილი არ იყო მუნჯიას ხელიდამ ბავშვის გამოგლეჯა. ის გააფთრებული დასჩერებოდა თავის მსხვერპლსა, თითქოს უნდა თვალებით გადაყლაპოს საბრალოეო. ამ გვარად გამხეცებული მუნჯია ჯერ არასოდეს არ ყოფილიყო და ყველას უკვირდა, ვინ მისცა ამდენი ღონე ამ საცოდავს არსებასაო.

ძლივ-ძლივობისას გამოართვეს ბავშვი მუნჯიას, მაგრამ ახლა იმისი დაკვება გაუჭირდათ. მუნჯია ბრდღვინავდა ტყვია ნაკრავ დათვივით და ხან ერთს მივარდებოდა და ხან მეორეს. არ იქნა, ვერას გზით ვერ გააჩერეს, თუმცა ბევრიც ურტყეს.

ბოლოს, როგორც იქნა, დაამშვიდეს და წაიყვანეს სახლში. საწყალი ადამიანი ბავშვივით ზლუქუნებდა და ისე მიდიოდა. მივიდნენ შინ და ეხლა ბატონმა და ქალბატონმა დაუწყეს ჯავრობა, მაგრამ მუნჯია არავის ყურადღებას არ აქცევდა: სტიროდა

გულ-ამომჯდარი და თხილის კაკლის ოდენა ცრემ-ლებსა ჰყრიდა თვალებიდამ.

ივანე პეტრეს ძეც მივიდა მუნჯიასთან და ფე-რაობა დაუწყო. ამოიღო ბატონშა ივანემ წერილი. თეთრი ფული და ჩაუყარა ხელში. მუნჯიამ დაჰხედა ფულს, მერე შეხედა ნაღელიანად ივანე პეტრეს ძეს, ერთი საშინლად შეჰბღაველა და გადაჰყარა ფულები.

მუნჯიამ გაშტერებით დაუწყო ცქერა, როცა ყველანი დასწვდნენ ასაღებად ფულებს, და არ იცო-და, რა ექნა. საბრალო მუნჯია!..

VI

ფახთა ძიმწარია აქამდისაც იცნობდა ეკას მამას და დღეს, როცა ბატონები და ივანე პეტრეს ძე საყ-დარში წაიდნენ, იმის სანახაოდ წაიდა. რა აზრიც ჰქონდა ფახთას, ეს ჩვენ უკვე ვიცით, მაგრამ ფახთა, როცა იქ მივიდა, თითქოს აეადმყოფი მეგობრის სა-ნახაოდ მისულიყოსო, ისე მოიქცა. უნდა გენახათ, როგორ გამხიარულდა ეკას დედა, როცა ფახთა იმათ ღარიბს ქოხში შეეიდა. იმისთვის აღდგომა გათენდა დღეს, რაკი ამისთანა დიდი კაცი ეწვია. საბრალოს ეგონა, რომ ფახთას თვითონ «ლრუბენატორიც»-კი ეკითხებოდა ხოლმე თავის საქმეებში და აი, ამისთა-ნა კაცის წეევის ღირსი გახდა დღეს იმისი ოჯახი. რა არის გასაკვირველი ამის შემდეგ, რომ ფახთას სიტყვა «წმიდა-წმიდათა» იქნებოდა იმისთვის. ფახთა-მაც, როგორც ჩინებულმა დიპლომატმა, პირდაპირ-კი არა სთქვა თავისის მისვლის მიზეზი, რომ უეცრად არ წაეხდინა საქმე. არა, იმან შორიდამ დაიწყო სიტყვა.

ᲛᲐᲮᲗᲐᲛ ᲯᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲔᲞᲠᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲧᲐᲖᲐᲮᲘᲡ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲐᲝ, ᲓᲐ ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲨᲘᲜᲢᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲡᲐᲜᲐᲢᲠᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲔᲙᲐᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲫᲛᲐ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲐ; ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ. ᲔᲙᲐᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲐᲓ ᲒᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲠᲐᲚᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ? ᲐᲮᲚᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲝᲗᲮᲘᲔᲕᲔᲡ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ, ᲝᲗᲮᲘᲔᲕᲔᲡ ᲛᲖᲘᲗᲔᲕᲘ? ᲐᲑᲐ ᲡᲐᲓ ᲐᲣᲕᲘᲓᲝᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲙᲐᲪᲘ?

— ᲔᲔᲰ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲜᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡᲐ, ᲐᲛᲝᲮᲕᲠᲘᲗ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲔᲙᲐᲡ ᲛᲐᲛᲐᲛ ᲛᲐᲮᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝᲛ, ᲠᲐ ᲔᲥᲜᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲡᲬᲕᲓᲝᲛᲝᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ.

ᲐᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲛᲐᲮᲗᲐᲡ ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲐᲘᲛᲚᲔᲠᲐ. ᲗᲔᲘᲗᲝᲜᲐᲪ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲔᲪᲐᲓᲐ, ᲘᲮᲛᲐᲠᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪᲙᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲐᲪᲓᲣᲠ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲔᲘᲓᲝᲓᲐ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲡᲐᲢᲐᲜᲐᲡᲐᲪ-ᲙᲘ ᲨᲔᲔᲮᲐᲠᲑᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲮᲗᲐᲡ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ. ᲛᲐᲮᲗᲐᲛ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲧᲕᲜᲐ ᲗᲕᲐᲚ-ᲬᲘᲜ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲗᲗ ᲡᲐᲡᲯᲣᲤᲔᲕᲔᲚᲘ, ᲗᲣ-ᲙᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲐᲜ-ᲙᲘ ᲠᲐ ᲪᲣᲓᲘ ᲠᲩᲔᲕᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲮᲗᲐᲡ ᲠᲩᲔᲕᲐ? ᲔᲙᲐᲡ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲑᲔᲔᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲡᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲡᲮᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲪᲐ, ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲚᲐᲓ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲔᲣᲚᲔᲑᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲫᲕᲔᲚᲘᲓᲒᲐᲜᲕᲔ, ᲛᲔᲠᲔ

ვისთვის? დიდ Ივანესთვის, რომლის წინაშეც თვითონ იმისი ბატონიც-კი თავს იხრიდა.

მაგრამ არც ისე ადვილი შეიქნა საქმე, როგორც მახთას ეგონა. ეკას მამას არაფრის გულისათვის არ უნდოდა დათანხმებულიყო, რომ იმისი შვილი ასე შორს წაეყვანათ; მერე ისიც უცხოელს, სხვა ტომის კაცს.

— არა, შვილო, არა; მაგათ მამა-შვილობა არ იციან... შვილი რომ გამიყიდოს, ვილასა ესდიო მერე? გულის ტკენით ამბობდა ეკას მამა.

ბევრი უმტკიცა მახთამ, რომ დიდი ბატონი აქაური კაცია, თითქმის მეგრელიაო, გაჩვენებურდაო, აქაური ზნე და ჩვეულება შეითვისაო, მაგრამ, მე მგონია, მაინც ვერ დააჯერებდა საბრალო მოხუცს, რომ მახთას თვითონ ეკას დედაც არ გამოსარჩლებოდა. ოღლი ეუბნებოდა ქმარს, რომ შენ არ ვინდა შენის შვილების გაბედნიერება, კერპი და ჯინიანი ხარო, ეს ერთად ერთი ლონეა, რომ ჩვენი ოჯახი ფეხზე წამოვაყენოთო; რომ ამით მარტო ეკა-კი არა, მთელი ოჯახი გაბედნიერდება, რადგან ის კაცი დიდი კაცია და არც სხვებს დასტოვებს უყურადღებოდაო; რომ ჩვენც ამ სიბერის დროს ბოვისვენებთ, და სხვა ამ გვარები. მახთაც ყოველ იმის სიტყვას თავის მხრით კვერს უკრავდა და რაღა უნდა ექნა ამის შემდეგ ეკას მამას? ამისთანა მოხერხებული იერიში მოხუცებულის დასუსტებულს გულს, რასაკვირველია, სულ დაამსხვრევდა. ეკას მამაც დასთანხმდა

ბოლოს, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ

VII

Ეკას სიხარულით მიწაზედ ფეხი აღარ ედგა, რაკი ჰხედავდა, რომ ჩემს ბედნიერებას წინააღმდეგი აღარავინა ჰყავსო. მხიარული იყო აგრეთვე იმის დედაც; თუმცა ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა დამჭკნარს ლოყებზედ და ნიკაპის წვერზედ ისკენებოდა, მაგრამ ეს ცრემლები სიცილზედ უფრო ტკბილი იყო. მხიარულნი იყვნენ ეკას დები, თუმცა არ შეიძლება, ცოტა არ იყოს, ეკას ამისთანა ბედნიერებისათვის შურით არ დაეწყოთ ცქერა. მხიარულნი იყვნენ ეკას ძმები... ერთის სიტყვით, მთელი ის სახლი, მთელი იმ სახლში მყოფი ვეჯი, მთელი ის ეზო გამხიარულებული იყო. ასე გასინჯეთ, მურიაც-კი მხიარულადა ჰყეფდა და ელაქუცებოდა ეკას, თითქოს ისიცა ჰგრძნობს იმის ბედნიერებასო. ზევით ქერში მერცხლებსაც-კი შეეტყოთ, ეკას ბედნიერება და თავის გაუთავებელის ჭიკჭიკით თანაუგრძნობდნენ ეკას მხიარულებას.

მაგრამ იყო ერთი ვინმე კიდევ ამ სახლში, რომელსაც გული რაღაც ცუდს ეუბნებოდა და რომელიც არ იღებდა მონაწილეობას ამ საერთო დღესასწაულში. ის იწვა ლოგინზედ ბნელს კუთხეში და, თითქოს არ უნდა მოუშალოს სხვებს ჭხიარულებაო, გადაბრუნებულიყო კედლისკენ და ცხარის ცრემლით ქვითინებდა. ეს იყო ეკას მამა, რომელიც ოდესღაც ახლდა ბატონს ქუთაისში და იცოდა იქაური ამბები.

იმ:ს ცხადად წარმოუდგა ეხლა ძუთაისის ეიწრო და ტალახიანი ქუჩები, წარმოუდგა ეს ქუჩები თავის დუქ-ნებით, სამიკიტნოებით და ცუდის ყოფა-ქცევის ქა-ლებით; წარმოუდგა ძუთაისის «სლაბოდკა» ჯარის-კაცებით და საზიზღარის სახლებით, ის «სლაბოდკა», სადაც, ვინ იცის, რამდენი თავის ქვეყნის ქალი უნა-ხავს იმას უპატრონოდ...

ბაერთო ფიქრებში და, ვინ იცის, რაები არ ელანდებოდა საბრალოს? ხან ჰხედავდა ეკას მივარდ-ნილს ქუჩაში მშიერ-მწყურვალს, უპატრონოდ; ხან — სამიკიტნოში, ღვინის სმისგან გაჟინჟღილებულს, სა-დაც ყველა იმის პატრონი იყო; ხან იმ სახლის ეზო-ში წარმოუდგებოდა თვალ-წინ ეკა, ურცხვად მოცი-ნარე, რომელსაც ყოველთვის ზიზღით უცქეროდა...

ამისთანა სურათები სულ სხვა-და-სხვა გვარად ეხატებოდა უბედურს მამას. როდესაც უთხრეს სადი-ლი ჭამეო, ავადმყოფი გადმობრუნდა და დაინახა, რომ სუფრას, რომელზედაც ფქვილის ღომისა და ნა-ხევარ წველა კბილის ყველის მეტი არაფერი იყო, მთელი სახლობა უჯდა.

ეკას მამამ დაინახა თავისი შვიდიეე შვილი ერ-თად, მხიარულნი, დაინახა თავისი ცოლი ბედნიერი და გულში გაუელვა აზრმა, რომ რისთვის, რისთვის უნდა წავიდეს ეკა ჩემის სახლიდგანაო?

— ბანა ჩვენ ყველანი ერთად ბედნიერნი არა ვართ? — იჯიქრა მოხუცებულმა.

მაგრამ ამ დროს გულიდამ ვიღამაც ამოსძახა,

რომ არა, შენი შვილები ბედნიერები არ არიან, იმათ ეჰლა თითქმის ყველას ცოლები უნდა ჰყავდესთ და ქალები ხომ ხუთის წლის წინადაც გასათხოვრები იყვნენო; რომ შენ არ შეგიძლიან ამათი გაბედნიერება; რომ ისინი ცოდვანი არიან შენს ხელშიო. საბრალოს ნაღელით აევსო გული.

ეკა არაუერს არა სჰამდა; იმას უნდოდა, მალე ამდგარიყვნენ და ბატონისას წასულიყო.

ხედავდა უბედური მამა ეკას მხიარულებას, მაგრამ მაინც არა სჯეროდა, რომ ის ამაზედ უფრო ბედნიერი გახდებოდა სადმე. არა სწამდა ის, რაც მოუჩმახეს. წარმოდგენაც-კი არ შეეძლო იმისი, რომ ეკა სადღაც, ვილაცასთან, სამშობლოს, დედ-მამას, და-ძმებს, ტოლ-ამხანაგებს მოშორებული, ბედნიერი იქნებოდა.

ეკა ბატონი, ეკა დიდის კაცის შვილი, ეკა მდიდარი იმისთვის არ არსებობდა, მაგრამ ვისთვის ეთქვა რამე, ვისთვის გაეზიარებინა თავისი იჭვნეულება?..

VIII

ამ ნაირად ივანე პეტრეს ძეს შეუსრულდა თავისი სურვილი. თუმცა ეკაც ძალიან მხიარული იყო, მაგრამ ივანე პეტრეს ძის ნეტარებასთან იმისი მხიარულება არაფრად არა სჩანდა. ივანე პეტრეს ძე სულ გაბავშვდა, თითქმის და არ იცოდა, რა ექნა? უნდა გენახათ, როგორ, უჩლინგებდა ეკას ენას და

როგორ ეფერებოდა. ამ ნაირის თავისის ქცევით იმან უცებ მოხიბლა მკას უმანკო, ჩვილი გული და მიიზიდა. ივანე პეტრეს ძემ იქვე უყიდა მკას და შეუკერვინა რამდენიმე ხელი ტანისამოსი. ხუთშაბათისთვის წასელას ეპირებოდა და იმ დღისთვის მკაც მოამზადეს. მკას მშვენიერი ბარგი გამოუწყეს, იმისთანა ბარგი, რომლისთანაც თვით ქალბატონსაც არ ჰლირსებია, არამც თუ ვილაც უბრალო ყაზახის შვილსა. არც მკას დედ-მამა დასტოვა ივანე პეტრეს ძემ უყურადღებოდ, არც სხვები. თითქმის არ დარჩენილა ჩვენ სოფელში კაცი, ბავშვი მაინც, რომ ივანე პეტრეს ძეს არ მოემადრიელებინოს: ბატონებიდამ დაწყებული უბრალო მოსამსახურემდის ყველას გაუკეთა გული, მხოლოდ მუნჯიას-კი ვერაფერი მოუხერხა.

მუნჯია ამ დღეებში სულ გამოიცვალა: ეგდო ნიადაგ სამზარეულოში, კუთხეში, და იყო იქ. მკასაც რაღაც გლახა თვალით დაუწყო ყურება, მაგრამ იმისი სულ მიტოვება მუნჯიას არ შეეძლო. უეკაოდ მუნჯია ვერ იცოცხლებდა იქ, სადაც იმისთვის მეტი არავინ იყო.

მუნჯიას უყვარდა მკა, უყვარდა მთელის თავის არსებით, მთელის თავის გრძნობებით; უყვარდა ისე კი არა, როგორც კაცს ეყვარება კაცი, რომელიც თავის თავს ყოველთვის აფასებს; იმას უყვარდა მკა, როგორც ძაღლს საყვარელი პატრონი, როგორც ძაღლს, რომელიც თავის თავს არაფრად არ აგდებს. დიაღ, ეს სიყვარული ინსტინქტური იყო, პირუტყუ-

ლი, ძაღლური, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი. ანგარიშს მოკლებული, შეუცელელი, მტკიცე, გაუზომელი, გაუთავებელი. მხოლოდ ერთად-ერთს სიკვდილს შეეძლო ამ სიყვარულის მოსპობა, სხვას არაფერს.

ხუთშაბათიც დადგა. წირვის დრო იქნებოდა, როცა ეკამ ჩამოიარა ყველა თავისი მეზობლები და გამოეთხოვა. ვახთა ეხლა იმას დასდეევდა უკან, როგორც მხლებელი. ეკა გამოეთხოვა, რასაკვირველია, თავის დედ-მამას. დედა სტიროდა და ვერაფერს ამბობდა, როცა შვილს ეთხოვებოდა; მამამ-კი შემდეგი უთხრა ეკას გამოთხოვებისას:

— მშვიდობით, შვილო! უკანასკნელს ღონისძიებამდის ეცადე დაიცვა პატიოსნება და ნამუსი. ღმერთმა ნუ გამაგონოს, რომ შენ... მაგრამ ცრემლებმა, რომელიც ყელში მოადგა მამას, აღარ მისცეს საბრალოს ნება დაეთავებინა თავისი სიტყვები.

ვახთა მაშინ იქ იყო და იმასაც-კი ცრემლები მოერია, ამ კაცის ტანჯვას რომ უყურებდა. მხოლოდ ეხლა გამოიღვიძა ვახთას კაცურმა გრძნობამ, რომელიც აქამდე ჩაქოლვილი იყო სადღაც, მხოლოდ ეხლა იგრძნო ვახთამ, რომ უსამართლოდ ართმევენ მამას შვილს, მაგრამ ეჰ!.. ეს გამოღვიძება წუთიერი იყო და ეკას მამის სახლიდამ რომ გამოვიდა, აღარც კი გახსენებია.

ასეა, ხანდისხან გამოიღვიძებს ხოლმე ამისთანა კაცში კაცური გრძნობა, მაგრამ რა ჰქნას, თუ ადგი-

ლი აღარ არის იმისთვის ცარიელს კაცის გულში, რუ ყველაფერს ბოროტი სული დაჰპატრონებია და შთაუნთქავს!

IX

ბატონის სახლის ეზო სავსე იყო ხალხით, თითქოს რაღაცა დღესასწაული არისო; კაცსა და ქალს, დიდსა და პატარას,—ყველას იქ მოეყარა თავი. ყველანი სიხარბით მისჩერებოდნენ ხან ეკას და ხან ეტლს, რომელიც ივანე პეტრეს ძემ დაიბარა საიდამღაც. ვაი შენს ტყავსაო—ჰფიქრობდნენ ახალგაზდა ქალები,—რა დღეს მოესწარიო! ივანე პეტრეს ძეს შეილობილობა, ჭუთაისში წასელა და ნამეტურ ეტლში. ჩაჯდომა რაღაც დიდი და დიდი ბედნირება იყო იმათთვის.

აი, ჩამოეიდნენ ყველანი ძირს. წინ მოდის გახარებული ივანე პეტრეს-ძე, მერე ბატონი, მერე ქალბატონი და ეკა. ბარგიც გამოიტანეს და ჩააწყეს ეტლში. ივანე პეტრეს ძე უკანასკნელად გამოეთხოვა ბატონებს და დაიჭირა ალაგი ჩასაჯდომში; ეკაც გამოეთხოვა ქალბატონს, რომელმაც შუბლზედ აკოცა, გამოეთხოვა ტოლ-ამხანაგებს, რომლებთანაც გაეტარებინა თავისი სიყმაწვილე, რომლებთანაც იმდენი ემხიარულნა, და ჩაჯდა ისიც ეტლში, ივანე პეტრეს ძის გვერდით.

ეხლა-კი ყველა შესწუხდა. ეკა ყველას უყვარდა და ასე მოულოდნელი და უჩვეულო იმისი დაკარ-

გვა ყველასთვის დასაღონებელი იყო. ახალ-გაზდა ქალები ჰკარგავდნენ საყვარელს ამხანაგს და ახალ-გაზდა ბიჭები-კი—ლამაზს ქალს, რომლის შერთვაც, ვინ იცის, იქნება რომელსამე მათგანს ჰლირსებოდა. მთელი ჩვენი სოფელი ობლდებოდა ამით და, რა გასაკვირველია, თუ ყველანი მწუხარენი იყვნენ და ბევრნი კიდეც სტიროდნენ.

ამ დროს ეკას დედაც თავის სახლის კარებზედ იდგა და მოუთმენლად ელოდა, როდის გამოიელის გზაზედ ეტლი, რომ ერთხელ კიდევ დავინახო ჩემი საყვარელი შვილიო. მამა-კი ქვეშაგებში იწვა, იმას აღარ შეეძლო აწი ეკას ნახვა.

აი, ეახთაც ავიდა ეტლის კოფოზედ და მოუჯდა მეეტლეს. ცხენები დაინძრენ და ეტლი წავიდა. ივანე პეტრეს ძე კიდევ უქნევდა თავს ბატონებს, ეკა-კი თვალ-ცრემლიანი იყო და თავის ტოლებს მისჩერებოდა.

ამ დროს მოისმა საშინელი ყვირილი, რომელიც უფრო მხეცის ხმასა ჰგავდა, ვიდრე კაცისას. ეს მუნჯია იყო. ის მხოლოდ ეხლა გამოვიდა სამზარეულოდამ და დაინახა, რომ ეკა იმ საზიზღარ კაცთან ერთად ეტლით მიჰქროლავს სადღაც.

მუნჯიამ აქამდის არაფერი იცოდა, რადგან ეკას არ მისცენ ნება იმასთან გამოთხოვებისა. ყველას ეშინოდა, არაფერი აეტეხნა მუნჯიას, როცა შეიტყობდა ეკას წასვლას. ეკაც იძულებული იყო დამორჩილებოდა, რადგან თვითონაც ეშინოდა ეხლა მუნჯიასი.

აი, ერთი გაიზნიქა მუნჯია, გაიზმორა და ბორ-
თო ტირილი. საშინელისა და შემაძრწუნებელის ხმით.

ამ დროს მოიხედა ეკამ და შეხედა მუნჯიას. იმათი თვალები ერთმანეთს მოხვდნენ და ეხლა-კი ეელარ გასძლო მუნჯიამ. ზამოეკიდა გაქანებულს ეტლს, გამოეკიდა ისე რომ კაცს ეგონებოდა მიფრი-ნავსო. ამის დანახვაზე შეიქნა ჟივილ-ხივილი და ყეე-ლანი გამოუდგნენ უკან მუნჯიას. ერთი ბიჭი წინ დახვდა, მაგრამ მუნჯიამ ისეთის ძალით ჰკრა გულ-ზედ ხელი, რომ მაშინვე ბიწაზედ დაანარცხა.

ეს რომ მეეტლემ დაინახა, ცხენებს გაუჩქარა; ეახთაც მოეხმარა. ივანე პეტრეს ძეც ხმას აძლეედა, ძლიერ გარეკეთ ცხენებიო. დიდს ივანეს ეშინოდა მუნჯიასი, რადგან იცოდა, რომ იმას ეზიზღებოდა ეს კაცი. ეკა ჰხედავედა მუნჯიას ასე გამხეცებულს და სტიროდა. ეკამ იგრძნო ეხლა, რომ არ უნდა დაე-ნებებინა საბრალოსათვის თავი; იგრძნო, რამდენად ჰყვარებია ის მუნჯიას და თვითონაც შეუყვარდა საწ-ყალი მუნჯია. ის ეხლა ნახეევარ თავის სიცოცხლეს მისცემდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო. უკან დაბ-რუნება, მაგრამ ვვიან ღა იყო

თუმცა ცხენები, რაც შეეძლოთ, მირბოდნენ, მაგრამ, რადგან კარგი გზა ვერ იყო, მუნჯია მოე-წია ეტლს: პირიდამ გაბრაზებულსავით დორბლებს ჰყრიდა და ბრდღვინავდა. აი, უეცრად გაიშვირა იმან ორივე ხელი და მაგრად ჩაჰკიდა ეტლს. ეტლი უეც-რად შესდგა, მეეტლე გაშმაგებული უჯავრდებოდა

ცხენებს, მაგრამ შეშინებული ცხენები იდგნენ და არ ინძრეოდნენ. ეახთა ზევიდგან გადმოწოლილი იყო და ეჯაჯგურებოდა მუნჯიას, მაგრამ მუნჯია, თითქოს ლურსმნით მიუკრავეთო, ეტლს არ შორდებოდა. აი, შესდგა ცალი ფეხი ეტლის საფეხურზედ და უნდოდა მოხვევოდა ეკას, რომელიც სტიროდა და იმისკენ იწვედა. ოტაც და მუნჯია მოიტაცებს თავის ეკას, მაგრამ ამ დროს ანაზღათ გაეარდა დამბაჩა, კვამლმა მოიცვა ყველაფერი და ცხენებიც, თითქოს დამბაჩის სროლას უცდიდნენო, გადარეულნი გაქანდნენ. ქვამლი გაიბნა და იმ ადგილს, საცა ეტლი იდგა, გამოჩნდა უსულო კვამი მუნჯიასი, რომელიც თავისსავე სისხლში სცურავდა. ტყვია საცოდავს შიგ თავში ჰქონდა მოხვედრილი და სულ დამსხვრეოდა თავის ძვლები; იმის სახეს აღარც თვალები, აღარც ცხვირ-პირი, აღარც შუბლი აღარ ეტყობოდა; ტვინი საზარლად გადასხმოდა დედამიწას. ამის დანახვაზედ შეიენა საშინელი კივილი და ყველანი, ზარ დაცემულნი საზიზღარის სურათის დანახვით, მიეხვიენენ გვამსა. ეტლი-კი ისე მიჰქროლავდა, თითქოს აქ არაფერი ამბავი მომხდარიყოსო; თითქოს ადამიანნიც ეტლივით უგრძნობნი იყვნენ, თითქოს ივანე პეტრეს ძემ კაცი-კი არ მოკლა, უბრალო ჯირკს ესროლა დამბაჩაო. ან-კი რით განირჩეოდა მუნჯია ჯირკისაგან? ვინ ამოიღებდა ხმას საცოდავის ასე სიკვდილზედ? რასაკვირველია არავინ. ივანე პეტრეს ძემ თავის დაცვის დროს მოკლა მუნჯია და ვინ გაამტყუნებდა იმას!

ეკას სახლის წინაც გაირიხინა ეტლმა. იმის დედას ეგონა—ეკა ერთხელ კიდეე შემომხედავსო, მაგრამ იმის ვანცვიფრებას საზღვარი აღარა ჰქონდა, როცა დაინახა, რომ ეკა მჩვარიეით ეგდო ივანე პეტრეს ძის მუხლებზედ და არ ინძრეოდა. დედამ ამის დანახვაზედ მიაკიელა და გამოვარდა კარში, მაგრამ ეტლი უკვე მიიმალა და ისიც ცარიელი დარჩა. რა ამბავიაო, კითხულობდა ეკას მამა, მაგრამ ცოლი ვერაფერს ვერ ეუბნებოდა და იცრემლებოდა ჩუმად. ამ დროს იმათი შვილებიც მოვიდნენ და უამბეს, რა საზარელი სურათიცა ნახეს დღეს. საბრალო ავადმყოფი გაშტერებული უგდებდა ყურს, რასაც ამბობდნენ; ბოლოს ვეღარ მოითმინა, ერთი საშინლად ამოიოხრა და სთქვა: «ვის ხელში ჩამაგდებინეთ შვილი, თქვე უღმერთონო!»—ო, ამის მეტი იმას აღარაფერი უთქვამს. ეს უკანასკნელი სიტყვები იყო ეკას მამის. პატარა ხანს უკან ენა ჩაუვარდა, ცნობა დაეკარგა და მთელი ღამე სულთ-მობრძავი იყო. ბათენებისას კიდეც გათავდა.

X

ბავიდა სამი წელიწადი და ამოდენა ხნის განმავალობაში აღარაფერი ამბავი შეუტყვიათ ეკასი. აღარც ივანე გაჭაჭანებულა მერე აქეთკენ. ამ რამდენისაშე თთვის წინად ბატონი-კი იყო ქუთაისში და ჩამოიტანა ამბავი, რომ ივანე პეტრეს ძე იქ აღარ

არის, რუსეთში გადუყვანიათო.

— ეკა სადღა არისო?—იკითხა უბედურმა დედამ ეკასამ.

— არ ეიცი, შეიძლება ჩემი ნათლულიც თან წაიყვანაო,—მიუგო ბატონმა.

. როგორ თუ შეიძლება? განა უპატრონოდ დააგდებდა აქაო? ჰფიქრობდა საბრალო დედა და პასუხის მიმცემი-კი არავინ იყო.

— თუ გაათხოვა—კარგი, თუ თეითონ წაიყვანა—ესეც კარგიო, მაგრამ თუ ჭუთაისში დააგდო უპატრონოდო?—ამბობდა საცოდაეი. საკვირველია, განა იმისათვის სულ ერთი არ იყო,—ეკა რუსეთში იქნებოდა, თუ სხვაგან სადმე გათხოვილი? იმისთვის ხომ მაინც დაკარგული იყო და რა ენაღელებოდა, თუნდ ჭუთაისშიაც ყოფილიყო უპატრონოდ? მაგრამ არა, შვილის უპატრონობა ასე ადვილი ასატანი არ იყო დედისათვის.

საბრალო დედა!.. ისეც ბევრი უბედურება გადახდა ამ სამის წლის განმავალობაში და ეხლა კიდევ ეს ახალი ჯავრი მიემატა! თუმცა წერილი შვილები არ დარჩენია, მაგრამ მთელი ეს დრო საშინელს გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო. შვიდი შვილი გაზარდა თავისს სიცოცხლეში, მაგრამ იმათი გაზრდა არც-კი შეუტყვია. ეხლა-კი დღე მუდამ ტირილი, დღე მუდამ ვაება იყო იმის თავზედ. ჯერ ხომ სიქვრიეე, იმისთანა თან შებერებულის ქმრის დაკარგვა, მერე ეკას მოშორება, რომლისათვისაც ქმრის სიკვ-

დილს შემდეგ სულ აწუხებდა სინიდისი, თავის თავს რაცხდა დანაშაულად როგორც შვილის ასე დაკარგვასა, ისე ქმრის სიკვდილში.

ამ გვარად უბედურს ესეც ეყოფოდა, მაგრამ დალოცვილმა ღმერთმა ეს არ დაჯერა. მოუკვდა თუ არა ქმარი, დაირღვა იმისი ოჯახი: შვილებს ერთმანეთში უკმაყოფილება მოუვიდათ და ადგილების გაყოფას მიჰყვეს ხელი. ბევრი ეხვეწა უბედური დედა, რომ გასაყოფი არაფერი გაქვსთ, მოითმინეთ, ნუ გამიმწარებთ ისედაც მწარე სიცოცხლესაო, მაგრამ ვინ დაუჯერა? მაინც და მაინც უნდა გაეიყარნეთო, და გაიყარნენ. უფროსმა ძმებმა ცოლებიც შეირთეს და ცალკე დაესახლნენ. დედა და დები-კი უმცროსს ძმასთან დარჩნენ.

საცოდავი სანახავი იყო ეხლა ეს ისედაც პატარა ეზო, რომელიც სამად იყო გაჭრილი და სამი ფაცხა იდგა შიგ. ბოლოს, როგორც იყო, უფროსი და გათხოვდა, უმცროსები-კი მონოზნად შედგნენ. შუათანა მონასტერში წავიდა და უმცროსი-კი სოფლის ეკკლესიის გალავანში დაბინავდა. ამ ნაირად სულ მარტოკა დარჩა საბრალო დედა და რის ეაითა და ყოფით შიათრევდა თავის გაძაღლებულს სიცოცხლეს. მხლა კიდევ ეკას ამბავი წამოეწია და სულ შეუწუხდა უბედურს გული. არც იცოდა, რა ექნა, და ღმერთს შესთხოვდა, მიებარებინა იმისი სული. «მე რად გადურჩი ჩემს ქმარსაო»,—ამბობდა ხოლმე ხშირად საწყალი:— «რატომ მეც იმასთან არ მოვკვ-

დიო.» და კაცმა რომ სთქვას, მართალიც იყო. მაინც აღარც შორს იყო ეს წამი, დღეები დათვლილი ჰქონდა. ეს ერთი თთეეა, სულ აეადმყოფი იყო და მხოლოდ გულით უნდოდა, თუ ვერ ჰნახაედა, ამბავი მაინც შეეტყო ეკასი. «ღმერთო, ამას მაინც ნუ ჩამატან საფლავში ჯაერადაო»,—ამბობდა, და ღმერთმაც ეს ერთი თხოვნა მაინც შეუსმინა.

XI

ერთს დილაზედ მთელმა სოფელმა დაიწყო ლაპარაკი—ეკა მოსულა, ეკაო! ეს ამბავი ზოგს სასიამოვნოდ დარჩა, ზოგს არაფრად ეჭაშნიკა, რადგანაც სოფელში კარგა ხანია ცუდი ხმები დადიოდა ეკაზედ, თუმცა დედა მისს-კი არაფერს ეუბნებოდნენ. ყველამ ეჭვი აიღო ივანე პეტრეს ძის საქციელზედ და, რასაკვირველია, უკანასკნელის ამბის შემდეგ სულ ქვესკნელში ჩამარხეს უბედური ეკა. რაც უნდა იყოს, ეს ამბავი ყველას გაუკვირდა და ყველას უნდოდა ეკას ნახვა. ამასთანავე იმ დღესვე ხმა გავარდა, რომ ეკას დედა მოკვდაო, და ყველანი წავიდნენ ამ ამბის შესამოწმებლად. მართლაც წინა ღამეს მოსულიყო ეკა, როდესაც თურმე იმის დედას ენა ჩავარდნილი ჰქონდა, მაგრამ ცნობით-კი ეცნო თავისი შვილი და საშინლადაც გაჰხარებოდა, თუ კიდევ შეიძლებოდა იმის მდგომარეობაში გახარება

დიდად ღარიბის ტირილის შემდეგ ეკას დედა

დაასაფლაეეს და ეხლა მარტო ეკაზედ იყო ყველგან ლაპარაკი. სალაპარაკო მართლაც ბევრი ჰქონდათ. ეს ეკა სრულიად აღარა ჰგავდა იმ ეკას, რომელიც სამის წლის წინად აქედამ წაიყვანეს: მშვენიერის ახალგაზრდა ქალიშვილის მაგიერ ეხლა იყო რაღაც ლანდი, რომლის დანახვაც კაცს, ნამეტურ სოფლის კაცს, ზიზღს მოჰგვრიდა. წარმოიდგინეთ წვრილი, მაღალი, უშნო ჯოხი, რომელსაც ულაზათოდა აქვს შემოჯონჯული სხვა-და-სხვა ფერი, სხვა-და-სხვა გვარი ფართლის აპუჭკნულ-დაპუჭკნული კაბა, თითქოს საჟრთხობელაზედ ძველი ჭინჭები და ნაჭრები შემოუხვევიათო; ჯოხზედ გაკეთებული გამხდარი, უფერული, მაგრამ ფერ-უმარილით 'მეგლესილი პირის-სახე, გრძელი, მაგრამ ულაზათო კისერი. მხოლოდ თვალები-ღა შერჩენოდა ამ მართლაცა-და ლანდს, როგორც «ნაშთი ძველის დიდებისა», მაგრამ ეს თვალებიც, ძველებურ ცეცხლის ფრქვევის მაგიერ, ეხლა ჩასცვივნოდა, ამოლილავებოდა და მხოლოდ კაკლები-ღა გამობჟუტავდა, ისიც ურცხვად, მაცდურად. ვინ მოიფიქრებდა, რომ ის მშვენიერი ეკა ასე გახდებოდა, რომ რამდენიმე წელიწადი ასე გამოსცვლიდა? ყველანი პირჯვარს იწერდნენ ეკას დანახვაზედ და მართლაც პირჯვრის დასაწერი იყო იმისი საქმე.

ეკა დადგა თავის დასთან სასენაკოში, მაგრამ როგორც მთელი სოფელი ამბობდა, ეკა არ იყო ღირსი არც თავის დასთან დგომის და არც ეკლესიის ეზოში ცხოვრების, არ იყო ღირსი თავისის უწ-

მინდურის ფეხებით ეთელა პატიოსანთა მკედართა საფლავები. «ეშმაკის კერძია და საყდრის ეზოში რა უნდაო?»—ამბობდნენ სოფლის დედაკაცები. ნეტა რას ამბობდნენ მაშინ ბატონები? პირით ისინიც იმას ამბობდნენ, რასაც სხვები, და გულში-კი, შეიძლება სხვა ცეცხლიც უტრიალებდათ.

უბედური ეკა. რა საშინელი სანახავი იყო ის, როდესაც იმას აჩვენეს საფლავნი მისის მამისა და მუნჯიასი, რომელნიც იმის გამო ერთს დღეს დაიხოცნენ. ეკა სრულიად გაშრა ყველას თვალ-წინ, გახმა, გაყვითლდა, სახის კანი დაემანჭა, მაგრამ ცრემლი-კი არ გადმოუგდია. ან-კი სადღა ექმნებოდა ცრემლი? მერე ეკას სულაც აღარ გაუვლია იქითკენ, სადაც იმისი მსხვერპლნი ემარხნენ. არც გარედ გამოდიოდა ხშირად. ეტყობოდა, რომ ეკას ყველასი სცხვენოდა, ყველაფრისა ეშინოდა და ერიდებოდა. სულ მუდამ პატარა ფაცხაში იყო, რომელიც სამზარეულოდ ჰქონდა იმის დას. თვითონ სასენაკოში ვერ დადგებოდა, რადგან იქ იმდენი ხატები ესვენა და იმას-კი ხატის ცქერა არ შეეძლო. უნდა გენახათ, როგორ წვალობდა ეკა, როდესაც გაიგონებდა თავის დის ლოცვას და ეს-კი დღე-და-ღამეში ხუთჯერაც ლოცულობდა, მერე ყოველთვის ხმა-მაღლა.

არა, ეკას არ შეუძლიან ამ ხაირად ყოფნა! მაშ რა ჰქნას? სად წავიდეს? ვის მიადგეს კარს, ვინ მიიღებს იმას თავის სახლში? აქ არავინ. მაშ ისევ იქ, იქ, ქუთაისში; იქ არის ამისი ადგილი! ეხლაც რის-

თვის მოვიდა სოფელში! რა უნდოდა აქ! ნუ თუ იფიქრა, რომ შეეძლო გამობრუნება, შეეძლო იქ სხვასავით ცხოვრება? არა, ის დაკარგულია სოფლისათვის. ის იქ უნდა იქმნას, თუ უნდა სიცოცხლე; და რომ იმას სიცოცხლე უნდა, ეს ცხადია, თორემ აქამდისაც მოიკლავდა თავს. დიაღ ის დაღუპულია; იმან ბოლომდის უნდა გამოსცალოს ის ფიალა, რომელიც ძალათი მიაჩეჩეს ხელში.

ეკაც რამოდენიმე დღის შემდეგ წავიდა თავის სოფლიდგან.

სად წავიდა ეკა?.. იმისმა დამ სთქვა ქუთაისიდან წერილი მოუვიდა და იქ წავიდაო.

— ეხლა მაინც რაღა მიარბენინებდა, არ ეყო, რაც ეთრიაო?—ამბობდნენ სოფლის ქალები:—დარჩებოდა და ძველს ცოდვებს მოინანიებდა, ახალში რომ ვარდება კიდეეაო?! საკვირველია, ჯერ იძახდნენ ეკკლესიის ეზოში ნუაო, და ეხლა ამბობენ, დარჩენილიყოეო. სად დარჩენილიყო? თუ ეკკლესიის ეზოში არ ვარგოდა იმისი ყოფნა, სხვაგან სულ არ ივარგებდა.

XII

ბავიდა ამას შემდეგ შვიდი-რვა წელიწადი

ერთხელ, როდესაც ჩვენს ეკკლესიაში მონოზნად მყოფი ეკას და გარედ გამოვიდა, შემდეგი სურათი წარმოუდგა თვალ წინ. იქ, სადაც საცოდავი

მუნჯია იყო დასაფლავებული, ერთი კაცის შემაძრწუნებელი გლახა იწვა და ეძინა. თავით ედვა უბედურს ძველი ტომარა, რომელშიაც ძველი ჭინჭები და ნაჭრები უნდა ყოფილიყო. თუ არ ამ გლახის გრძელი ბინძური თმა, ადამიანი ვერ მიხვდებოდა, ვინ იყო, კაცი თუ ქალი, რადგან ტანისამოსი სრულიად არ ეცვა, ამ საცოდავს გლახას ტანს ძლივს უფარავდა ძველი საძაგელი საცვალი და დახეული ფარაჯა, რომელშიაც გამოხვეულიყო და თავიც-კი შიგ ჩაემალა. მხოლოდ ტიტველა ფეხები ღა უჩანდა უბედურს და ისინიც ისე იყო სისხლ-შემომხმარნი, რომ გეგონებოდათ ძველი, დახეული წულები აცვიაო. დიდხანს ადგა გლახას მონოზანი გაშტერებული და არ იცოდა, რა ექნა? ბოლოს გლახა გაინძრა და ცალი ხელი გამოჰყო. ამ ხელის დანახვამ სულ გადარია მონოზანი, რადგან ხელის მაგიერ რაღაც ერთი მეორეზედ შეწყობილი ძელები ნახა. ეი კიდევ გაინძრა ის და ეხლა-კი თავიც გამოაჩინა. მაგრამ სადღა იყო თავი? თავის მაგიერ იყო მხოლოდ ორი თვალი, დაკრეჭილი კბილები და ნიკაპი. პირისა და ცხვირის მაგიერ-კი რაღაც უშველებელი ორმო იყო, საიდამაც შესაზარი სუნი ამოდიოდა, მონოზანმა მეტი ველარ შესძლო და მიიბრუნა პირი. ამ დროს გლახამ გაახილა თავისი უზარმაზარი თვალები და დაინახა თუ არა, რომ იმასთან ვილაცაა, შემოიხვია ფარაჯის კალთა თავზედ, თითქოს შერცხვაო. მონოზანმა მიიბრუნა, როგორც იქნა, ისევ პირი და ჰკითხა, ვინ ხარო?

— ქრისტიანი ვარ, ვკვდები! მოისმა საიდამლაც, თითქოს საფლავში მყოფი მკვდარი ამოიძახისო. მონოზანმა გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე წავიდა მღვდელთან, რადგან შეეშინა, ქრისტიანის სული უზიარებლად არ მოკვდესო. ჩვენი სოფლის მოხუცებული მღვდელი იქ ახლოს იგდა და მაშინვე წამოვიდა. სანამ მღვდელი მოვიდოდა. გლახას სულთა-ბრძოლის ჟამი მოუახლოვდა, სიკვდილი ახლო იყო. მოვიდა მღვდელი და დაუწყო წმიდა საიდუმლოს მზადება. ბლახამ შეხედა მღვდელს, დაინახა რასაც აკეთებდა, და წამოჯდა, მაგრამ ფარაჯა-კი არ მოუხსნია თავიდამ. მღვდელმა დაიკავა კოვზი ხელში და აღსარება უნდოდა ეთქმევინებინა. მონოზანი მოჰშორდა.

— ვინა ხარ, შვილო?—ჰკითხა მღვდელმა.

— ეკა ვარ, აქაური ეკა,—ამოიძახა გლახამ. მღვდელი შეკრთა და კინაღამ დააქცია წმიდა საიდუმლო, ისეთ ნაირად დაუწყო ხელმა კანკალი. მღვდელი თავის თვალებს არ უჯერებდა, რომ იმის წინ ეხლა ის ეკა იყო, რომელსაც წინად იცნობდა.

— რამ მიგიყვანა მერე, შვილო, მაგ ზომამდის?

— ჩემმა თავმა და სხვებმაც ბევრმა. ღმერთმა მოჰკითხოს ყველას, ვინც ჩემს ამისთანა ყოფაში დანაშაული იყოს! ღმერ...

— ძარგია, შვილო; ეხლა კიდევ ნუ სცოდავ ღმერთს! ეხლა დრო არ არის ილაპარაკო იმაზედ, ვისი ბრალიც არის შენი მაგ ნაირი ყოფა. მოიგონე,

შვილო, ადამი და ევა, რომელნიც სცდილობდნენ სხვისთვის გადაებრალებინათ თავიანთი ცოდვები და ღმერთმა უმეტესად დასაჯა. მაშ ჩამოთვალე შენი ცოდვები და ორიევემ ესთხოვოთ ღმერთს, გაპატიოს.

— არ შემიძლიან, ვერ ჩამოვსთვლი ჩემს ცოდვებს! არ მახსოვს და კიდეც რომ მახსოვდეს, ვედარ მოვასწრებ; ვგრძნობ, ეხლავ უნდა მოვკვდე.

— რამდენი ხანია, შვილო, ზიარება არ მიგიღია?

— ათი წელიწადია და, მგონი, კიდევ მეტიც.

— არაფერია, შვილო, სასოებას ნუ წარიკვეთ, ღმერთი ყოველად მოწყალეა. შვილი ხომ არა გყოლია, შვილო?

ამ კითხვაზედ საცოდავს თრთოლა დააწყებინა.

— სთქვი, შვილო, თუ გყავდა, სად არის?

— მო... მომა... კელევი... ნეს! მოისმა ძლივს.

— შენ თითონ მოჰკალი?

— იძუ... ლებული ვიყავი... ნუ მკითხავ, ნუ!.. და გააქნია უბედურმა ხელი.

— არა, არა, მე არავინ არ მომიკლავს, სხვებმა მოჰკლეს, ხხვებმა... ვე... მე... მე კაცის მკველელი?.. არა, არა... ამბობდა საწყალი.

— დამშვიდდი, შვილო, დამშვიდდი და მოიგონე, რაც წელან გითხარი. ეხლა უკანასკნელი დროა, დაივიწყე ყველა, ვისაც რამ ბოროტი შეუმთხვევია შენთვის, მიუტევე ყველას და ღმერთსა სთხოვე, შენც

შენი ცოდვები მოგიტევოს. ეხლა დრო არის გაუტყდე ღმერთს იმაში, რაშიაც დანაშაული ხარ.

— მე ისეთივე დანაშაული ვარ, როგორიც დანაშაულია დანა, რომლითაც ერთი კაცი მეორესა ჰკლავს... მე არაფერში არა ვარ დანაშაული... მე ვიყავი სუსტი არსება და ძლიერებმა ძალით წამართვეს ის, რის დაცვაც არ შემეძლო. მე მშიოდა, მწყუროდა, მციოდა, კაცი პატრონი არ იყო ჩემთვის და იძულებული ვიყავი მეცხოვრა იმითი, რაცა მქონდა. მე მქონდა ერთი ჩემი თავი და მეც დავიწყე იმით ვაჭრობა. მე მითხრეს—შვილი ნუ გყავს, გადააგდეო, და მეც გადავაგდე. ოოჰ!... მე... და ხმა ჩაუწყდა უბედურს...

— ილოცე, შვილო, ილოცე! ეუბნებოდა მღვდელი, მაგრამ იმას ლოცვა აღარ შეეძლო. წაიქცა პირ-აღმა და უკანასკნელად ებრძოდა სიცოცხლეს. მღვდელმა დაინახა იმისი საზარელი სახე და არ იცოდა, მიეცა თუ არა წმიდა საიდუმლო. მღვდელი რომ ფიქრში წავიდა, ეკა უკანასკნელად გაჭრჭოლდა და განუტევა სული...

სვიმონ მღვდელი.

(საღდგომო ესკიზი)

შეწყდა ზარის ხმა სუროთი შეფუთნულ მაღალ სამრეკლოზე და გაისმა «აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ». ყველას აუბორძგალა გული ამ გალობამ, ვინც კი იყო მოგროვილი ვ—ის პაწაწა ეკლესიის ეზოში. დიდი და პატარა, კაცი და ქალი, მოხუცი და ყმაწვილი, მდიდარი და გლახაკი—ყველა ერთის გრძნობით გაიმსჭვალა, ყველას დაავიწყდა ეხლა თავისი ხარისხი, დაავიწყდა თავისი ვინაობა; მოაგონდა მხოლოდ, რომ ქრისტიანია და სახე გაბრწყინვებული, წმინდა სანთლით ხელში და წმიდის გრძნობით გულში, უნდა მიეგებოს ამ შესანიშნავ დღეს, როცა «აღსდგა ქრისტე მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი...

მსწრაფლად მოედვა ტკბილი გალობა ავრეთვე მთელს არე-მარეს, მოედვა გარშემო მთებს: მთებმა გადასცეს იგი ღრუბლებს, ღრუბლებმა ეარსკვლავებს და მთელი ცა და ქვეყანა სმენად გადაიქცა.

რაღაც სადღესასწაულო ფერი მიიღო მთელმა იმ სერმა, რომელზედაც აშენებულია ე—ის ეკკლესია. რაღაც უცნაური ძაფი გაიბა ამ სერსა და ზეცას შუა. ე—ის ეკკლესიამ თითქოს შეუერთა დღეს მარხვითა და ლოცვით გაწმენდილი მრეველი თავის მხსნელს. ცა თითქოს გაიხსნა და ანგელოზები თავს დასტრიალებენ ხალხს; მასთან ერთად გალობენ, მასთან ერთად ფელიან ეკკლესიას და თავიანთ ფრთებით სანთლებს გაქრობისაგან იფარავენ.

მეითონ ეკკლესიაში არავინ არ არის ეხლა. ყველა გარეთ არის და საერთო დღესასწაულში იღებს მონაწილეობას. მხოლოდ ერთ-ერთს საკურთხეველს ბნელ კუთხეში ზის მოხუცი სვიმონ მღვდელი, რომელსაც სიარული არ შეუძლია, საბრალო თუმცა ისე მოხუცებულია, რომ თვალს საშინლათ აკლია და ყურში-კი თითქმის სრულიად აღარ ეყურება, მაინც ვერ გასძლო დღეის დღეს საეკლესიაში წამოუსვლელი და წამოაყვანია თავი თავის შვილს იესე დიაკონს. მაგრამ რაა ამისთანა წამოსვლა, როცა უბედურს აქაურობის აღარა გაეგება-რა? დაუხუჭავს ისედაც უსინათლო თვალები და ფიქრებში გართულია.

ნეტა რაზედ ჰფიქრობს ეხლა სვიმონ მღვდელი?—მაზედ, რაზედაც ჰფიქრობს ხოლმე ყოველი იმის ხნის კაცი, თავის წარსულზედ. იმას აგონდებიან თავის დიდი ხნის სიცოცხლიდამ წამები, როცა ასე თუ ისე ბედნიერი იყო. ამისთანა წამები ბევრი არ მოიძებნება სვიმონის წარსულში, მაგრამ იმათი აწ-

მყოსთან შედარებით მაინც კმაყოფილია, როგორც ყოველი სიკეთილს მიახლოებული კაცი.

აი გაიტაცეს სვიმონი ფიქრებმა და დაუყენეს თვალ-წინ ახალგაზდა, ცოცხალი მარჯვე დიაკონი. დიაკონს ცხრა გვერდი ეშმაკის აქვსო რომ იტყვიან სწორედ იმაზედ იყო გამოჭრილი. მართლაც, რა ეშმაკი იყო სვიმონა დიაკონი რომ იცოდეთ, მაგრამ ცუდი ეშმაკი-კი არა. ის იყო ეშმაკივით მიმბდი[illegible]მი, ეშმაკივით გონიერი, ეშმაკივით მკვირცხლი, ეშ[illegible]მაკივით გამოჩალხული ყოველისფერში, მაგრამ ,ეშმაკივით ბოროტი-კი არა. რა უყოთ მერე, ხ[illegible]ანდისხან მოატყუებდა სვიმონა ნეოფიტე ბერს, თვ[illegible]ის მასწავლებელს «ქამნ-დავითნის» კითხვის დროს[illegible] რა უყოთ მერე, თუ ხანდისხან სალაროს კლიტე[illegible]აც მოჰპარავდა იმას და ჩუმად მის შენახულ ღვი[illegible]ოს, ან არაყს გადაჰკრავდა? რა უყოთ მერე თუ ხ[illegible]ანდისხან ლოცვის მაგიერ კვირა[illegible] საღამოს ქალიშვ[illegible]ლებში ჩაერეოდა სვიმონა და ხუმრობასა და თ[illegible]ქაშს დაიწყებდა? მაშ რა უნდა ექნა ახალგაზდა სვ[illegible]ძონას, თუ კი ცხონებული ნეოფიტე ძალიან სა[illegible]ტიკი მასწავლებელი იყო, ერთობ ხელ-მოჭერილი ეკონომოსი და მეტად შეუბრალებელი მოძღვარი?...

ერთხელ მთელი დღე მშიერი იყო სვიმონა, რადგან რომელიღაც გრძელი ლოცვა ვერ დაესწაელა იმ დღისთვის ზეპირად. სანამ არ გეცოდინება, არაფერს გაჭმევო, უთხრა ნეოფიტემ დილას, როცა ლოცვა ჰკითხა და სვიმონამ ვერ უთხრა. აგერ სამხრობამ

მოატანა და სვიმონას ჯერ ნახევარიც არ ჰქონდა დასწავლილი. რაღა ეზეპირებოდა უბედურს, როცა კუჭი შიმშილით ეწოდა? ეხლა მთელი იმისი გონება იმაზედ იყო მიმართული, როგორმე საჭმელი ეშოვნა. რასაკვირველია, ამ დროს თუ მოახერხებდა, ქურდობასაც არ დაზოგავდა. პატარა ხანს უკან ერთი ბრმა გლახა ეწვია ნეოფიტეს. ნეოფიტემ მაშინვე შეიყვანა სახლში მათხოვარი და სამხარი მოუტანა. დაჯდნენ გლახა და მისი მხლებელი და შეექცნენ საჭმელს; ნეოფიტე გვერდით მოუჯდა და ამბების კითხვა დაუწყო, სვიმონა-კი თავზედ უნდა სდგომოდა სტუმრებს და ღვინო ესხა. საწყალი სვიმონა! ერთი ლუკმა ერთ რამეს ერჩია, მაგრამ ნეოფიტეს ბიაკის სიტყვის შესრულება უყვარდა და შეიძლება ეახშმი კი ეჭმია ამალამ, თორემ მანამდის არაფერს აჭმევდა სვიმონას, თუ ლოცვას ვერ დაისწავლიდა. ბი ვაათავა გლახის მხლებელმა ჭამა და გარეთ გავიდა; ნეოფიტეც იმას გაჰყვა და იქვე წინ-კარში მუსაიფი დაიწყეს. ბლახა ისევე სჭამდა და სვიმონა თავზედ ადგა. ბი ისიც გაათავებს ეხლავე და მთელი გომიჯი და ნახევარი მორჩება. სვიმონამ იცის, რომ ამ გომიჯებს ხვირჯინში უკერენ თავს და გლახა თან წაიღებს, მაშინ როდესაც სვიმონას შია. საშინლად შია... ამ დროს უკანა კარიდამ კატა შამოვიდა და ზედ საძირკველზედ დასკუპდა. სვიმონას სახე გაებრწყინდა; ეტყობოდა, რომ რაღაც კარგი ფიქრი მოუვიდა თავში, «მიაააუ», დაიკნაველა კატამ და წამოვიდა

სუფრისკენ. «Ციც, ციც შე საბრაზე»! დაიყვირა სვიმონამ, დააელო ნახევარ გომიჯს ხელი და გაეარდა უკანა კარში. ქატას შეეშინა და თვალის დახამხამებაში სადღაც გადიკარგა. სვიმონამ ჩაიდვა გომიჯი ჯიბეში და, ვითომც აქ არაფერი ამბავია, შამოვიდა სახლში. ბლახა კიდეც ამდგარიყო. რა ამბავია? იკითხა ნეოფიტემ? კატამ გომიჯის ნატეხი მოიტაცა და იმას გამოეკიდე, მიუგო სვიმონამ.—მერე შენ სად იყავი, რას უყურებდი? შენ. არამზადა შენ!.. წადი ეხლავე და ისწავლე ლოცვა, თორემ მე შენ დღეს?.. სვიმონასაც ეს უნდოდა; სიტყვაც აღარ დაუთავებინებია ისე წავიდა და შეექცა ძლიეს ნაშოენ გომიჯს... მოაგონდა სვიმონ მღვდელს ეს და მრავალი ამისთანა ეშმაკობა თავის ბავშვობიდამ, თავის სიყვაწვილიდამ და თვალები ცრემლებით ევსება. საკვირველია, თითქოს უკანასკნელმა ჟამმა მოაწიაო, სვიმონი ყველაფერს იგონებს თავის ცოდვებს. «მისაც რაც ცოდვა ჩაუდენია ამ სოფლად, როცა ქრისტეს წინ წადგება ძეორეთ მოსვლის დროს, ყველაფერი იმის ტანისამოსზე იქნება დახატული და დაწერილი, რომ ყველას შეეძლოს წაკითხვა», უზრიალებენ ყურში სვიმონს ნეოფიტეს საყვარელი სიტყვები. «ნეტა სად არის ეხლა ნეოფიტე? ჰფიქრობს სვიმონი: «სამოთხეში იქნება, სამოთხეში სწორეთ. ოჰ ღმერთო, ყოველად მოწყალეო, შემინდეე ყოველი შეცოდებანი ნებსითნი და უნებლიეთნი».

მაგრამ ნეოფიტე გაჰქრა და იმისი ადგილი დაი-

კავა ჯერ ახალგაზდა ლამაზმა ქალიშვილმა, მერე პატიოსანმა ჭკვიანმა დედაკაცმა. ეს ქალი იყო სვიმონის საყვარელი ცოლი ვარდო; წინ წარმოუდგენ იმისი მშვენიერი თვალები, რომელნიც მოკრიალებულ ცასა ჰგავდნენ, იმისი ნაზი სიყვარულით საესე სახე...

ვარდო არ იყო ამ ქვეყნისთვის გაჩენილი, იმისი ადგილი ცაში იყო ანგელოზებთან და მალეც მოშორდა იგი სვიმონს, ოჰ, რა პატიეს სცემდა ვარდო სვიმონს. როგორ უყვარდა! მოაგონდა სვიმონს ვარდოსთან გატარებული ტკბილი დრო და საშინლათ უკვირს, ამდენი ხანი როგორ გაძლო უმი, სოდ? ოჰ, რა ბედნიერნი იყვნენ სვიმონი და ვარდო ნამეტურ სვიმონის მღვდლად კურთხევის პირველ ხანებში! პირველი ანაფორა სვიმონს ვარდომ შეუკერა. საუბედუროდ დიდხანს აღარ უცოცხლია ამის შემდეგ ვარდოს. ასე რომ მისგან შეკერილი ანაფორა ჯერ ისევ ახალი იყო, როცა მოკვდა. სვიმონმა მაშინვე გაიძრო ის ანაფორა და «წმიდა წმიდათასაეით» აქეს შენახული. ნათქვამი აქეს კიდეც შინ, რომ უსათუოდ იმ ანაფორაში უნდა დაიმარხოს. «პირველად ეს ანაფორა მეცვა და უკანასკნელადაც ეს ჩავიცვაო», ამბობს სვიმონი. იქნება მალე ერგოს სვიმონს «მისი ჩაცმა!.. ოჰ, რა ბედნიერი იქნება სვიმონი, როცა ჩადგება იმ სოფლად თავის ვარდოს წინ მისგან შეკერილ ანაფორაში! «შენ მოკვდი, ვარდო, მაგრამ ჩემთვის მუდამ ცოცხალი იყავიო, ეტყვის სვიმონი ვარდოს; არც ტყვილს ეტყვის: ვარდო მართლაც

რომ ყოველთვის ცოცხალი იყო სეიმონისთვის. ნოველთვის მისი მეგარველი ანგელოზი იყო. როცა რამე საქმე შეხვდებოდა სეიმონს, ჯერ მოისაზრებდა, რა აზრის იქნებოდა იმაზედ, ვარდო, რომ ცოცხალი ყოფილიყო და ისე გააკეთებდა; ან სულ თავს დაანებებდა, თუ დარწმუნდებოდა, რომ ეს საქმე ვარდოს არ ესიამოვნებოდა. სეიმონს სწამდა, რომ ვარდო მუდამ იმასთან იყო და კარგს ურჩევდა, ცუდისგან იფარავდა...

ბაერთო მოხუცი სეიმონ მღვდელი ამ ფიქრებში და არც-კი შეუტყვია, როგორ აივსო ხალხით საყდარი და დაიწყეს ცისკარი. მხოლოდ ერთხელ შემოესმა სეიმონს «ქრისტე აღსდგას» გალობა და მაშინაც მხოლოდ ერთი კაცის ხმას მოჰკრა ყური. ეს ხმა იესე დიაკვნის ხმა იყო, რომელიც ყოველთვის აკანკალებდა სეიმონს და მოაგონებდა თავის საყვარელს ვარდოს. ამის მიზეზი ის იყო, რომ პირველი იესეს ხმა და ვარდოს უკანასკნელი ერთს დროს მოხდენენ. იესემ პირველად მაშინ იტირა, მაშინ ამოიღო ხმა, როდესაც ვარდომ უკანასკნელად ამოიკვნესა და სამუდამოდ დადუმდა. ვარდო თან გადაჰყვა თავის პირველს შვილს, რომელიც არც-კი უნახავს, რომლისთვისაც არც-კი მოუკიდნია ხელი, არ მოუალერსნია დედაშვილურად. მოაგონდა სეიმონს ეს წამი, როდესაც ერთის მხრით გაბედნიერდა, შვილი შეეძინა და მეორეს მხრით გაუბედურდა, საყვარელი ცოლი მოუკვდა. ოჰ, რა საშინელი წამი იყო

ეს წამი, როდესაც არ იცოდა სეიმონმა რა ექნა, მადლობა ეძღვნა ღვთისათვის, თუ საყვედური, ეცინა, თუ ეტირა? მოაგონდა სეიმონს მაშინდელი მდგომარეობა, ერთი საშინლად ამოიოხრა და მიაბჯინა კედელს თავისი თოლიევით გათეთრებული თავი. ცრემლები ლაპა-ლუპით მოსცვივიან იმის თვალებიდამ; მოგორავენ, როგორც მარგალიტები, ჯერ იმის დამჭკნარ ლოყებზე, თითქოს ლარებზე, მერე იმის თეთრ წვერზე, რომლის ბოლოშიაც გროვდებიან ერთად და წვეთ-წვეთად ეცემიან ძირს.

გარდა ამ წამის მოგონებისა სხვა მიზეზებიც ბევრი აქეს სეიმონს, რომ იტიროს და ტირის, ტირის.

რაკი სეიმონს ერთად ერთი სახსოვარი დარჩა მხოლოდ ვარდოსი, რომელიც ასე მოულოდნელად გამოესალმა, საშინლად შეუყვარდა თავისი იესე, თავისი ნუგეში, იესე იმისთვის შვილიც იყო და ვარდოს სახსოვარიც.

სეიმონიც მხოლოდ იესეში ხედავდა თავის სიცოცხლის საგანსა; რომ იესე არ დარჩენოდა, ვარდოს სიკვდილს ვერ აიტანდა იგი. მართლაც სეიმონი სულ იესეზედ ჰფიქრობდა: «აი გაიზრდება ჩემი იესე, მოიყვანს ცოლს, შვილები ეყოლებიან; მე დავებერდები, სამსახურიდამ გამოვალ, ჩემ მაგიერ ეკურთხება იესე და, როცა მოვკვდები, მიწირავს ხოლმეო», ოცნებობდა ხშირად სეიმონი. მართლაც გაიზარდა იესე, ცოლიც მოიყვანა, შვილებიც ეყოლა; სეიმონი დაბერდა და იძულებული შეიქმნა სამსახურიდამ

გამოსულიყო, მაგრამ... მის მაგიერ Iესე როდი კურთხეულა მღვდლად,—Iესე ისევ ისე დიაკონია და მღვდლად ვიღაცა სხვა აკურთხეს. რატომ? «იმიტომ რომ Iესე უსწავლელიაო.» Uფრო-კი იმიტომ, რომ ბლაღოჩინი არ სწყალობდა სვიმონს, თორემ ეხლანდელი მღვდელი რა ნასწავლია? ნასწავლი-კი არ არის და უფრო მდიდარი კია Iესეზედ, თუ-კი სიმდიდრე რამე საჭიროა მღვდლისთვის. Aმასთან კიდეც ენათესაევება ბლაღოჩინს... სვიმონს-კი რითი უნდა მოეგო ბლაღოჩინის გული, რომ არაფერი გააჩნდა? ისე-კი ბევრს ეცადა, ბევრი ირბინა თავ-ქუდ მოგლეჯილმა ხან იქით და ხან აქეთ, რამდენიმეჯერ მღვდელმთავართან მიეიდა სათხოვრად, მაგრამ არაფერი ეშველა. Aლბად ყველანი სამღვრთო წერილის სიტყვებით ხელ-მძღვანელობდნენ და ვისაც ჰქონდა, იმას აძლევდნენ, ასე რომ, რადგან Iესეს არაფერი ჰქონდა, არც მღვდლობა მისცეს და უკურთხი დასტოვეს. მოაგონდა სვიმონს ეს გარემოება და ამ მოგონებამ კიდევ უფრო ჩაუშხამა ისღვაც დაშხამული გული, კიდევ უფრო შეუწუხა სული. Aნ-კი როგორ არ უნდა შეუწუხდეს სვიმონს სული, როდესაც იცის, რომ მის მაგიერ Iესე აღარ იქნება მამა-პაპეულ საყდარში მღვდლად; როდესაც იცის, რომ მის ცხედარს აღარ წაუძღვება წინ იმისი შვილი შემოსილი, .როგორც თვითონ მიუძღოდა მამას, მამა ბაბუას, ბაბუა პაპას?.. Dიახ, უწუხს სვიმონს სული და სტირის, სტირის... მაგრამ აი ხელ-ახლავ მოვიდა იმასთან მისი მარდო;

ვარდო კი არა, ვარდოს სახით მშვენიერი ანგელოზი, გაბრწყინებული, რომლის სახეზედაც რალაც ციური მადლი იყო და არა ამ ქვეყნის მწუხარების ბეჭედი დასმული. მოვიდა ეს მშვენიერი ბოხეენება სვიმონთან და ეუბნება: «გეყოფა სვიმონ, გეყოფა ამ ქვეყანაში წვალება. დროა წახვიდე აქედამ და მოისვენო შენს ვარდოსთან, რომელიც მოუთმენლად მიგელის».. ძიდევ უთხრა რალაცები მოჩვენებამ, მაგრამ სვიმონს სიხარულის გამო მეტი აღარაფერი გაუგონია. «ვარდო მიელის სვიმონს, მისი ვარდო»!.. ოჰ რა ტკბილია ეს სიტყვები სვიმონისთვის, როგორ უბორძგალოპს იმას გული!..

აი მოვიდნენ სვიმონთან სხვა ანგელოზებიც, მოვიდნენ ბევრნი, უთვალავნი და შამოესვენენ გარს. ოჰ, რა მშვენიერები არიან და რა ტკბილად გალობენ «ქრისტე აღსდგას». ბალობენ და იწვევენ სვიმონს თავისკენ. საკვირველია, სვიმონს აღარც თვალს აკლია ეხლა და აღარც ყურს; სვიმონი ჰხედავს ყველაფერს, სვიმონს ესმის ყველაფერი. ძალაც მოემატა სვიმონს: ის მარჯვედ სდგას თავის ფეხებზედ და მიჰყვება, მიჰყვება-კი არა, თითქოს ფრთები გამოესხაო იმათთან ერთად მიფრინავს, მიფრინავს თავის ვარდოსთან...

მზის ჩასვლის დროს მთელი ე—ნი იმაზედ ლაპარაკობდა, თუ როგორ სასწაულებრივად გარდაიცვალა სვიმონი; ნაწირევს როგორ გამოეთხოვა ყველას, როგორ მიილო წმიდა საიდუმლო, მერე რო-

გორი დარიგება მისცა თავის შვილს: «რაც უნდა გაგიხდეს, ერთი შვილი მაინც გამოზარდეო», უთხრა თურმე, «ასწავლე, ასწავლე ერთს მაინც, რომ ის მაინც ეკურთხოს მღვდლად და მე და შენ მოგვიხსენოსო; ნასწავლი თუ იქნება, მაშინ ეელარაფერს დაკლებენ ბოროტი სულებიო».

«აცხონოს ღმერთმა! ღირსი იყო და ღირსეულად მოკვდაო», ამბობდნენ ზოგნი. «აღდგომას ვინც მოკვდება, ყველა ცხონებულია, თორემ სეიმონი, რასაკვირველია, ცხონდებაო», უმატებდნენ სხვები...

ჭ ი ნ ა ჭ ი ნ ი.

I

მშვენიერი ზაფხულის დილა იყო. მზეს თუმცა უხვად მოეფინა დედა-მიწაზე თავისი სხივები, მაგრამ ჯერ კიდევ გრილოდა. ხან-და-ხან ჰქროდა საამო ნიავი და ჰფენდა გარშემო ბაღებიდამ ტკბილ სურნელებას სხვა-და-სხვა ყვავილებისას. დიდი სიმხიარულე იდგა, სულიერი თუ უსულო სიამოვნებით შეჰხარობდა ამ ბედნიერ დილას.

არც კ—ის სასოფლო სკოლის პაწაწა შეგირდებით მოფენილი ეზო იყო მოწყენილი ამ დილას: ბავშვები უკან არ ჩამორჩენოდნენ საერთო მხიარულებაში სიცოცხლით სავსე ბუნებას და მასთან ერთად დღესასწაულობდნენ, ათასნაირ თამაშობაში გართულნი. სულ პატარეები ჭრელ პეპელებს დასდევდნენ დასაჭერად შფრო მოზდილები რიკ-ტაფელას თამაშობდნენ, ყველაზედ უფროსები ბურთს გაეტაცნა და იქით-აქეთ დარბოდნენ თავდავიწყებულ-

ნი. სკოლის აივანი საესე იყო პატარა გოგოებით; ესენი რაღაცეებს აკეთებდნენ—ალბად თაეიანთ დედოფალეებისთვის—და ისე მხიარულად იცინოდნენ, რომ მათი კისკისი მაღლა ღმერთს ეყურებოდა...

აგერ გამოვიდა აივანზედ ახალგაზდა, ცოტათი ჭამბდარი კაცი. ღიმილით გაიარ-გამოიარა გოგოებში, ზოგიერთებს კიდეც დაელაპარაკა და მივიდა სეეტთან, სადაც ზარი ეკიდა. ბოგოებმა იცოდნენ, რომ ზარის დარეკა იყო საჭირო და თეალებში შესცქეროდნენ მასწავლებელს, არა მე დამარეკიე, არა მეო.

— დარო, მოდი დარეკე!—დაუძახა მასწავლებელმა ყველაზედ უფრო პატარა გოგოს, რომელიც კუთხეში იჯდა მარტოდ. ბოგოს აქამდის მოწყენილი სახე გაუბრწყინდა: ლოყები გაუწითლდა, თვალები გაუცოცხლდა, ტუჩებმა გაულიმა. თვალის დახამხამებაზე მიირბინა სეეტთან, ძლივს მოჰკიდა ზარის ბაწარს ხელი და რამდენიმეჯერ ჩამოაწკარუნა.

ბაიგონეს თუ არა ბავშვებმა ზარის ხმა, მაშინვე მიატოვეს თამაშობა და ყეირილით გაიქცნენ სკოლისკენ. ბოგოები ღაროსთან ერთად ბიჭებზედ უმალ შეეიდნენ სკოლაში. სკოლის კარებზედ იდგა მასწავლებელი და უცინოდა თავის მოწაფეებს, რომელნიც მხიარულად მოხტოდნენ მის წინ.

— ბეერი ითამაშე? — ჰკითხა მასწავლებელმა ერთს შეგირდს.

— ბეერი,—მიუგო მან.

— როცა სახლში მიხვიდე, არ დაგავიწყდეს, გააკირინე, სახელო დაგგლეჯია. ბავშვმა დახედა ჩამოხეულ სახელოს, გაწითლდა და შეეიდა სკოლაში.

— სიკო, რად კოჭლობ?—ჰკითხა მეორე შევირდს მასწავლებელმა.

— ეკალი შემესო ფეხში,—უპასუხა ბავშვმა და აჩვენა გამოგლეჯილ წულიდამ გამოყოფილი ტიტველი ქუსლი.

— მერე ვერ გამოიღე?

— ვერა.

— მოდი ჩემთან, მე გამოგიღებ.

მასწავლებელი და ბავშვი შეეიდნენ იქვე ოთახში. პატარა ხანს უკან ბავშვი გახარებული გამოვიდა იქიდამ და თამაშ-თამაშობით შეეიდა სკოლაში.

როცა ყველანი მივიდნენ და დასხდნენ თავ-თავიანთ ადგილებზედ, მასწავლებელიც შეეიდა; შეგირდები მაშინვე ადგნენ და ერთმა მათგანმა წაიკითხა სწავლის დაწყების წინ სათქმელი ლოცვა.

— დაჯექით!—უთხრა მასწავლებელმა შეგირდებს, როცა ლოცვა გათავდა,

შეგირდები დასხდნენ. მასწავლებელმა ერთი გაიარ-გამოიარა და გაჩერდა შუა ადგილზედ. შეგირდებმა ხმა გაკმინდეს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის ფრენასაც გაიგონებდა ადამიანი.

— დღეს ჩვენ გვეწვევა ერთი სტუმარი,—ღიმილით დაიწყო მასწავლებელმა:—როცა აქ შემოვიდეს, ყველანი ადექით და, სანამ არ გითხრათ, ნუ დაჯ-

დებით. როცა გკითხოსთ რამე. პასუხი თავმომად უთ-ხარით, ხმა მაღლა, გარკვეეით,. არ შეგეშინოსთ! ის ერთობ კეთილი კაცია და ბავშვები ძლიერ უყვარს. გკითხავსთ მხოლოდ იმას, რაც იცით და გისწავლიათ. Ოდნა კი უნდა მოიხმაროთ, როცა საჭიროება მოი-ტანს, და ღღეს სწორედ საჭირო იქნება მისი მოხმა-რება, რაც გისწავლიათ. აბა თქვენ იცით!..

ბაათაეა ეს სიტყვები, მივიდა კედელთან, სადაც გამოკიდული იყო შეგირდების სახელი და გვარები, და ჩამოიკითხა, რომ გაეგო, ვინ არ იყო იმ ღღეს სკოლაში. აღმოჩნდა, რომ ერთი პაწაწა ბავშვს, მიხას, გარდა ყველა იყო.

— ავად ხომ არ არის მიხა, თუ იცით ვინმე?— იკითხა მასწავლებელმა. ბავშვებმა ერთი მეორეს გა-დახედეს და პასუხი კი ვერავინ უთხრა.

II

პაწაწა მიხა ავად არ იყო, მაგრამ სკოლაში წა-სასვლელად მაინც არ სცალოდა. საბრალო მიხას დედას აკვანებდა და იმ დილასაც საშინლად გააცივა. მიხას მამა ყანაში იყო წასული და ავადმყოფს—მი-ხას მეტი პატრონი არავინ ჰყავდა. ჯერ ვითომ გაუ-ძალდა მიხას დედა სენს და სადილის კეთებას მიჰყო ხელი, მაგრამ ფეხებმა და ხელებმა უსუსტეს უბედურს, და იძულებული შეიქნა დაწოლილიყო. დაწვა საწყა-ლი, მოატანია მიხას რაც რამ ქვეშსაგების მაგვარი

მოიპოვებოდა მათ სახლში, მოატანია აგრეთვე რაც რამ კონკები ებადათ, და დაიყარა ყველაფერი თავზედ; მაინც ვერაფერი ეშველა, ვერ გათბა.

— მოდი შვილო შენც დამაწვეი, თვარა მოვკვდი სიცივით,—უთხრა შვილს აკანკალებულმა დედამ.

მიხა მაშინვე მივიდა და ჩაეკრა დედას. რამოდენიმე ხანს ასე იყვნენ დედა-შვილი. ბათბა, როგორც იქმნა, მიხას დედა და მიხაც ძირს ჩამოვიდა. ნელ-ნელა სიცხემ უმატა ავადმყოფს და პატარა ხანს უკან ისეთი ბორგვა დაიწყო, რომ, რაც ეხურა, ყველაფერი გადაყარა.

— წყალი, წყალი!... იძახოდა ყოველს წამს ავადმყოფი და მიხაც აწოდებდა პატარა ხელადით წყალს.

ღამასობაში შუა ღღემ მოატანა. ავადმყოფს ოფლი მოედინა და დაწყნარდა. მიხა თავით უჯდა და ფიქრებში იყო ვართული.

ეხლა რა ამბავია სკოლაში,—ფიქრობდა მიხა:—იქნება კარგი რამ არის და მე-კი წასელა არ შემიძლია...

მიხა არ სტყუვდებოდა; სკოლაში მართლა კარგი ამბავი იყო. სტუმარი, რომელზედაც მასწავლებელი ეუბნებოდა შეგირდებს, მართლა ეწვია სკოლას. იგი დაესწრო გაკვეთილებს და შეგირდების ცოდნით მადლობელი დარჩა. ბევრმა შეგირდმა საჩუქარიც მიიღო მისგან კარგი სწავლისათვის, და მთელმა სკოლამ მასწავლებელთან ერთად მადლობა დაიმსახურა.

ნეტა ეხლა მამა მოვიდოდეს, —ფიქრობდა მიხა: — რომ მე სკოლაში წავიდე!

მიხამ იცოდა, რომ ეხლა გვიანღა იყო, მაგრამ მაინც უნდოდა სკოლაში მისელა. დიდი ხანი არ იყო, რაც მიხა სკოლაში შეეყვანეს, მაგრამ ისე შეუყვარდა სკოლაში სიარული, მასწავლებელის ყურისგდება, სასიამოვნო ამბების კითხვა ახალ წიგნში, რომელიც ანბანს შემდეგ დააწყებინეს, რომ ის დღე, რა დღესაც სკოლაში ვერ წავიდოდა, დღედ არ მიაჩნდა.

ამ დროს მიხას მამა სიმინდს მარგლიდა ყანაში. სადილობის დრომ მოატანა და იმისთვის კი სადილი კაცს არ მიჰქონდა.

ალბად კიდევ გაბრაზებულ დედა-კაცს, —იფიქრა იმან, როცა ნახა, რომ აღარავინ მოდის, და მწარედ დაღონებული წავიდა შინისკენ.

— რა ექნა, რა მოეხერხა, რომ არ ვიცი?— ფიქრობდა საბრალო მუშა-კაცი გზაზედ:—ავადმყოფს მოვუარო, სადილი ვაკეთო, თუ ვთხოვნო? დაგელოცა, ღმერთო, სამართალი!.., მარტო-ხელი კაცი ვარ და ამდენი საქმე კისერზედ მაწვეს. რა ექნა, რომელ ერთს გავუძღვე? ამ დღეებში «ბორჩიკიც» მომადგება კარებზედ ფოსტის ფულისთვის და მე-კი ორი გროში ვერ მიშოვნია, ქინაქინი ვიყიდო, იქნება დედა-კაცს ციებამ თავი დაანებოს...

ამ მწარე ფიქრებში იყო გართული უბედური მიხას მამა, მაგრამ შეეიდა თუ არა თავის სახლში, სადაც ავადმყოფი ცოლი იწვა, მაშინვე ალერსია-

ნად დაეკითხა აეადმყოფს, როგორა ხარო.

— რაღა როგორა ვარ, საშინლად გამაცივა,— ძლივს უპასუხა ცოლმა.

— არაფერია,—ღიმილით უთხრა ქმარმა,—დღეს ან ხვალ საიდგანმე ღმერთი მოწყალებას მოიღებს ჩვენზედ; ფულს ვიშოვი, ერთი-ორ ჯერს ქინაქინს გადაგაშუშხვინებ და სულ კუდით ქვას ვასროლინებ შენს ციებას.

— ქინაქინი კი არა, ნეტავი რაც საჭიროა, იმისთვის ვიშოვიდეთ ფულს,—სთქვა აეადმყოფმა.

— მიშოვით, ვიშოვით!.. აბა ხომ ჩვენზედ არ შეიკერის ქვეყანა?—ამბობდა მიხეს მამა.

— მამი, რა არის ქინაქინი?—იკითხა მიხამ, ცნობის მოყვარეობით გატაცებულმა.

— წამალია, შვილო, მერე რა წამალი,—დედაშენმა ეხლა ერთი წვეთი რომ დალიოს, მაშინვე ფეხზე წამოდგება—უთხრა მამამ.

მიხა გაჩუმდა; ველარაფერი სთქვა, ისე გაიტაცა დედის მორჩენის სურვილმა.

— ნეტა ერთი ფულს ვიპოვიდე ღღეს, რომ დედისთვის «ქინაქინი» ვაყიდვიო მამას, ფიქრობდა მიხა და გულში ღმერთს ეხვეწებოდა:—ღმერთო, გზაზედ ფული მაპოვნიეო.

— მიხა, შვილო, თუ გინდა, წადი სკოლაში!— უთხრა დედამ მიხას, რადგან იცოდა, რომ სკოლაში წასვლა მიხას არ ეწყინებოდა.

— წადი, შვილო, წადი,—უთხრა მამამაც:—

წადი, იქნება ისწავლო რამე და გამოიყენო, თეარა ხომ ხედავ ჩვენს გაჭირვებას? წადი, მე სადილს დაგახვედრებ...

მიხასაც ეს უნდოდა; მაშინვე წამოხტა ფეხზე, ჩაიწყო ჩანთაში წიგნები და გაექანა მხიარული სკოლისაკენ.

III

როცა მიხა სკოლაში შეეიდა და დაინახა თავის ამხანაგების გაბრწყინვებული სახე, ბედნიერი მასწავლებელი, კმაყოფილი სტუმარი, დაინახა, რომ მთელს სკოლას რაღაც სადღესასწაულო ფერი დასდებია,— აღარ იცოდა, რა ექმნა, შემკრთალი გაჩერდა ერთს ადგილზედ და მიაჩერდა მასწავლებელს, თითქოს თვალებით შესთხოვს, გამაგებინე, რა ამბავია აქაო.

— მიხას გაუმარჯოს!—დაუძახა მასწავლებელმა ღიმილით:—სად იყავი ამდენს ხანს?

მიხა არაფერს არ ამბობდა და გაშტერებული იდგა.

— სხვა დროს არ დაგიგვიანებია და დღეს როგორ დაგემართა, რომ ამისთანა ბედნიერ დღეს გამოგვაკლდი? დღეს ჩვენ გვეწვია ძვირფასი სტუმარი, ყველანი შეძლების-და გვარად დაეხვედით და მადლობა დაეიმსახურეთ. შენ-კი ასე გვიან მოხვედი... მაგრე უნდა მასპინძლობა?...

მიხას თვალები ძირს დაეშვა და ცრემლებით ევსებოდა. რამდენიმე სიტყვა რომ ეთქვათ კიდევ, ის

ტირილს დაიწყებდა; მაგრამ ამ დროს მიიხმო სტუმარმა მასწავლებელი და ცოტა ხანს ჩუმად ელაპარაკებოდა. ლაპარაკის დროს ორივენი მიხას უყურებდნენ. მერე მივიდა მასწავლებელი მიხასთან, გადაუსვა თავზედ ხელი და უთხრა:

— არა უშავს-რა, კიდევ კარგ დროს მოგვისწარი. აბა წამოდი და შენებურად წაუკითხე ჩვენს სტუმარს წიგნი.

— მოდი ჩემთან, მოდი, პაწაწავ!—უთხრა სტუმარმაც ალერსიანად მიხას. მიხას იამა მასწავლებელისა და სტუმრის სიტყვების კილო და თამამად მივიდა.

— აბა, მოჰყევი აქედამ!—უთხრა სტუმარმა და აჩვენა გადაშლილ წიგნზედ ადგილი. მიხა ჯერ ხმის კანკალით შეუდგა კითხვას, მერე და მერე კი გათამამდა და ჩინებულად დაიწყო კითხვა. წაკითხვის შერე სტუმარმა ათქმევინა წანაკითხი, და მიხამაც მშვენიერად უამბო ყველაფერი, რაც წაიკითხა. მერე ლექსები ათქმევინეს მიხას ზეპირად, მერე საანგარიშო მისცეს. მიხამ თავი გამოიჩინა, ისე კარგათ უთხრა ყველაფერი.

— ეოჩალ, ეოჩალ!—იძახოდა სტუმარი. მასწავლებელი გახარებული იყო მიხას პასუხებით, სტუმარი გაკვირვებული.

ბაათავა მიხას გამოკითხვა.

— საჩუქარი რომ აღარა მაქვს შენთვის!—გულდაწყვეტილი ეუბნებოდა მიხას სტუმარი:—რაც მქონდა, ყველა დავარიგე ღღეს.

— ნუ შესწუხდებით, მე მივცემ საჩუქარს თქვენ მაგიერ,—უთხრა სტუმარს მასწავლებელმა.

თქვენ-კი მისცემთ, მაგრამ მე მინდა, რომ ჩემგანაც ჰქონდეს რამე. მე მოგცემთ ფულს და გთხოვთ, ჩემ მაგიერ უყიდოთ, რაც თვითონ ჰსურს.

ამ სიტყვებზედ ამოიღო სტუმარმა რამოდენიმე თეთრი ფული და მისცა მასწავლებელს. მასწავლებელმა გამოართვა და მიუბრუნდა მიხას.

— მიხა ბარემ ეხლავე მითხარი, რა გიყიდო ამ ფულით?

— «ქინაქინი»! — წამოიძახა უცებ გახარებულმა მიხამ.

ყველამ ყურები ცქვიტა და გაოცებულებმა შეჰხედეს.

— რა?—დაეკითხა მეორედ მასწავლებელი, რომელსაც ეგონა, რომ ყურმა მომატყუაო.

— «ქინაქინი»!—განიმეორა ბავშვმა.

— იცი მერე, რა არის ქინაქინი?—ღიმილით ჰკითხა სტუმარმა მიხას.

— წამალია!—მიუგო ბავშვმა.

— მერე რად გინდა შენ ეგ წამალი?—ჰკითხა მასწავლებელმა.

— დედას აცივებს და მამა სწუხს: უფულობას რა ვუყო, თვარა «ქინაქინს» ვიყიდდი და მოვარჩენდიო.

სტუმარმა და მასწავლებელმა ერთმანეთს შეჰხედეს...

იმ სალამოს მასწავლებელი და ფერშალი მახლობელ დაბიდამ მიგიდნენ მიხას სახლში. ფერშალმა ჰნახა ავადმყოფი, საჭირო წამლები (რასაკვირველია «ქინაქინიც») დაუტოვა და დარიგებაც მისცა, როგორ მოქცეულიყო. მაძწავლებელმა-კი პატარა სურათებიანი წიგნი მოუტანა მიხას. აუწერელია ის მხიარულება, რომელსაც ჰგრძნობდნენ როგორც მიხას მშობლები, ისე თვითონ მიხა; იმისი მხოლოდ გრძნობა შეიძლება და არა გამოთქმა.

უბრალო მსხვერპლი.

სურათები ჩვენს ხალხის ცხოვრებიდან

I

მზე ჩასული იყო. დღე და ღამე ერთმანერთს მალე უნდა შეყროდენ და გაყროდენ კიდევაც. მალე მნელს უნდა მოეცა არე მარე, მაგრამ ქოწია ჯაპარიშვილს კიდევ არ დაენებებინა მუშაობისთვის თავი. იგი გაცხარებით ურტყამდა თოხს მიწას, უნდოდა ბარემ გაეთავებინა თავისი პირველი და უკანასკნელი ყანა. იქვე იყო ქოწიას მოხუცი დედა, რომელიც მოჭრილ ჩალას ჰკრებდა და ერთად აგრიგებდა საქონლისთვის.

ქოწია ღარიბი აზნაურშვილი იყო: სულ რამდენიმე ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა. მიწას თვითონ ეე იმუშავებდა, მაგრამ სარჩოდ მაინც არა ჰყოფნიდა. ერთი პატარა ვენახიც ჰქონდა ქოწიას და ეს ვენახი კარგ საქმეს უშერებოდა: ყოველ წელიწადს გაჰყიდიდა ორ სამ საპალნე ღვინოს და ამ ფულით სიმინდს ჰყიდულობდა, ტანისამოსს იცვლიდა. თვითონ ნაქაჩს სჯერდებოდა და როცა ეს გამოელეოდა, წყალსაც კარგად გიახლებოდათ, თუმცა მისი სო-

ფელი განთქმული იყო ზემო იმერეთში ღვინის მოსაელით. თუ კიდეე დასჭირდებოდა ქოწიას ფული, მაშინ მეტი გზა არ იყო, ან შაეს ქვაზედ უნდა წასულიყო, ან რკინის გზაზედ, სამუშაოდ. მოჯამაგირედ-კი თაეის დღეში არ დამდგარა ქოწია. «მოჯამაგირობა კაცს ძალაუნებურად რყენისო», ამბობდა იგი, როცა ვისთანმე დადგომას ურჩეედნენ.

ჯერ კიდეე არ გაეთაეებინა ქოწიას თოხნა, როდესაც რაღაც ტკაცუნი მოისმა. აშკარა იყო, რომ სადღაც ღობე ტყდებოდა. ხმის გაგონების უმალვე ქოწიამ დააგდო თოხი, დააელო ხელი ცულს, რომელიც იქეე ხის ძირში ეგდო და გაექანა.

— არ შამოგაკვდეს, ქოწია! მიაძახა შეილს გაფითრებულმა დედამ და თეითონაც დაედეენა უკან. ორიეე დედა-შეილი მიხედა, რომ ეენახში მეზობლის ხარი გადმოვიდა. იმ ხარს არა ერთხელ ჭუოხრებია ქოწიას ნამუშევარი; ამიტომაც წაილო ეხლა ქოწიამ ცული. ბევრჯერ შეხვეწნია ქოწია ხარის პატრონს, მოეშორებინა მისთეის ხარი, მაგრამ იკი ყურსაც არ აბარტყუნებდა.

— დაები, ზურაბა, შენი უჯიშო ხარი, თორემ ღმერთმანი მოეკლაეო, უთხრა უკანასკნელად ქოწიამ.

— აბა ერთი გაბედე და გაყურებინებ შენს სეირსო, მიუგო იმან.

ზურაბა ჯაეარიშეილი მდიდარი და გაელენიანი კაცი იყო მთელს სოფელში და ქოწიასთანა ბიჭ-ბუჭების არ ეშინოდა. ბევრ ქოწიასთანებისთეის უწყეე

ლინებია ზურაბას დაბადების დღე და ქოწიასი კი-
დეე უფრო სჭირდა ჯავრი: ერთგან ზურაბას ეზოს
ქოწიას ენახი ესაზღვრებოდა და ზურაბას თავის
ადგილების შამოსარგვალებლად იმისი ჩაგდებაც უნ-
დოდა ხელში. მაგრამ ქოწიამ არ დაანება თავისი
ოფლით მორწყული ადგილი, არც მიჰყიდა, არც სხვა
ადგილში გაუცვალა. ამაზედ ზურაბას გული მო-
უვიდა და გადაემტერა ქოწიას, ისე, რომ ყო-
ველთვის დროს ეძებდა, რამე მოეხერხებინა მის-
თვის.

ქოწიას დედამ ეს იცოდა და ძალიან ეშინო-
და ზურაბასი. ამიტომაც უთხრა ქოწიას, არ შამო-
გაკვდესო. საბრალო დარწმუნებული იყო, რომ ხარის
სიკვდილს ძვირად დაუჯენდა მათ ზურაბა და შიშის-
გან სულ კანკალებდა. ქოწიას-კი აღარაფერი აღარ
გახსენებია, როცა ხარი თავის პაწაწა ენახში დაინა-
ხა. მაინც ის წყეული, თითქოს განგებ ქოწიას გუ-
ლის მოსაკვლელად, არხეინად დაბრძანდებოდა წვრილ
კვალებში და ხან აქ გადათელავდა ახალ გამოსხმულ
ვაზს და ხან იქ. ამის დანახვაზედ ქოწიას გული აუ-
ტორტმანდა, სახე საზარლად დაემანჭა, თვალები აენ-
თო და ცულმოღერებული გამოეკიდა ხარს მოსაკ-
ლავად. მართლაც მიიმწყვდია ქოწიამ იქვე მდგომ
მარანთან საწყალი პირუტყვი და ისეთ ნაირად ღაჰ-
კრა ცული, რომ უბედურმა ერთი დაიღრიალა და
იქვე წაიქცა. ამ დროს მოვარდა ქლოშინით ქოწიას
დედაც, მაგრამ, რა ნახა, რომ ხარი მიწაზედ ფეხებს

აფართხალებდა, ეელარაფერი ეელარ სთქვა და თვალ ცრემლიანი მოშორებით დადგა. ძოწია გაშტერებული დასჩერებოდა ხარს, თითქოს სტკბება იმის სიკვდილითო.

პატარა ხანს უკან ხარი უკანასკნელად დაინძრა და მოკვდა. ძოწიაც თითქოს ამას უცდიდაო, გამოტრიალდა და ისევ ყანაში დაუბრუნა წასვლა. ამ დროს მივიდა მასთან დედა და ხმის კანკალით უთხრა:

— სად მიხვალ, შვილო? ამას რას უპირებ?

— რა უნდა ვუყო, მოვიდეს ზურაბა და ნახოს თავისი ხარი, მიუგო ძოწიამ: ენახავ, აწი თუ კიდევ გადმოვა ჩემს ვენახში.

— არა, შვილო, ამ საქმის წაყრუება არ ივარგებს, უთხრა ისევ დედამ; ეხლავე უნდა წახვიდე კეთილ-სინდისიერთან და შეატყობინო ამბავი. თუ წამოგყვეს, ამაღამვე წამოიყვანე, თუ არა და ხვალ მაინც ადრე უნდა მოვიდეს, რომ ხარის წანახდენიც შეაფასოს და ხარიც. მერე, რაც დაგვედება, უნდა გადავუხადოთ აქვე ზურაბას, თვარა, თუ საჩივლელად წავიდა საქმე, ვინ გაუძღვება, მარტო-ხელი ხარ... ძოწია ხმას არ იღებდა, ძაღლებს მისჩერებოდა, რომელთაც აქვე მოეყარათ თავი და სძღებოდნენ სისხლით, და ილიმებოდა, თითქოს რაღაც უხარიაო.

— ეარ გესმის, შვილო? განაგრძო ისევ დედამ: წადი, დამიჯერე! ხომ იცი, რომ ზურაბასათვის ღმერთი არ არსებობს და არაფერს არ დაზოგავს, ოღონდ ჩვენ დაგვღუპოს?...

თან-და-თან შავი ფარდა ეშეებოდა ციდან დედა-მიწაზე. ბარშემო სრული სიჩუმე სუფევდა. მთელი ბუნება ის იყო მოსასვენებლად ემზადებოდა, ქოწიას დედის გულს-კი ეხლა დაეწყო გაცხარებული მუშაობა. იმისი ბრაგა-ბრუგი, მგონი, იქ მდგომ ხეებსაც-კი ესმოდათ, რომელნიც, თითქოს გულმოსულნი შრიალობდნენ, ვინ არის ძილს რომ გვიკრთხობსო.

— აბა, ნულარ იგვიანებ, შვილო, შენ შემოგველოს დედა შენი. ძიდევ არ მშვიდდებოდა ქოწიას დედა.

— ქარგი, წავალ, მაგრამ ამ უპატრონოს რა ეუყოთ? ტყულა ძაღლები გააფუჭებენ, ამოილო ძლიეს ხმა ქოწიამ.

— მგ აგერ მარანში შეეათრიოთ რამენაირად, უთხრა დედამ.

— მაშ კარგი, დაიძახა ქოწიამ და მოჰკიდა ხარს ხელი. დედაც მოეხმარა და დიდის გაჭირვებით შეათრიეს მარანში. ამასობაში სღლ დაღამდა. შმთვარო ღამე იყო და არც ვარსკვლავები მოსჩანდნენ. შცებ მოიღრუბლა ცა და მოიღუშა ბუნება, თითქოს რაღაც ეწყინაო.

ქოწია კეთილ-სინდისიერთან წავიდა, დედა მისი კი ყანაში წავიდა თოხის წამოსაღებად. როცა იმ ადგილს გამოიარა, სადაც ხარი მოკვდა, მიწა მოთოხნა და ამ გვარად ისედაც ძაღლებისაგან მოსლექილი სისხლი სულ მოაშორა. ალბად შეეზარა უბედურს სისხლის დანახვა!

II

მახშმობა იქნებოდა, როცა ქოწია მეორე სოფელში გადავიდა კეთილ-სინდისიერის სანახავად, მაგრამ უკანასკნელი შინ არ დახვდა. ესეც არის, ეხლა მოვიდნენ და წაიყვანესო, უთხრეს ქოწიას: შეიძლება ამაღამ სულ არ მოვიდესო.

ქოწია მთელი დღის ნაშრომი იყო მერე აღელვებამ და ხარის ცოდვილმა, ეხლა კიდევ სიარულმა მეტად დაღალეს და სხვაგან კიდევ წასხვლა დაეზარა და სახლში წამოვიდა. ქოწიას არც-კი ესმოდა მაინც-და-მაინც, რა იყო საჩქარო, ისე იყო გაშტერებული. ხარი მოკვდა, გაცოცხლება აღარ შეიძლება და სიკვლილს-კი როცა გაივებენ სულ ერთი არ არისო? ჰფიქრობდა იგი.

შუა ღამე იქნებოდა, როცა ქოწია შინ მოვიდა. დედას არ იამა მისი ცარიელი მოსელა, მაგრამ რაღას იზამდა? ხედავდა, რომ ქოწია ერთობ დაქანცული იყო და ეეღარაფერი ეეღარ უთხრა; მხოლოდ ვახშამი შეჰპატიჟა. მაგრამ ქოწიას აღარაფერი აღარ ესმოდა; მჩვარივით დაეგდო მაშინვე ლოგინში და იმ წუთშივე დაეძინა. საბრალო დედას კი რა ექნა, არ იცოდა; იდგა ერთს ადგილზედ და დასჩერებოდა მძინარე შვილს. მინ იცის, რამდენს ხანს იქნებოდა ასე გაშტერებული საწყალი, რომ ფეხებს კანკალი არ დაეწყო მისთვის და ლოგინზედ არ მიგდებულიყო თვითონაც: ძილით სრულიად არ ეძინებოდა უბედურს, მაგრამ მაინც მიფორთხდა შვილის ფეხებთან, გადახვია ორივე ხელი ქოწიას მუხლებს და განაბა სული.

პატარა ხანს უკან ტკბილად ეძინა ამ სახლში ქოწიას, ტკბილად ეძინა აგრეთვე დიდ ბებრუხანა კატას კერიის ძირში, ტკბილად ეძინათ ორ პატარა ცინდლებსაც ნაცარში. მხოლოდ ქოწიას დედას არ ეძინა და არ ეძინა. იმას ზურაბას მხეცური სახე არ შორდებოდა თვალიდან და სულ იმაზედ ჰფიქრობდა, როგორ გათავდებოდა ხარის საქმე. იმის აზრით ზურაბა კაცი კი არა, მხეცი იყო, რომელიც არასფერს არ დაიშურებდა, ოღონდ თავის მოპირდაპირის გულის ჯავრი ამოეყარა. მართლაც რომელი მხეცი შეედრება გაპირუტყვებულს, მხეცად გადაქცეულს კაცს? მხეცი კაცი ყოველ მხეცზედ საშიშარია, რადგან სიმხეცესთან ჭკუაცა აქვს. საბრალო ქოწიას დედა! იმას არა ერთი და ორი დედა უნახავს ზურაბასაგან ატირებული და, რასაკვირველია, არც თვითონ დაეყრებოდა ხეირი. ჰფიქრობს ამ ნაირად საწყალი და თანაც ყურები გაუკქვეტია. ასე ჰგონია, რომ ამალამვე დაესხმის თავს ზურაბა. აი, კიდეკაც მოესმა რაღაც ხმაურობა. იგი შეკრთა და სულგანაბული ისმენდა. ხმაურობა გაგრძელდა და ქოწიას დედა მიხვდა, რომ თაგვი ხრავდა რაღაცას რომელღაც კუნჭულში. ქოწიას დედას გული დაუშოშმანდა. ოჰ, რას მისცემდა ეხლა იგი, რომ თაგვად გაჩენილიყო და არა კაცად! მართლაც საბატრი არ არის თუ მისთვის ეხლა იმ თაგვის მდგომარეობა, რომელიც არხეინად ხრავს ეგერ კაკალს? იმას ეხლა არაფრის არ ეშინია, რადგან იცის, რომ მის ერთად ერთ მტერს

ბებრუხანა კატას ტკბილად სძინავს...

მაგრამ კიდევ პატარა ხანი; ქოწიას დედა ისევ ფიქრებში იყო გართული, როცა კელავ მოესმა ხმაურობა. ეხლა-კი უბედურს სიმწრის ოფლმა დაასხა და მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ხმაურობას ძაღლის ყეფა მოჰყვა; ძაღლის ყეფას რამოდენიმე კაცის ფეხის ხმა და ლაპარაკი. აი მოისმა საშინელი ძაღლის წკავილი. ქოწიას დედა მიხვდა, რომ მისი ერთგული მურა გაულახეს მისმა მტრებმა. აი კიდევაც მოადგნენ ვილაცაები კარებს და გაჩერდნენ. ქოწიას დედა ვერხვის ფოთოლივით თრთის, სულთქმისაც კი ეშინია. დაუწკურავს უბედურს ყურები და არ ინძრევა, თითქოს კურდღელია და მეძებრებმა ზედ კვალი მიიტანესო...

«ქაკ-კუკ, კაკ-კუკ» მოისმა კარზედ კაკუნი. «ბრაგ-ბრუგ, ბრაგ-ბრუგ» მისცა ბანი ქოწიას დედის გულმა კარზედ კაკუნს. «ქარგია, ადექი! სანამდის გინდა იმალო?» დაუძახა ვილამაც საბრალოს გულის რომლისამე კუნჭულიდამ. ქოწიას დედაც, როგორც იქნა, ადგა და მივიდა კერიასთან, რომ ცეცხლი მოენთო. «მიაააუ» დაიკნაველა ამ დროს ბებრუხანა კატამ, თითქოს გული მოდის. რა დროს ცეცხლის დანთება არისო. ბაიგონეს დედის ხმა პატარაებმა და გამოცქვიტეს ყურები, იფიქრეს, სწორეთ ჩვენ გვეძახისო და მისცვივდნენ. ბებრუხანამ დაინახა თუ არა ისინი, დაიწყო თავისებურად ტკბილი ღრუტუნი. ცინდლებსაც ეს უნდოდათ, მივარდნენ და ჩაეკვ-

რენ ძუძუებში. ბერეხუა წამოდგა, ერთი გააზმორა, ბეწვი ყალყზე შეაყენა, კუდი გააბზიკა და მოუწვა ისევ შვილებს. მერე დაუწყო იმათ სლაქვა და კუდის ქნევით მოფერება. შეხედა ქოწიას დედამ ბედნიერ პირუტყვეთ და თავში გაუელვა: «ნეტავი თქვენ, რა ბედნიერები ხართო»... საბრალო ადამიანი! ნეტავი იქნება ის დრო, რომ კაცს აღარ შურდეს პირუტყვთა ცხოვრება, აღარ ნანობდეს, რომ კაცია?...

ქოწია, ქოწია, არ გესმის? მოისმა გარედამ ბოლოს. აბ ხმამ მძინარე ქოწიაც გამოაღვიძა და მღვიძარე დედა მისს კი სულ დაუბნია დავთარი. ეს ხმა სოფლის ხევის თავის იყო.

— აცალეთ, ჯერ ჩემი ბარის ხორცი არ მოუნელებიათ! ეს ხმა თეითონ ზურაბის იყო. ამ სიტყვებს მოჰყვა მხიარული ხმა-მაღალი ხარხარი. ეტყობოდა კარებთან ხუთი ექვსი კაცი იყო მოგროვილი. ამასობაში დაანთო ქოწიას დედამ ცეცხლი. ქოწიაც ადგა.

— ქაცო, რა დაგემართა ამდენხანს? გაგვიღე კარი! კიდევ მოისმა გარედამ. ეს მამასახლისის ხმა იყო. ქოწიამ ერთი გააზმორა და ბარბაცით მივიდა კარებთან. შრდული გამოუყარა და კარები გაიღო.

სახლში შამოვიდნენ მამასახლისი, მისი მწერალი, ხევის თავები, კეთილსინდისიერი, რომელიც ქოწიამ შინ ვერ ნახა, და თეითონ ზურაბა. ამათ დანახვაზე ქოწიას დედას გული წაუვიდა და ძლივს შეიმაგრა თავი. ქოწია კი ისე იყო გაშტერებული, რომ

ეერ გამოერკვია, რა ამბავი იყო მის თავზედ?

III

ზურაბა ჯაფარიშვილმა სიმდიდრე და სიმდიდრესთან გავლენა დიდი ხანი არ არის, რაც შეიძინა. ზურაბას და ოლოზიას ოჯახი ერთი მეორის განაყოფი იყო და ადგილ-მამული ერთმანეთზედ მეტი არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ზურაბამ «თავის ჭკუით და მეცადინეობით» როგორც სოფლებში ამბობდნენ, უფრო ჯი უსინდისობით და უპატიოსნობით ბევრი ფული იშოვა.

ასეა, თუ ისე, ზურაბას ამ ჟამად ბევრი ფული აქვს და კიდევ ბევრს შოულობს: ასესხებს მამასისხლად თავის ფულს და ილებს ურულ სარგებელს. «ნიუსტოიკა»-ც პირველმა ზურაბამ შემოიღო სოფელში და ეხლა ყველამ იცის მისი გემო. ამ ნაირად ზურაბა სახელოვანი კაცი შეიქნა მარტო თავის სოფელში-კი არა, მთელს სამამასახლისოში, სადაც ყველასაგან პატივი დაიმსახურა. ან კი როგორ არ ექნება იმას პატივი, როცა ყველას ეშისი ფული ჰმართებს. მთელი სოფლის სასამართლო თავის მამასახლისით, მწერლით და სხვა მოხელეებით ზურაბას ყურმოჭრილი ყმები არიან, რადგან ყველანი იმის წყალობით ვრიან დაყენებულნი. ვისაც ზურაბა სწყალობს, კაცრეკ ის არის მთელს სოფელში. ამიტომ დიდი და პატარა, ყველა სცდილობს მოიგოს იმისი გული. ბევრს იქნება არ კი უყვარდეს ზურაბა, მაგრამ

თუნდ თავის სინიდისის წინააღმდეგ, მაინც პატივი უნდა სცეს. დიახ, ზურაბა სრული ბატონია მთელს სოფელში. ან-კი რით ჩამოუვარდება იგი ძველს ბატონებს? განა ყველა მისი მოვალეები მისი ყმები არ არიან? ტყუილად კი არ ლაპარაკობენ, თავადიშვილებს ჩამოერთვათ ყმები და ზურაბას-კი მიეცაო. მართლაც ძველად თუ ბატონები ასამართლებდნენ თავის ყმებს, ეხლა ზურაბა ასამართლებს ყველას. ყოველ შაბათს, როცა სოფლის სასამართლოში საქმეების გარჩევაა, ზურაბაც შებრძანდება თავის ჯორზე და მიბრძანდება იქ. დაინახავენ თუ არა ზურაბას, მამასახლისი, მწერალი, მსაჯულები, ყველანი გამოეგებებიან გარეთ და ზოგი ცხენის აღვირს ჰკიდებს ხელს, ზოგი ავჟანდს ჩამოუწევს და ამნაირად ჩამოაბრძანებენ ჯორიდამ. მერე შებრძანდება ზურაბა სასამართლოში და სითაც თვითონ ნებავს, იქით გადიწევა სამართლის სასწორიც იმის მიხედვით, თუ გუშინ რომელმა მხარემ უფრო მეტი უძღვნა მის უძირო ჯიბეს. ისე საქმე არ გაირჩევა, რომ ზურაბა არ ერიოს შიგ ან როგორც დამცველი, ან როგორც ექსპერტი და სხვ. ძრიელ ხშირად თვითონ ზურაბას საქმეებიც ირჩევა მის მოვალეებთან და სხვა დამოკიდებელ პირებთან. მაი ამ უკანასკნელების ბრალი ბაშინ! ტყუილად ნურავინ იფიქრებს, რომ ზურაბასთან სიმართლე გაუვიდეს!... ამიტომაც ეშინოდა ქოწიას დედას ზურაბასი, ამიტომაც აგონდებოდნენ იმას ზურაბასაგან ატირებული დედები!...

ზურაბა დიდი ხანია მიზეზს ეძებდა, როგორმე ქოწია ჩაეგდო ხელში და ძრიელ იამა, როცა უთხრეს ბიჭებმა, ქოწიამ ხარი მოჰკლაო. იმან მაშინვე გაგზავნა ერთი ბიჭი შორიდამ ეთვალთვალნა, აბა რას უზამდნენ ხარს და ყველაფერი გაიგო, გახარებულმა ულვაშებზედ ხელი გადისვა და ჩაიცინა. «ქარგია, აწი მე ვიცი», ამბობდა ჩუმად ზურაბა. «მე კაცი არ ვიქნები, თუ ნაობახთში არ გამოვალპე ის გლახა, ის»

მაშინვე ერთი ბიჭი ცხენით აფრინა იმ კეთილ-სინდისიერთან, რომელთანაც ქოწია წავიდა. ისინი გზაზედ უნდა შეცილებოდენ ერთმანეთს, რადგან ქოწია ყანებით წავიდოდა და კეთილ-სინდისიერი-კი საცხენოსნო გზით უნდა წამოსულიყო. მეორე ბიჭი მამასახლისთან გააგზავნა, მწერალიც დაიბარა, მესამე ხევის თავებთან და ,ამ ნაირად გაჩალხა საქმე: ვითამ ქოწიამ იმას ხარი მოჰპარა და დაკლა კიდეც, რომ ხორცი გაჰყიდოს მახლობელ დაბაში.

ეახშმობამდის ყველა ზურაბასაგან მოწვეულმა პირებმა მოიყარეს თავი. ზურაბამ აუხსნა იმათ, რაში იყო საქმე და სთხოვა, ჯერ ეახშამი ეჭამათ და-მერე გაეჩხრიკათ ქოწიას სახლი. ეახშამი ერთობ გაავრძელა ზურაბამ, რადგან უნდოდა ქოწიაც შინ ენახათ დაბრუნებული. ეახშმად ბევრი დედლები შეიჭამა, ბევრი ღვინო დაილია და უიმისოდაც ზურაბას პატიესმცემელი სტუმრები კიდევ უფრო მოემზადნენ «ნუნუას» წყალობით მის სასამსახურად. ნაეახშმევს

დიდის ამბით გაემგზავრენ ყველანი ქოწიას სახლში, თითქოს გაეარდნილ ყაჩაღის დასაჭერად მიდიანო.

მისელისათანავე არავისთვის არაფერი არ უკითხავთ, ისე დაიწყეს სახლის ჩხრეკა და რაკი მართლა მარანში ახალ მოკლული ხარი ნახეს, არც აცივეს, არც აცხელეს, არც კარგი გაიგონეს, არც ავი, ოქმი შეაყენეს, როგორც ზურაბას უნდოდა ისე. არავინ არ დაიჯერა, რომ ხარი ვენახში იყო მკედარი და არა მარანში ქურდულად.

ოქმი, როგორც რიგია, მამასახლისისაგან დამტკიცებული «საკუთარის ხელის-მოწერით და სახელმწიფო ბეჭდის დასმით», აგრეთვე ხევის თავებისაგან და კეთილ-სინდისიერისაგან დამოწმებული თითქმის იმ ღამესვე წარუდგინეს ადგილობრივ მთავრობას. რასაკვირველია, მაშინვე ფიცხელი განკარგულება მოხდა და ქოწია, როგორც კეთილ-შობილი კაცი და ქურდი, დატუსაღებული იქმნა სამაზრო საპატიმროში; საქმე-კი გამომძიებელს გადაეცა.

IV

ბავიდა რამდენიმე თვე: რამდენიმე თვე კი არა, რამდენიმე საუკუნე ქოწიასა და დედა მისისთვის. მართლაც წარმოუდგენელია ქოწიას მდგომარეობა ამ ხნის განმავალობაში. ქოწია დილას რომ ადგებოდა, მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობდა, რაც შეიძლება მეტი ემოშაინა იმ დღეს. იმან იცოდა, რომ

მთელი ოჯახი, საყვარელი დედა, მტერი და მოყვარე, ჭირი და ლხინი, ყველაფერი მარტო მის კისერზედ იყო და უნდოდა გაძღოლოდა, სირცხვილი არაფერში ენახა. ისიც იცოდა ქოწიამ, რომ დედა თანდა-თან ბერდებოდა და მალე შრომას სულ ვეღარ შესძლებდა. ამიტომ დრო იყო, მომხმარე ეშოვა, ცოლი შეერთო, რომელიც მასთან ერთად ულელში უნდა გაბმულიყო. მაგრამ ისიც ესმოდა ქოწიას, რომ ცოლის შერთვას ბევრი ახალი მოთხოვნილება მოჰყვებოდა და რიგიანი მომზადება იყო საჭირო. რამდენჯერ უთქვამს დედას მისთვის: «ე ბიჭო, შეირთე აწი ქალი, ნუ მომკლავ შენი ბედნიერების უნახავსო».—«არა დედა, ჯერ რა დროს ცოლ-შვილის მოკიდებაა, ჩვენც შიმშილით ეკვდებითო», ეტყოდა ხოლმე ამაზედ ქოწია: «ჯერ ბევრი, ბევრი შრომაა კიდევ საჭიროა». მართლაც, მთელს დღეს მის ხელებს გაჩერებულს ვერ ჰნახავდით. ქოწიას ძვალში და რბილში ჰქონდა გამჯდარი შრომისადმი სიყვარული. როგორც ნასწავლ კაცისთვის წიგნია საჭირო, რომლის კითხვითაც ის ან სწავლობს რასმეს, ან თავს ირთობს, ისე ქოწიასთვის შრომა იყო საჭირო. შრომა კიდევაც სწრთვნიდა ქოწიას გონებას, კიდევაც ართობდა. ფველას აკვირვებდა ქოწიასთანა ახალგაზდა ბიჭის და ისიც კიდევ აზნაურშვილის ამისთანა მუდმივი მუშაობა. «სწორეთ ვიღაც ყაზახის შვილია ეგაო», იტყოდა ხშირად ზურაბა ქოწიაზედ, თორემ ამ დენს ჯაფას როგორ იტანსო.—«დიახ, ქოწიას აზ-

ნაურშვილს არაფერი უგაესო», მიუგებდნენ ზურაბას ამაზედ მისი ხელქვეითები. ეს თუ გინდათ, მართალიც იყო: ქოწია არა ჰგავედა იმ ფლიდ და მუქთამჭამელ აზნაურშვილს, რომელიც ახალმა დრომ დაჰბადა ჩვენში. ქოწია მიხვდა, რომ უშრომლად არავინ არ ივარგებდა ეხლანდელ დროში და გლეხ-კაცთან ერთად მოჰკიდა თოხს ხელი. ის არა ჰგავდა არც ფულით გადიდკაცებულს ზურაბას. დიდი განსხვავება იყო ქოწიასა და ზურაბას შორის, თუმც ისინი ერთი გვარის იყვნენ. ქოწია მართლა რომ კეთილშობილი კაცი იყო, ზურაბა კი მარტო ქაღალდზედ იყო კეთილშობილი და ხან და ხან «მაღალ კეთილშობილიც». ქოწია ნამდვილი კაცი იყო, მუშა კაცი, რომელსაც შრომა აცოცხლებდა, ასულდგმულებდა. აი ამისთანა კაცი რამდენიმე თვე საპყრობილეში იჯდა, სადაც მუშაობა-კი არა, მზის დანახვაც არ შეეძლო. ნეტა რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში ქოწია? ჰფიქრობდა რასმე? ჰფიქრობდა კი არა, გულზე სკდებოდა, წვალობდა, იტანჯებოდა. ჯერ აწუხებდა ქოწიას თავისი თავი, მერე დედა მისი იმან იცოდა, რა გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც იქნებოდა ეხლა დედა. ცალკე დარდი, ცალკე ზურაბასთან ახლოს ყოფნა როგორ შეაწუხებდა იმას. ისიც შეიტყო ქოწიამ, რომ გამოძიებითაც მტკიცდებოდა მისი დანაშაული და ამან კიდევ უფრო მოუკლა გული, მოუწამლა სიცოცხლე. როგორ, ტყუილა უბრალოდ მართალი კაცი ამდენს ხანს ციხეში უნდა წვალობ-

დეს და საბრალო მოხუცებული ქალი უპატრონოდ იტანჯებოდეს? ნუ თუ ამ ქვეყანაში სიმართლე ასე იჩაგრება და ფულსა და ძალას ყველაფერი შეუძლია?...

ეხლა ქოწია რომ ვისმე ენახა იმის სოფლიდამ, ეელარ იცნობდა: ის გახდა, გაყვითლდა, თვალები ამოულილავდნენ, ხელები და ფეხები დაუმძიმდნენ. სადღა იყო იმისი მხნე და მამაცი შეხედულება, იმისი გადაჭინჭლილებული სახე? სადღა იყო იმისი თურაშაულ ვაშლიეით წითელი ლოყები, ვარდის ფრად მოელვარე ტუჩები, ცოცხალი, ცეცხლის მჯრქვეველი თვალები? ეს ყველაფერი გამქრალიყო და ქოწიას მაგიერ რალაც ლანდი იყო კიდევ, რომელსაც ქარიც კი წააქცევდა,—ისე გამოლეეოდა ღონე. ან კი რას უნდა შეენახა ქოწიაში ძალა, როდესაც იმას ყველაფერი ძალა წაართვეს? ალარაფერი ალარ დარჩენოდა ქოწიას, რომ მისი გახალისება შესაძლებელი ყოფილიყო. რწმენა დაეკარგა იმას და იმედი ხომ დიდი ხანია მოსპობილი ჰქონდა. მხოლოდ ერთად ერთი სიყვარული, წმინდა სიყვარული დედისა აძლევდა კიდევ ქოწიას სიცოცხლის საგანს. რომ ეს სიყვარული არა, ქოწია აწი ან ძალით მოიკლავდა თავს, ან თავისით მოკვდებოდა.

მთელი დღეები ეგდო ქოწია ერთს ადგილს, არავის ხმას არ სცემდა, არც არავინ იქით აწუხებდა ქოწიას, თუმცა მასთან ერთად კიდევ ბევრი ისხდნენ საპყრობილეში. მხოლოდ ტირილით იქარვებდა ჯავრს

ქოწია, ცრემლით ალბობდა თავის დამწვარს და დახ-
რაკულს გულს. მარტო კვირა დღეს ელოდა ქოწია
აღდგომასავით და ყველა მისი ფიქრები კვირაზედ
ტრიალებდნენ.

ქვირით ცოცხლობდა აგრეთვე ქოწიას დედაც.
ქვირაობით შეეძლოთ ორივე დედა-შვილს ერთი მეო-
რის ნახვით დამტკბარიყვნენ. ყოველ კვირას გაჩნდე-
ბოდა ქოწიას დედა საპყრობილის კარებთან და იც-
დიდა, როდის გახდებოდა თავის ქოწიას ნახვის ღირ-
სი. საბრალო ქოწიას დედა! ეს უარესს მდგომარეო-
ბაშიაც იყო, ვინემ ქოწია, თუმც თავისუფლებას არ
იყო მოკლებული. მეჰ, რა არის დედისთვის თავისუფ-
ლება, როდესაც ერთად ერთი მისი შვილი საპყრო-
ბილეშია და ისიც უდანაშაულოდ?

ორშაბათიდგან დაწყებული შაბათ საღამომდის
ქოწიას დედის ხელი ვერ გაჩერდებოდა, რადგან ყვე-
ლაფერი მარტო იმის კისერზე იყო ეხლა. ისიც გა-
მუდმებით მუშაობდა ხან შინ და ხან გარეთ და სცდი-
ლობდა, როგორმე წლიური სარჩო შეენახა. მთელს
სოფელში ერთიც არავინ გამოჩნდა, რომ იმას მოხ-
მარებოდა ამ გაჭირვებულ დროს, როცა შემოდგო-
მის გაცხარებული მუშაობა იყო. რა უნდა ექნათ?
ყველას ზურაბასი ეშინოდა, ყველას იმისი ხათრი
ჰქონდა.

მაგრამ საბედნიეროდ ქოწიას დედას იმედი არ
ჰქონდა დაკარგული და ამიტომაც აუდიოდა ყველა-
ფერს. ქოწია ატყუებდა იმას, მალე განმათავისუფლე-

ბენო და იმასაც ეგონა, რომ მალე მოუვიდოდა ქოწია და ისინი ხელ ახლავე დაიწყებდნენ უწინდებურ ტკბილ ცხოვრებას. თუმც დღეს მოსდევდა დღე, კვირას კვირა, თვეს თვე და ქოწიას არ ანთავისუფლებდნენ, მაგრამ დედას მაინც არ უტყდებოდა გული. იგი თითქოს გააკაქვს, გააფოლადეს ამდენმა უბედურებამ, ტანჯვა წვალებამ და ცრემლის ღვრამ.

V

ქოწიას საქმის გამოძიება გათავდა. რამდენიმეჯერ გამოკითხეს ქოწიას საქმის გარემოება; რამდენიმეჯერ დაიბარეს აგრეთვე ზურაბა თავის მოწმეებით. ქოწია ტირილით ამბობდა, რომ მართალი იყო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა? ერთი კაციც არ ჰყოლია თავის სიტყვების მოწმედ. დედა მისს ხომ არაფერს დაუჯერებენ და სხვა ვინ გაბედავდა ზურაბას წინააღმდეგ ლაპარაკს? იმათაც კი არ სთქვეს, რომ ქოწიამ ვენახში მოჰკლა ხარი, ვინც რამდენჯერმე მოციქულებადაც ყოფილიყვნენ ქოწიასა და ზურაბას შორის ამ ხარის თაობაზედ.

ამ რამდენიმე დღის წინათ უკანასკნელად დაიბარა გამომძიებელმა ქოწია და გამოუცხადა, რომ იმისი საქმე უკვე გამოიძია და ეხლა პროკურორს უნდა გადასცეს ქუთაისში.

ამას შემდეგ ქოწია საპყრობილის მეორე განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ოთხი კაცი კიდევ

იყო ჭუთაისს გასაგზავნი. ქოწიაც მათთან ერთად უნდა გაეგზავნათ.

ქოწიას ამხანაგებს არ იამათ ახალი ამხანაგის შეძენა, რალაც გლახა თვალ'თ შეჰხედეს ქოწიას. ისინი მუდამ ერთად იყვნენ, ჩურჩულობდნენ რალაცას და ერიდებოდნენ ქოწიას. აშკარა იყო, რომ იმათ რალაც საიდუმლო ჰქონდათ და ამ საიდუმლოს გაგებინება არ უნდოდათ ქოწიასათვის. ქოწია თვითონაც არ აწუხებდა იმათ. მოვიდა თუ არა, მაშინვე დაეგდო ერთ კუთხეში და იყო.

ერთხელ შუა ღამისას ქოწია რალაც ხმაურობამ გამოაღვიძა. ქოწიამაც ჯერ ვერ გამოარკვია, რისი ხმა ესმოდა. მხოლოდ მერე, როცა მიაჩვია თვალი სიბნელეს, გაარჩია, რომ რამდენიმე კაცს ერთი ჰყავთ აყვანილი და ეს ჭერის ფიცარს ხერხავს. მიხედა ქოწია ტუსაღების განზრახვას და სული განაბა, ამხანაგების მაგიერ ქოწიას ეშინოდა. «როგორ, გაპარვას ბედავენ ეგენი? ჰფიქრობდა იგი: «ჰმ, რა ნაირად გაექცევიან ეგენი ყარაულებს, რომელნიც გარს არტყიან საპყრობილეს? არა, ეგენი ვერსად წაელენ, მაგათ ხელ ახლავ დაიჭერენ, ან მოკვლენ!» ამას ჰფიქრობდა ქოწია და უნდოდა რჩევა მიეცა ტუსაღებისთვის, დაენებებინათ გაქცევისთვის თავი, როცა ერთმა მათგანმა დაუძახა:

— ძამია, გღვიძავს? ქოწიას შიშის ზარი დაეცა.

— ჰი, ძლიეს წარმოსთქვა იმან.

— ჩვენ ეს არის მივდივართ, განაგრძო იმავე

ტუსალმა: შენც წაგიყვანდით, მაგრამ ვერ შესძლებ და ტყულა ჩვენც დაგვაბრკოლებ. როცა გკითხონ ჩვენზედ, უთხარი, რომ არას ფერი იცი, როდის წაველით. შენ კიდეც დაგიმადლებენ, რომ არ ისარგებლე შემთხვევით და, და შეიძლება, სასჯელიც შეგიმსუბუქონ.

— თუ მაინც და მაინც მოგინდეს წამოსელა, ჩვენ რომ წავიდეთ, პატარა ხანს უკან შენც წამოდი, თუ შეგიძლია თავის შველა, უთხრა ქოწიას მეორემ.

— არა, ეგ ვერ წამოვა, სთქვა ისევ პირველმა: ეგ ბევრს ვერ იელის და აქვე დაიჭერენ. ხომ ძამია? დაეკითხა ქოწიას.

— ბაქცევის თავი სად მაქვს, ძლივს მიდგია სული, მიუგო ქოწიამ.

— ჭკუიანი კაცი ყოფილხარ... სთქვა ერთმა ტუსალმა და ყველამ გაიცინა.

— ბავათავე! დაიძახა ამ დროს იმან, რომელიც ჭერს ხერხავდა და ჩამოიღო მოზდილი ფიცრის ნაჭერი; ფიცარი ამხანაგებს გადასცა. ბაშინ მისცეს იმას ერთი მეორეზე ვადაბმული პერანგები, პერანგის ამხანაგები და ახალუხები, რომელთაც ბაწრის მაგიერობა უნდა შეესრულებინათ. მერე ასწია იგი ყველამ ზევით. ისიც მოებლაუჯა რაღაცას და ათოთხდა ჭერზედ. მერე შემოახვია ბოძს თავისი «ბაწარი» და ჩამოუშვა ძირს.

— აბა წამოდით, სიმაგრის ეჭვი ნუ გაქვსთ, დაუძახა ამხანაგებს. ამხანაგები თითო თითოდ ავიდნენ ჭერზედ.

— აბა მშვიდობით, ძმაო! დაუძახა ერთმა მათგანმა ქოწიას.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, მიუგო ქოწიამ.

პატარა ხანს უკან ყველაფერი დაწყნარდა ისევ. ტუსალებმა მშვიდობით მიაწიეს სანათურს, საიდამაც ავიდნენ სახურავზედ და სახურავიდამ ადვილი იყო იმათთანა მარჯვე ყაზახებისათვის საწვიმარ მილებით მიწაზედ დაშვება და გაქცევა.

VI

დარჩა ქოწია მარტო თავის ფიქრებთან, რომელნიც გარს ეხვეოდნენ მას და ჰქენჯნიდნენ. «აი, აგერ შეიქმნება ხრიალი, აი აგერ», ჰფიქრობდა ქოწია, მაგრამ ყველგან სამარისებრივი სიჩუმე სუფევდა. ქოწიას ცოტა არ იყოს, ეხარბებოდა, რომ ისინი, ვინც გუშინ მასთან ისხდნენ, ეხლა თავისუფალნი არიან, «კაცს შეიძლება კი გაექცნენ, მაგრამ ღმერთს რას უპირებენ, იმას ხომ ვერსად გაექცევიან?» ჰფიქრობდა ქოწია: «მაგრამ შეიძლება, ისინიც ჩემსავით უდანაშაულონი არიან... იკნება მარტო კაცისგან სჯირდებოდათ იმათ გაქცევა და გაიქცნენ კიდეეაც... იმათ უშველეს თავს... ნეტავი იმათ!» ცოტა ხანს კიდევ სულ განაბული ისმენდა ქოწია და მერე ისევ განაგრძო ფიქრი: «მე... ღმერთო ჩემო?... მე რა ვქნა? ნუ თუ ჩემთვის არავითარი საშველი არ არის?

ნუ თუ ციხეში უნდა ჩაელპე მე?... რამოდენსაჰე ხანს გაშტერებული იყო, თითქოს უნდა რამე პასუხი მისცეს თავის თავსო. «არა, არა» დაიძახა იმან ბოლოს და ადგა ზეზე. «უნდა წავიდე, მეც უნდა წავიდე», ამბობდა ის. « მაგრამ რა ნაირად?» გაუელვა თავში და მიეიდა გამოკრილ ჭერის პირდაპირ. მიეიდა და შეიხედა ზეეით. Ოჰ, რა ცოტა მანძილია იმასა და თავისუფლებას შუა! რაჰოდენსამე ხანს ისე იდგა, მერე უეცრად დაინახა ბაწარიეით ჩამოკიდებული ტანისამოსი და მოჰკიდა მას ხელი. მოჰკიდა და ჩამოსწია, მაგრამ არ ჩამოგჯა, მაშინ იმედი მიეცა ქოწიას, რომ თავისუფლების მოპოვება მის ხელთ არის და მარდად აიწია ზეეით. ქოწიას მოაგონდა თავისი სიყმაწეილე, როცა ხილის საქურლად აცოცდებოდა ხოლმე ხეზედ და ისე მიცოცავს ეხლაც, თითქოს ეს თეეები საპყროობილეში როდი გაუტარებიაო. აი, კიდეეაც მიაწია ქოწიამ ჭერამდის. აი, ხელებიც მოხვია ფიცრებს და შეეიდა ჭერზედ. აქ-კი დაჯდა ქოწია და დაისვენა. Ცოტა ხანს ისე იყო გაშტერებული, რომ არ სჯეროდა, თუ ჭერზედ იყო და სიზმარში ეგონა თავი. მაგრამ საიდამლაც მოხედა ციეი ქარი და გამოაფხიზლა. მიიხედა იქითკენ, საიდამაც ქარი მოდიოდა და დაინახა სანათური. აქ-კი ეეღარ გაძლო ქოწიამ, წამოდგა ზეზე და მიეიდა იმასთან. ეხლა სრულიად მოეიდა გონზედ ქოწია და ცხადად დაინახა თავისი მდგომარეობა. «ნუღა გეიანობ», უთხრა იმას გულმა. ქოწიამ აიხედა ზეეით; ცა მოღრუბ-

ლული იყო, მაგრამ აქა-იქ მაინც ბჟუტავდნენ ვარსკვლავები. Ოჰ, რა საშინლად უცემს ეხლა ძოწიას გული! ძვეეით საპყრობილეა ზეეით გაშლილი ცა, ქვეეით ჯოჯოხეთია, ზეეით სამოთხე! რომელი გინდა ამ ორში ძოწია? ჯოჯოხეთი, თუ სამოთხე, ტანჯვა-წვალება, თუ თავისუფალი ცხოვრება? ბეერი ფიქრი აღარ იყო საჭირო და ძოწიაც აეიდა სახურავზედ. ავიდა და დაიწყო ღრმად სუნთქვა. Ოოჰ, რამდენი ხანია მის ფილტვებს არ ჩაუსუნთქავსთ ამისთანა წმინდა ჰაერი, რამდენი ხანია მთელს მის არსებას არ უგრძვნია ნეტარება! ძოწიამ რამოდენიმე ხანს პირდაღებულმა უყურა ცას და ისუნთქა ჰაერი. მერე გაიხედა თავის სოფლისკენ და თვალთ წინ დაეხატა თავისი სახლი. აგერ დედა მისი ხვალისთვის (მეორე დღეს კვირა იყო) აცხობს ხაჭაპურებს, ადუღებს ფელამუშს, აკეთებს ყურძნისგან აკიდოს, რომ მიუტანოს ძოწიას. ის კი არ იცის საბრალომ, თუ ძოწია ეხლა გაქცევას აპირებს და ვინ იცის, ხვალ სად იქნება? «ნუღარ გვიანობ!» დაუძახა კიდევ ძოწიას გულმა. ძოწიაც მიეიდა ერთ საწვიმარ მილთან და ჩაიხედა ძირს. ნახა, რომ ბაიბური არსად არის და გათამამებულმა მოხვია ორივე ხელები მილს. ჯერ კიდევ ზეეით ეგონა ძოწიას თავი, რომ ტყვიასავით წავიდა ძირს და მიწაზედ გაასკვნეია ბრეგვა. ისე დაეცა საწყალი, რომ ყოველ სახსარში მკვილები იგრძნო და გაჩერდა. ეხლა აღარ იცოდა ძოწიამ, რა ექმნა? ტკივილებმა გამოაუხიზლეს ძოწია და ნათლად დაანახ-

ვეს, თუ რა ძნელ საქმეს მიჰყო ხელი. «სად მიხვალ?» გაუელვა ქოწიას თავში: «თუნდ ამალამ შინ მიეიდე, მერე რაღა ექმნა? ხომ ისევ დამიჭერენ? სად უნდა დაეიმალო?... სახლში სულ არ მიეიდე, სად წავიდე?... დედა ჩემს რა ეშველება?... შინ მე და ვინ გადაეარდნა?... მაშ რა ექნა? უკან დაებრუნდე? რომ ალარც უკან დაბრუნება შემიძლია... ოჰ, ღმერთო!»... ქილამ ხმა მაღლა დაიძახა უკანასკნელი სიტყვა და გაშტერდა. რამდენსამე ხანს ისე გაშტერებული იდგა ერთს ადგილზედ და არ ინძრეოდა. მაგრამ უეცრად რალაც ხმაურობა მოესმა და წამოცქვიტა ყურები. ტრახ, ტრუხ, ტრახ, ტრუხ! ისმოდა საიდამღაც. აშკარა იყო, ყარაული მოდიოდა. «აბიქა, ქოწია, თავს უშველე!» დაუძახა ქოწიას ვილაცამ რომელიღაც გულის კუნჭულიდამ და ქოწიაც გაიქცა. ყარაულმა გაიგო, რომ ვილაც მირბის და გამოეკიდა თვითონაც უკან. ქოწია მირბოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ რას იზამდა მისი გაქცევა? ყარაულმა იფიქრა ველარ მოვეწევიო და შეაყენა თოფი. «ბაჩერდი, გაჩერდი, თვარა მოგკლავ!» ყვიროდა ყარაული, მაგრამ ქოწიას არაფერი არ ესმოდა. ყარაულმა ჩაიღრუტუნა რალაც, როცა არაფერი გაუვიდა და ჩამოკრა ჩახმახს ხელი. ^Ooფი გავარდა. ქვამლმა კიდევ უფრო დააბნელა ისედაც ბნელი ღამე, მაგრამ სიბნელეშიაც ცხადად მიხვდებოდა კაცი, რომ ვილაც ფეხმოწყვეტით დაეცა მიწაზედ.

VII

მეორე დღეს ჯერ კიდევ მამალს არ ჰქონდა ნაყივლი, რომ ქოწიას დედა წამოვარდა ზეზე. იმას მთელი ღამე არ უძინია, ერთი ხურჯინი გააესო რაღაც რაღაცეებით და მხარზედ გადიკიდა; ხელში დიდი აკიდო დაიკავა ცოლიკაურის ყურძნის და წავიდა ქოწიას სანახავად. მეტად დაღონებული კი იყო. სხვიმის დღეის დღეს ყოველთვის მხიარული ყოფილა, დღეს-კი, თითქოს უშველებელი ლოდი აწევს გულზეო, სწუხდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რაზედ. Iქნება გულმა უგრძნო უბედურს!..:

აი გამოიარა თავისი სოფელი. მამლები ეხლა ყივოდნენ. ერთი რომ გაათავებდა, მეორე დაიწყებდა, თითქოს ერთი მეორეს ეჯიბრებიანო. ამ განუწყვეტელმა ყივილმა კიდევ უფრო შეუწუხეს ქოწიას დედას გული. ამიტომ იმას ეჩქარებოდა დიდ გზაზედ გასელა, სადაც შეეძლო თავისუფლად გართულიყო ფიქრებში.

აი, კიდევაც გავიდა ის შარაზე, რომელიც მდინარის პირად მიიკლაკნებოდა. დაინახა თუ არა წყალი, იფიქრა პირს დავიბანო და წავიდა იმისკენ. მართლაც, შეისხა პირზედ ცივი წყალი. წყალმა პირის სახე გაუცივა და გაუცოცხლა, მაგრამ გულს ვერასფერი მოუხერხა. მიდის საბრალო და მიდის ისევ ისე გულ შეწუხებული.

ამასობაში ღამე სრულიად მიიწურა; ვარსკვლა-

ვები თან-და-თან ჰქრებოდნენ, მხოლოდ ერთად ერთი «ცისკარი» ჯერ კიდევ მხიარულად კაშკაშებდა. ღრუბელი აღარსად იყო და ერთი უკეთესი შემოდგომის დღეთაგანი თენდებოდა.

აი, ცისკრის ვარსკვლავიც ჯერ ათრთოლდა, თითქოს თავის საყვარელს ელისო და მერე სრულიად გაფითრდა. აღმოსავლეთი სხვა-და-სხვა ფერად აბრჭყეიალდა, მზე უახლოვდებოდა ქვეყანას და მისი გზა თითქოს ყვავილებით იყო მოფენილი. აი ისროლა მზემ პირველი სხივი და გაანათლა მაღალი მთის წვერები. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე... და სინათლე თან-და-თან ეფინებოდა მთელს დედამიწას. ბოლოს მზე სრულიად ამოვიდა და ყველაფერმა სადღესასწაულო ფერი მიიღო. ფრინველებმაც, თითქოს ამას უცდიდნენო, სხვა-და-სხვა ჰანგზედ მორთეს ჭიკჭიკი და გალობა. იმათ ქება შეასხეს ახლად დამდგარ დღეს, «ისპოლა» უთხრეს დინჯად მომავალს მზეს, ამ პატრიარქს მთელის ბუნებისას. დილის ნიავმაც დაჰქროლა, ხეები შეირყენ და ფოთლებმა დაიწყეს ტკბილი შრიალი. მდინარე წყნარად მიდუდუნებდა. იგი ათას ფერად ბრწყინავდა მზის სხივებზედ, რომელნიც მის ტალღებს ეთამაშებოდნენ. ყველგან სიცოცხლე, ნეტარება იყო, მხოლოდ ჩვენი მგზაური ისევ ისე სწუხდა და რამდენიც უახლოვდებოდა მიზანს, იმდენი უფრო უკვდებოდა გული. აი კიდეეაც მიატანა ძოწიას დედამ მაზრის დაბას. აი, გამოჩნდნენ შენობები; გამოჩნდა საპყრობილეც. იც-

ნო უბედურმა შორიდამვე იგი და გულმა ძგერა დაუწყო. საპყრობილის კარებზედ ბევრი ხალხი იყო და ამან ცოტათი გააკვირვა ქოწიას დედა. ამდენი ხალხი ჯერ არ ენახა იმას აქ თავმოყრილი. ხიშტიანი რუსებიც ბევრი იყვნენ უწინდელზე და ეზოში არავის უშვებდენ. აი, ძლიეს მივიდა ქოწიას დედა კარებთან. რუსი წინ გადუდგა და არ უშვებს. ქოწიას დედა ეხვეწება, მაგრამ იმას არ ესმის.

მაოიდა პატარა ხანი, ქოწიას დედამ დაინახა ეილაც კაკარდიანი, რომელიც აქეთ მოდიოდა; მივიდა მაშინვე იმასთან და შეეხვეწა; შვილი მაჩვენეთო. ქაკარდიანმა უთხრა, დღეს არავისი ნახვა არ შეიძლებაო, მაგრამ მაინც ჰკითხა, ვინ იყო იმისი შვილი. როცა ქოწიას სახელი გაიგონა, ფერმა გადაჰკრა. სხვებმაც რაღაც სხვანაირ სახით შეხედეს ქოწიას დედას.

— რატომ არ შეიძლება? დღეს ხომ კვირაა და კვირას ყოველთვის ენახულობდი ხოლმე ჩემ შვილს.

— აწი რომ სულ ველარ ნახავ? სთქვა კაკარდიანმა და გაიღიმა.

— როგორ თუ ველარ ვნახავ? რას მერჩით? ღმერთი არ არის თქვენში? რა დაუშავებია ამის ფასი?... მიჩვენეთ, მიჩვენეთ, ახლა ხვეწნა დაიწყო უბედურმა: თქვენი ღვთის გულისათვის!...

ამ დროს მეორე კაკარდიანი მოვიდა, რომელსაც ეტყობოდა, რომ რუსი იყო. ეხლა ამას დაელრიჯა საბრალო ქოწიას დედა. ქაკარდიანმა გაიცინა,

როცა ქოწიას სახელი გაიგონა და დამტვრეული ქართულით უთხრა:

— ის გუშინ გარე ცაუდა და ტოპი მოკლა, ეკლა დოკტორი გაჩრა და მერე ნაკე! ქოწიას დედას არაფერი არ ესმოდა და გაშტერებული იდგა.

— დედაო, ეელარ გაიგე, რაც გითხრა? შენს შეილს წუხელის გაქცეეა მოუნდომებია და მოუკლაესთ, უთხრა პირეელმა კაკარდიანმა.

— ჩემი შეილი მოუკლაესთ! საზარის ხმით დაიღრიალა უბედურმა დედამ და დაიშინა თაეპირში ხელი.

— უიმე, შეილო, უიმე, შეილო, გაჰკიოდა ის და იწეწდა თმას, ითხლეშდა ლოყებს,—გამიშეით, გამიშეით! დაიყეირა მერე და გაეექანა საპყროობილისკენ, მაგრამ ყარაულებმა აღარ გაუშეეს და გააჩერეს. საზარი სანახაეი იყო ეხლა საბრალო ქმნილება: სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა ლოყებზედ და მოღლეტილს გულზედ; თვალებს გადარეულიეით აქროლებდა, დიაღ გადარეულიეით, რადგან ქოწიას დედას გონება სრულიად დაუკარგა მოულოდნელმა უბედურებამ და გადარეეაზედ შორს აღარ იყო.

ზოგია და ძანა

I

სოფელს თაბორში სცხოვრობდა შეძლებული ბლეხ-კაცი ზოგია მართალი შვილი. შეძლებას გარდა, ზოგია განთქმული იყო კიდევ იმითი, რომ მეტად ლამაზი ცოლი ჰყავდა, შველას უკვირდა, როგორ შეირთო ზოგიამ მოხუცებულობის დროს იმისთანა მშვენიერი ქალი, როგორიც ახალგაზდა ძანაა. მართლაც, გასაკვირველი იყო, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ზოგია და ძანა: ზოგია თითქმის სულ გაჭაღარავებულიყო და ღღითი ღღე ბერდებოდა, ძანა-კი ეხლა ჰყვაოდა, თანდათან მატულობდა მისი მომხიბლავი სილამაზე. ზოგია ჭკვიანი იყო, მართალი, გულ-ღია, მშრომელი მუშაკი, ძანა-კი ცქრიალა, მაცდური, ეშმაკი, უზრუნველი გოგო; ზოგიას ხელს გაჩერებულს ვერა ჭნახავდით, სულ მუშაობდა; ცოდვილობდა ხან შინ, ხან ყანაში, ძანა-კი ჩიტივით დაფრინავდა თაბორის გოგო-ბიჭებში და სიმღერა ცეკვის შეტს არაფერს აკეთებდა.

ამასთან ზოგია საშინელი გულ-კეთილი იყო და არაფერს არ უშლიდა თავისს ცოლს. „ის ყმაწვილია, მე მოხუცებული ვარ, ის მოდის მე მივდივარ და დვე,

დასტკბეს ცხოერებით, მოვითმენ, რა გაეწყობაო», ჰფიქრობდა ხოლმე ზოგია.

სამწუხაროდ ქანა მეტად სარგებლობდა ზოგიას გულ-კეთილობით: იმ თავითვე ისე დაიჭირა საქმე, რომ ზოგიას აღარაფერი აღარ შეეძლო. თუ ისე არ მოხდა, როგორც მე მსურს, ეხლავე წავალ შენის სახლიდგანაო, ეტყოდა ქანა ზოგიას, რადგან იცოდა მისის სისუსტის ამბავი, და ზოგიაც ხმას ჩაიკმენდდა, თავს მიანებებდა ხოლმე ქანას. ასე რომ არ ექნა და მართლა გაქცეულიყო ქანა იმის სახლიდგან, მაშინ ზოგიას ამდენის ხნის პატიოსნად დაცული ოჯახი ხომ საუკუნოდ უნდა გაბახებულიყო და მთელის სოფლის ყბად ასაღები გამხდარიყო? არა, ზოგიას უყვარდა თავისი თავი და ისეთს არას იზამდა, რომ იმისს სახელს ამისთანა ჩირქი მისცხებოდა.

საბრალო ზოგია! რა ნაირად-ღა გაება მერე ზოგია მახეში და ცოლად შეირთო ქანა, თუ მაგეთი ჭკვიანი და თავ-მოყვარე იყოვო, მკითხავთ. თითონაც იცოდა ზოგიამ, რომ სიკეთე არ დაეყრებოდა ქანას შერთვით, მაგრამ შესცდა სწორედ თავისის მართალისა და კეთილის გულის წყალობით.

ქანა ობოლი იყო, არაფერი გააჩნდა და ნათლია ზრდიდა სამადლოდ. ქანას ნათლია იცნობდა ზოგიას; იცოდა, რომ შეძლებული იყო, ქალის რჩენა შეეძლო, და რომ მზითვის გამოუმეტებლად მოეშორებინა ქანა თავიდგან, შეუჩნდა ზოგიას და სხვებიც შეუჩინა, ქანა შეირთეო.

ბოგიას პირველი ცოლი ადრე მოუკვდა და აღარა ჰყოლიქრობდა ცოლის შერთვას, რომ ქანას ნათლიას და მის მიერ შეჩენილს კაცებს არ გაებრიყვებინათ.

— რად გინდა სიმდიდრე, შვილები არა გყავს და ეიღაცეებს რომ არ დარჩეს შენი საცხოერებელი, უკეთესი არ იქნება, ცოლი შეირთო, იქნება ღმერთმა შენი საკუთარი შვილი მოგცესო? ეუბნებოდნენ ბოგიას. ბოგიაც ამდენის ჩიჩინის შემდეგ დასთანხმდა და ქალი არც კი უნახავს, ისე პირდაპირ ეკკლესიაში წაეიდა ჯვარის დასაწერად. იმისთვის სულ ერთი იყო, ეინც უნდა შეერთო, ოღონდაც-კი მართლა შვილი მისცემოდა.

არც ქანას უნახავს ეკკლესიაში შესელამდის ბოგია და მაშინაც აბა რას დაინახავდა ორის ღერის თაფლის სანთლით განათებულს საყდარში, როგორი იყო იმისი საქრმო? ამ ნაირად გაჩალხა ქანას ნათლიამ საქმე: ნათლული თავიდგან მოიშორა, გაათხოვა, შეძლებულს კაცს მისცა, მზა-მზარეულს ოჯახში შეიყვანა. მერე-კი, რაც უნდა მომხდარიყო, რას დაეძებდა? ძეეყნის თვალში ხომ პირნათლად გამოეედი და აწი-კი ქანას და ბოგიას კისერიმც მოუტეხნიათო ..

II

სოფ. თაბორის სასოფლო კანცელარიის მწერალი რევაზ შაეგულიძე ერთი იმ გარყენილ-გაფუჭებულ კაცთაგანი იყო, რომლებისთვისაც სინიდისი

და პატიოსნება აღარ არსებობს. შული, ღვინო და ქალები—ამ სამის სიტყვის მეტი არაფერი ეწერა რევაზის ლექსიკონში, სადაც უნდა გენახათ რევაზი, როდესაც უნდა გენახათ, ვისთანაც უნდა გენახათ, მუდამ ამის შესახებ ჰქონდა ლაპარაკი. მაგალითად, ვინმე რომ შეხვეწნოდა რისამე საქმის გაკეთებას, ჯერ ფულის შესახებ ჩამოუგდებდა ლაპარაკს და გააგებინებდა, რამდენი იყო საჭირო «გასამრჯელო», მერე ღვინოზე გადავიდოდა და კაი ღვინის შოვნას შეუკვეთდა; ღვინიდამ ქალებამდის შორს აღარ იყო და ახლა რომლისამე ლამაზ მეზობლის შესახებ გადაუბამდა მუსაიფს: როგორის ყოფა-ქცევისაა, ხომ არ შეიძლება კაცმა... და სხ.

აბრ ვიცი, რა ნაირად მოახერხა რევაზმა, რომ ქანას შეაყვარა თავი. ეს-კი ვიცი, რომ ქანასთანა ბედის უკმაყოფილო ქალები ხშირად უვარდებიან რევაზისთანა კაცებს ხელში. მიკვირს-კი, რა იზიდავს იმისთანა კაცისკენ იმათს გულს? უხასიათობა და ზნეგაცემულობა? შეიძლება ესეც იყოს. ასე იყო, თუ ისე, ქანა გათხოვებისათანავე რევაზის მსხვერპლი შეიქმნა და იმდენად მოიხიბლა, რომ იმისი ყურმოჭრილი მონა გახდა.

საკვირველია, ქანა, ის ქანა, რომელიც ტოლამხანაგებში ყოველთვის პირველი იყო, რომელიც ზოგიას ბატონურად ეპყრობოდა, რომელმაც ყოველგან და ყველასთან იცოდა თავისი ფასი, რევაზთან სრულიად იცვლებოდა. აქ სადღაც ჰქრებოდა ამპარ-

ტაეანი, თავმომწონე, ძლიერი ქმნილება და რაღაც ლანდი რჩებოდა. ეს კარგად იცოდა რევაზმა და სარგებლობდა თავისის მსხვერპლის სისუსტით. რევაზი ისე ეპყრობოდა ხანას, თითქოს არაფრად არ აგდებს იმისს სილამაზესო, თითქოს, როცა იმასთან არის, ძალას ატანს თავის თავს, თორემ ბევრად არაფრად მოსწონსო.

ბოგიამ მალე შეიტყო რევაზისა და ქანას დამოკიდებულება, მაგრამ რაღა უნდა ექნა? იმისთვის სულ ერთი იყო, რაც უნდა მომხდარიყო, ოღონდ სოფელში არ დაეწყოთ ლაპარაკი, საქმე საქვეყნოდ არ გამოაშკარავებულიყო.

III

ერთს საღამოს რევაზი ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა ბოგიას სახლისკენ. ეტყობოდა, რომ მთელი მისი არსება ერთს აზრს გაეტაცნა და რაღაცაზედ ოცნებობდა. ბოგია ჯერ კიდევ არ მოსულიყო სამუშაოდგან. ქანა მარტოკა იჯდა დერეფანში და ჭიშკარისკენ იხედებოდა. ეტყობოდა, რომ მოუთმენლად ელოდებოდა... რასაკვირველია, რევაზს და არა ბოგიას.

აგერ კარის ჭრიალი მოისმა და ეზოში რევაზი შემოვიდა. ქანა შველივით წამოხტა ზეზე და გაექანა მისაგებებლად. აგერ შეხვდნენ კიდეც ერთმანერთს. ქანამ ტკბილად შეხედა თვალებში თავის გუ-

ლის მჯლობელს და უნდოდა ყელზე მოხვეოდა, მაგრამ რევაზმა მხოლოდ ხელი ჩამოართვა ციცად და წამოვიდნენ. რევაზი დერეფანში დაჯდა საძირკველზე. ქანა-კი ფეხზე გაჩერდა და მისჩერებოდა რევაზს, თითქოს იმის სახეზედ უნდა წაიკითხოს ყველაფერიო. სიჩუმემ რამდენსამე ხანს გასტანა, ბოლოს ქანამ ველარ მოითმინა და დიდის ხნის ფიქრის შემდეგ გულის ფანცქალით უთხრა:

— მეტად დაიგვიანე, რევაზ, რამდენი ხანია გელი.

— სულ რომ არ მოვსულიყავი, ისიც შემეძლო, სთქვა და თავმომწონედ შეხედა ქანას რევაზმა.

— ეი შეგეძლო, მაგრამ მე რას მიპირობდი? დალონებით წარმოსთქვა ქანამ და თავი დაღუნა.

— როგორ თუ რას გიპირობდი? განა შენს მეტი საქმე არა მაქეს? წყრომით უთხრა რევაზმა.

— საქმე ბევრი გაქეს, მაგრამ მე სხვა საქმეში გასარევი არა ვარ.

— არა, აბა ყველაფერს მივატოვებ და მარტო შენ მოგიჯდები. ის-კი არა, აწი იქნება, სულაც ალარ მოვიდე ..

— როგორ თუ ალარ მოხვიდე? ბააწყვეტინა ქანამ.

— როგორ და კარგად. აბა სულ შენ ხომ ვერ მოგაჩერდები? ცოლს ვირთავ...

— რას ამბობ, რევაზ? შეჰკივლა ქანამ და იმისწინ დაეცა.—რად გინდა ცოლი?

რევაზმა მხოლოდ ეშმაკურად გაიღიმა.

—არა, არა, შენ ცოლს არ შეირთავ, მე არ მიმატოვებ, ჰლრიალებდა ქანა და ეხვეოდა მუხლებზე რევაზს:—აგერ მოკვდება ბოგია...

— ხა, ხა, ხა... დადიხარხარა რევაზმა, ზეზე წამოდგა და სიარული დაიწყო. იქნება გგონია, რომ ბოგიას სიკვდილს შემდეგ შენ შეგირთავ?

რა იქნება, რომ შემირთო? ჩემზე მეტად ვის ეყვარები? ტირილით ეუბნებოდა ქანა.

— დასწყევლოს ღმერთმა სიყვარული! სიყვარული რად მინდა?

— მაშ რა გინდა?

— ფული მინდა, ფული. თუ ფული მოვიპოვე, ყველაფერს ვიშოვნი. ჩემთვის ზზითევია საჭირო. თუ ჰფიქრობ მართლა ჩემს ცოლობას, ჯერ ზზითევი მოამზადე კარგა ბლომად და მერე ვნახოთ!

— ზზითევი საიდგან მოვიტანო, რომ არაფერი გამაჩნია? ტირილით ამბობდა ქანა.

— მაშ, მე რა ვქნა? აგერ ხუთასს მანეთს მაძლევენ და სისულელე იქნება, დავკარგო. ქანა გაშტერებული იყო და არ იცოდა, რა ეთქვა.

— მაგრამ რაო, განაგრძო რევაზმა: შენც კარგად შეგიძლიან, ხუთასის მანეთისა-კი არა, ათასის მანეთის შოვნაც. იშოვე და მე შენ მოლოდინში ვიქნები. მგონი მიხვდი, რასაც გეუბნები.

— ვერაფერს ვერ მივხვდი. საიდგან უნდა ვიშოვნო ათასი მანეთი, როდესაც ათასი კაპეიკიც არ მომეძევა.

— მეცდები, მიგახვედრო: ზოგიას საცხოვრებელი ათასს მანეთზედ მეტად ეღირება. ყველაფერი შენ გადმოგცეს და როცა მოკვდება, მზითვიანი ქალი იქნები. ძანა სმენად იყო გადაქცეული.

— ეს ძალიან ადვილია, განაგრძო რეეაზმა: თამასუქს მოგცემს ერთის ასის თუმნისას და გათავდება საქმე, შენ ოღონდ დაითანხმე ზოგია და მერე მე ვიცი: მოდით კანცელარიაში და ყველაფერს ერთს წუთას გავაკეთებ.

ამ დროს მოისმა კარის ჭრიალი. ორიეემ იქითკენ გაიხედეს. ეზოში შემოვიდა თოხით, ხელში ზოგია და იმათკენ არც-კი გაუხედნია, ის სასიმიდისკენ წავიდა.

IV

ბავიდა რამდენიმე დღე ამ ლაპარაკის შემდეგ და თაბორში ერთმა ამბავმა აალაპარაკა მთელი ხალხი. ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ თაბორლები, ყველაფერზედ უწინ შემდეგის სიტყვით მიმართავდნენ ხოლმე: გაიგე ძანას და ზოგიას საქმე? ვიცი, მიუგებდა მეორე, და შეიქნებოდა მერე საბრალო ზოგიას ყბად ალება.

— ოჩაღ, ოჩაღ, ძანა! ალეცხლია, ქალი-კი არა, ამბობდნენ ახალგაზდა ბიჭები: რაც ზოგიას სიცოცხლისას ჯოჯოხეთშია, სამაგიერო იმის სიკვდილის შემდეგ მაინც არ ჭლირსებოდა? ახლა ზოგიას ჩაძალლება უკლია და იმისთანა ქმარს იშოვის ძანა, რომ

უკეთესი მთელს დუნიაზედ არ მოიძებნებოდეს.

— ძანა, ძანა... ა, უყურეთ ერთი, რა ჰქნა? ამბობდნენ გასათხოვარი ქალები და პირს-ნერწყვი მოსდიოდათ.

— ეველაფერი რევაზის საქმეა, აბა ძანას მაგდენი ჭკუა სადა ჰქონდა, რომ ეს მოეხერხებინაო? ამბობდნენ გათხოვილები.

— სჩანს სულაც თავს დაანებებს ძანა ბოგიას და იქნება სიცოცხლეშიე წაართვას საცხოვრებელიო, ამბობდნენ ხნიერი ქალები.

— უბედური ბოგია! იბრალებდნენ ბოგიას მხოლოდ მისი ამხანაგი, ხანში შესული კაცები: საბრალო ჩაგდო, ჩაგდო ჯოჯოხეთში ამ გლახა გომბიომ! ოჰ, ეინც ლამაზი ქალი შეირთოს, იმას კი რა უთხრას კაცმა!

— ახია იმაზედ, რაღა დროს იმ ხელა კაცის ამჩატება იყო და გუშინდელის გოგოს შერთვა. შეაცდინეს. ისე როგორ შეეცდები, რომ რაც არ მინდა, ის მაქნეეინონო?... ამბობდნენ სხვები.

ნეტავი რას ამბობდა ამ დროს თითონ ბოგია? არაფერს. ის ისევ ისე სცხოვრობდა, როგორც წინად, თითქოს არაფერი მომხდარიყოსო; ბოგიას წინააღმდეგობა არც კი გაუწევია ძანასთვის, როცა ამან თამასუქი სთხოვა. მართალს ამბობსო, იფიქრა ბოგიამ: მე მალე მოეკვდები და ცოდეაა, ჩემს სიკვდილს შემდეგ ხელ ცალიერი დარჩესო. მანამდის-კი, თუ რამე უბედურება დაემართებოდა, ამას როგორ იფიქრებ-

და. ის-კი არა, ზოგია დარწმუნებული იყო, რომ ამის შემდეგ უფრო პატივსა მცემს ქანა, რაკი მოამაელისთვის საქმე გაკეთებული ექნებაო.

ქანა და რევაზი რაღას შერებოდნენ?

ქანას მხიარულებას საზღვარი აღარა ჰქონდა, რადგან მას შემდეგ, რაც ზოგიას ასის თუმნის თამასუქი დასტყუა, რევაზი სრულიად გამოიცვალა. რევაზმა იცოდა, რომ ძალათი თამასუქის შოვნა შეუძლებელი იყო, ქანას ვერ გამოართმევდა, და ამიტომ ნამდვილს 19-20 წლის არშიყს დაემსგავსა. სად-ღა იყო ეხლა ძველი ბრძანების კილო, ძველი ბრძნულად თავის დაჭერა. ეხლა რევაზს ისე ეჭირა თავი, თითქოს სჭკნება და დნება ქანას სიყვარულითო. მართლაც, დნებოდა რევაზი მაგრამ სიყვარულით-კი-არა: ასის თუმნის თამასუქის შოვნის სურვილი ადნობდა და ქანას-კი თუნდა ჯანდაბამდის ჰქონოდა გზა.

V

მშვენიერი მაისის საღამო იყო. მზე ახლად ჩასული იყო და მაღალის მთის წვერები ჯერ კიდევ წითლად გამობრჭყვიალებდა.

ამ დროს ერთს ხეევში, მთიდან გადმომჩქეფარე რუს პირად, რევაზი და ქანა ისხდნენ და, როგორც შეყვარებულნი, მტრედებსავით ღუღუნებდნენ. ქანა ხომ მართლა შეყვარებული იყო და რევაზიც ისეთ ნაირად იკატუნებდა თავს, რომ, ქანას-კი არა, სხვასაც მართალი ეგონებოდა.

— ქმარა, ქმარა ჩვენი ამდენი ტანჯვა! მოვახერ-ხოთ რამენაირად, რომ მხოლოდ ერთმანერთს ვეკუთ-ნოდეთ და აღარაფისი აღარ გვეშინოდესო, სთქვა აღტაცებით რევაზმა.

რა ნაირად მოვახერხოთ, თვარა მაგას რა ემ-ჯობინებოდა? მიუგო დაღონებულმა ქანამ და გადაე-ხვია. რევაზმა გულში ჩაიკრა და ხმამოტკბილებით ჩასჩურჩულა:

— წავიდეთ Oაბორიდან სადმე, გადავიხვეწნეთ ერთად, თუნდა ქუთაისში. და იქ ვიცხოვროთ.

— წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო რევაზ. Oღონდ შენთან-კი ვიყო და თუნდ ჯოჯოხეთში წამოვალ!

— მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ ფული არა მაქვს და უფულოდ-კი ვერსად წავალთ.

— Oშოვე სადმე და მერე, როცა ბოგია მოკვ-დება, მისი საცხოვრებელი ხომ ჩვენი იქნება.

— არ ვეცადე? მაგრამ ვერსად ვერაფერს გავხ-დი. ისეც ბევრი ვალი მაქვს და აღავინ მანდო კი-დევ.

— მაშ ასე უნდა ვიყოთ, სანამდის ბოგია არ მოკვდება! სთქვა ნაღვლიანად ქანამ.

— ბოგია, მგონი, ჩვენ ორივეს მოგვიდნობს, ჩემო ქანა. ის ძველი კაცია, ჩვენზედ მაგარი ძვალი აქვს. არა, ჩვენ იმის სიკვდილის ყურება არ გვარგია, თუ გვინდა, რომ ბედნიერად გავატაროთ წუთი-სოფ-ლის სიცოცხლე... ეხლავე, ეხლავე ვეწიოთ, ჩემო გერიტო, ჩვენს საქმეს! აქ მაგრად აკოცა რევაზმა ქანას.

— შენ რომ ასის თუმნის თამასუქი გაქეს, ჩემო სამოთხე, ფული არ არის? განაგრძო რევაზმა: ბარემ ეხლავე გადაეახდეინოთ ფული ბოგიას და ის იქნება. თამასუქში ხომ ასე სწერია, პირველ მოთხოვნილებაზედეე მოგცე ან შენ ან იმას, ვისაც ეს თამასუქი ექნებაო.

— არა, არა, მაგას ვერ ვიზამ, სიცოცხლეშიეე ფულს ვერ გადავახდეინებ...

— შენ კი არა, მე გადავახდეინებ.

— არა, გული არ მიზამს, რომ ბოგიას ტანჯვას ეუყურო...

— შენ ნუ უყურებ! მე, შენ ქუთაისში წაგიყვან და იქ დაგაბინავებ... მერე მოვალ, ბოგიას ფულს გამოვართმევ და ისევ ჩამოვალ... იქ სახლი ვიყიდოთ და ვიცხოვროთ. ბადავრჩებით მაინც თაბორლების ყბად აღებას. იქ მე ადგილსაც ვიშოვი რასმე და სამსახურში შევალ. იმისთანა მეგობრები მყავს იქ, რომ, მგონი «სეკლეტრობაც»-კი მაშოვინონ.

ქანა ხმას არ ილებდა. არ იცოდა, რა ეთქვა... დასთანხმებოდა რევაზის რჩევას, თუ არა? ერთის მხრით სინიდისი აწუხებდა და უარზედ დადგომას ურჩევდა, მეორეს მხრით გაუმაძღარი ენებათა ღელვა რევაზისკენ ეწეოდა მისს გულს.

— რას გაჩუმდი, ქანა, დაიწყო ისევ რევაზმა: არ მოგეწონა ჩემი სიტყვები?... იყო, რომ მეუბნებოდი, შენის გულისთვის თუნდ წყალში გადაეკარ-

დებიო. მატყუებდი განა?... რა გაეწყობა... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მაგრამ მე-კი უნდა გითხრა, რომ მომწყინდა ამდენი «დამალვიას» თამაში. თუ ეიქნებით, უნდა ეიქნეთ, თუ არა და ამას იქით შენ შენთვის და მე ჩემთვის!... სთქვა რევაზმა და მოშორდა ქანას. ქანა გაშტერებული იყო. ეტყობოდა, რომ გულში მთელი ზღვა უტრიალებდა და საშინლად ღელავდა.

— მშვიდობით! ღმერთმა ბედნიერად გამყოფოთ შენცა და ბოგიაც.., მე ხვალვე წავალ თბილისიდგან და სხვაგანა ვცდი ჩემს ბედს... ამბობდა რევაზი დახელოვნებულ მსახიობსავით, უკან უკან მიიწევდა და თვალები-კი ქანასაკენა ჰქონდა მიშტერებული, თითქოს ეუბნება, კარგია, მომკიდე ხელი და დამაბრუნე.

— სად მიხვალ, სად მიხვალ? დაილრიალა ბოლოს მართლა ქანამ და შემოეხვია ფეხებზედ მიმავალს რევაზს. მე უშენობა არ შემიძლიან, არა, ჩემთან დარჩი!.. ბაჰკიოდა ქანა.

— მე მხოლოდ მაშინ დავრჩები, თუ პირობას მომცემ, რომ ჩემს სურვილს შეასრულებ, წყნარად სთქვა რევაზმა.

— ბაძლევ, გაძლევ!.. მიაძახა გადარეულივით ქანამ.

— მაშ წამომყევები ქუთაისში?

— წამოგყევები, წამოგყევები, ქუთაისში-კი არა, სადაც გინდა, თუნდ ჯოჯოხეთში, თუნდ შავს წყალ-

ში... ოლონდ შენთან, შენთან-კი ვიყო და სადაც გინდა, იქ წამოვალ ტირილით ამბობდა ქანა.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო, ჩემო სულზედ უტკბესო! დაიძახა რევაზმა და თითონაც გადაეხვია ქანას. რამდენსამე ხანს ასე იყვნენ ჩაკონებულნი. მერე ისევ რევაზმა დაარღვია სიჩუმე.

— მაშ როდის წავიდეთ?

— როცა გინდა, უთხრა ქანამ თვალების წმენდით.

— მე მალე მინდა, მალე... მინდა, რომ მარტო მე მეკუთვნოდე, მარტო ჩემს სახელს ატარებდე, სთქვა რევაზმა.

— მაშ ხვალვე წავიდეთ, უთხრა ქანამ: ან, უკეთესი იქნება ამაღამვე, ამ საათშივე... მე მაინც ალარა მაქვს ბოგიასთან მისასვლელი პირი, ივის სახლში შესვლა ალარ შემიძლიან, და ეხლავე, სადაც გინდა, იქ წამიყვანე.

— თამასუქი სადა გაქვსო? იკითხა უცებ რევაზმა, თითქოს მარტო ეხლა მოაგონდაო.

— უბეში მაქვს, მიუგო ქანამ

— მაშ—წავიდეთ, დაიძახა რევაზმა და ააყენა ქანა. ეტყობოდა ქანა ერთობ იტანჯებოდა და ძალაც ალარა ჰქონდა მუხლებში. რევაზმა მაგრად მოჰკიდა ხელი, ქანაც დაებჯინა მის მკლავზედ და წავიდნენ.

ამასობაში კიდეც დალამებულიყო და ორივე მალე ჩაიხვია სიბნელემ.

VI

მეორე დღეს მთელმა თაბორმა შეიტყო, რომ ქანა გაიქცა ზოგიას და რეეაზთან ერთად სადღაც გადიკარგაო. ამ ამბავმა სულ გადარია თაბორლები და დიდი და პატარა, კაცი და ქალი მოსეენებას აღარ აძლევდნენ უბედურს ზოგიას. ზოგი ამბის შესატყობად მიდიოდა, ზოგი—ეითომ სანუგეშებლად, ზოგი—რჩევის მისაცემად. ზოგია ქანას წასვლის გამო უფრო ამ არა-მკითხე მოკეთეებმა შეაწუხეს. იმას არაეისთან ლაპარაკი არ უნდოდა, ამიტომ, იშოვა თუ არა დრო, გადაკეტა თაეის სახლის კარები და ყანებისაკენ გასწია. სამუშაოდ? აბა რალა ემუშაეებოდა უბედურს! ის ისე წაეიდა თაეის ნაჭირნახულეეის დასათვალიერებლად, თითქო თაეისის ოფლით მორწყულს სიმინდს უნდა გაანდოს თაეისი ტანჯვაო. იქნება იგრძნო საწყალმა, რომ ყველაფერზედ ხელს ააღებინებდნენ, და გამოსათხოვრად წაეიდა. შეიძლება ასეც იყო. მართლაც, ზოგიამ იმ დღეს ყველა თაეისი ყანა ნახა, ყველას გარშემო შემოუარა. რომ ეისმე ენახა ამ დროს ზოგია, გამოსულელებულაო, იტყოდა. ისე მიაშტერებდა თეალებს ყოველ სიმინდის ძირს, თითქოს უნდა შეიტყოს, რამდენ წვეთ ოფლად უზის ეს ერთი ძირი სიმინდიო. დიდხანს იარა ამ ნაირად ზოგიამ, დიდხანს. იქნება საბრალო ეფასებდა თაეისს ქონებას, ეს თუმნისაზე მეტია, თუ არაო; იქნება ეგონა, რომ ეალს გაისტუბრებდა და

კიდეე დარჩებოდა საცხოვრებელი. მაგრამ ასის თუმ-
ნისა რა გააჩნდა ამას?.. ნეტა სად არის ეხლა ძანა,
იფიქრებდა ხან-და-ხან: ვითომ ბედნიერი იქნება რე-
ევაზთან? არა, ძანა, არა, ტყუილად დამტანჯე მეცა
და შენი თავიც ტყუილად დაიტანჯე; განა რეევაზი
შენ დაგინდობს?.. ნეტა კიდეე გნახავედე მაინც?..
ღმერთო, შენის სახელის ჭირიმე, ძანას უნახავს ნუ
მომკლავო, დაიძახა ბოლოს ხმამაღლა ბოგიამ და
შეხედა ცას. ამ დროს ცამ საშინლად დაიქუხა, თით-
ქოს ღმერთმა გაუგონა ბოგიას თხოვნაო, და პატა-
რა ხანს შემდეგ ღრუბლებით შეიმოსა:

ბოგია მაინც არ მიდიოდა შინ და როცა პირ-
ველი წვიმის წვეთი დაეცა, ქუდი მოიხადა და თავ-
შიშველა დადგა. აგერ მოუხშირა წვიმამ, ბოგია-კი
მაინც სდგას, თითქოს დასველება ესიამოვნებაო.
მართლაც, ესიამოვნებოდა, რადგან უნდოდა გახუ-
რებული გული გაეგრილებინა. პატარა ხანს უკან
მაისის ტკბილმა ქუქუნა წვიმამ შხაპუნი დაიწყო.
ბოგია ბინდამდე მაინც არ წასულა შინ და მხოლოდ
მაშინ წავიდა, როცა იფიქრა, ეხლა-კი აღარაეინ მო-
ვა და დამირღვევს მყუდროებასაო...

ერთის კვირის შემდეგ ისევე გაჩნდა რეევაზი თა-
ბორში. ძანასას არაფერს ამბობდა. მხოლოდ ბო-
გიას თამასუქი ჩამოიტანა. თამასუქი, როგორც რი-
გია, კანონიერად ნოტარიუსის დამოწმებით იმასა
ჰქონდა გადაცემული. ეხლა როცა ისურვებდა, მაშინ
გადაახდევინებდა ბოგიას ასს თუმანს და ან საცხოვ-

რებელზედ ხელს ააღებინებდა. რაღა თქმა უნდა, რევაზი რაც შეიძლებოდა მალე აღასრულებდა თავისს სურვილს...

VII

გაეიდა რამდენიმე წელიწადი...

ღღესასწაული ღღე იყო. ძუთაისის «ბულვარი» სავსე იყო ხალხით და კიდევ უფრო ემატებოდა ტაძრიდგან გამოსული ხალხი. წირვა ჯერ კიდევ არ გათავებულიყო, მაგრამ ზოგიერთს ველარ მოეთმინა ბოლომდის და გარედ გამოდიოდა. ჩვეულებრივ ტაძრის განიერი კიბე გლახებს დაეპირათ და ყოველ კაცის შესვლა-გამოსელისას განუწყვეტელი: «შეგვიწყალე, ღმერთი შეგიწყალებს» გაისმოდა. თუ რომელიმე ქრისტიანი შეიბრალებდა ამ საწყლებს და ჯიბისკენ წაილებდა ხელს გროშის ამოსაღებად, ერთი ალიაქოთი ღატრიალდებოდა: მათხოვრები ერთი მეორეს ასწრებდნენ, უჯიკიანებდნენ, რომ როგორმე ფული ჩაეგდოთ ხელში. თუ შემბრალებელის გული იმდენად უხვი იქნებოდა და ჯიბე იმდენად სავსე, რომ ყველას არგებდა თითო გროშს, ხომ კარგი, და თუ არა, ვაი მისი ბრალი, ვინც გროშს ჩაიგდებდა! შესჭამდნენ საწყალს ამხანაგები! პოლიციის მოხელე რომ არა ყოფილიყო იქ, იქნება, კიდეც გაელახათ უბედური. «ბრძოლა არსებობისათვისაო», ამბობენ, და ესენიც იბრძოდნენ, მაშ აბა რა უნდა ექნათ?!

ქიბის უკანასკნელს საფეხურზედ იდგა ამ დროს ერთი სულ გათეთრებული და წელში მოხრილი მოხუცი. ის სხვებსავით როდი ჩქარობდა, თავისთვის იდგა და პირჯვარს იწერდა. თუ ვინმე შეაძლევდა მოწყალებას, გამოართმეედა, მაგრამ თვითონ-კი არავის არა სთხოვდა. სხვა მთხოვრები გაოცებითა და პატივის ცემით შესცქეროდნენ. მართლაც პატივსაცემი იყო ეს მოხუცი. ეტყობოდა, რომ ის რაღაც უბედურს შემთხვევას მოეყვანა აქ, რომ მისი ხელები მიჩვეული არ იყო მოწყალების მისაღებად გაწვდენას! ეტყობოდა, რომ საბრალო ყოველ მოწყალების მიღებაზედ საშინლად იტანჯებოდა, სჯუხდა მაგრამ რა უნდა ექნა, თუ მუშაობა აღარ შეეძლო და ცხოვრებისათვის სხვა საზსარი აღარ ჰქონდა?

ეს მოხუცი ჩვენი ზოგია გახლდათ. როცა ზოგიას საცხოვრებელი ქანას თამასუქის ძალით რევაზმა ჩაიგდო ხელში, ზოგიას აბა რაღა გააჩერებდა თაბორში? ისიც მაშინვე, როგორც ყველა მისს მდგომარეობაში მყოფი, რაიმე მიზეზით უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხი სჩადის, ქუთაისში წავიდა, «ეიმუშაევ» დღიურათ და თავს ვირჩენო, ჰფიქრობდა. მართლაც სანამ შეეძლო, მუშაობდა უბედური, მაგრამ სიბერე რომ შეეპარა ძალიან და სამუშაოდ აღარ ეის მოჰყავდა, აღარ იცოდა, რა ექნა. იდგა საბრალო დილიდგან საღამომდე ბაზარში და იცდიდა, ეგები მადლიანმა წამიყვანოს ვინმეო, მაგრამ იმას ვინ წაიყვანდა, როცა ახალგაზდა მუშებიც ბევრნი იყვნენ?

სანამ ძველად შეგროვილი ორიოდე გროში ჰქონდა, არაფერი, მაგრამ როცა ისიც გამოელია და კუჭმა საჭმლის თხოვნა დაუწყო, ზოგია, ცოტა არ იყოს, შეწუხდა და ფიქრში ჩავარდა. ეითომ სიმშილით უნდა მოეკვდეო ჰფიქრობდა: დაგელოცა ღმერთო, სამართალი?.. რა არის კაცის ცხოვრება? რას არ უნდა მოელოდდეს ადამიანი სამარემდის?»

ამ ფიქრებში იყო ზოგია, მაგრამ ფიქრი ხომ არ გაუძღობდა კუჭს? ჰური, ჰური იყო საჭირო და საიდგან მოეტანა, ის-კი აღარ იცოდა საბრალომ.

ბევრი იფიქრა ზოგიამ, ბევრი, მაგრამ ველარაფერი ველარ მოიფიქრა იმის მეტი, რომ ან სიმშილით სიკვდილისთვის მიეცა თავი და ან ძალად მოეკლა. ითხოვეო, უთხრა ზოგიას ერთმა გულმა, მაგრამ ზოგიამ პასუხიც-კი არ მისცა თავისს გულს. იმის წარმოდგენაც-კი არ შეეძლო, როგორ უნდა გაეწვდინა ხელი მოწყალებისათვის. «აბა თავი მოიკალო», ურჩია ზოგიას გულმა ისევ. «ეს-კი შეიძლებაო», იფიქრა. ამ დროს წითელს ხიდთან იდგა. ცოტა მოსალამოებელი იყო და გამველელ-გამომველელი იმდენი აღარა სჩანდა. «წყალში დავირჩო თავი?» ჰფიქრობდა ზოგია. «დაირჩე, დაირჩეო! ეუბნებოდა გული: «ვერა ჰხედავ, რა ყოფაშია კუჭი?» მართლაც კუჭი ერთობ გამწყრალი იყო. მეორე დღე სრულდებოდა, გემოთი არაფერი ენახა. ჩაფიქრებული ზოგია მიაწვა ზურგით ხიდის მოაჯირს და ისეთ ნაირად გაერთო ფიქრებში, რომ არ შეუტყვია, როგორ მიუახლოვდა ვილაცა.

— ბლახაე, აჰა, გამომართვიო, უთხრა გამეელემა. ბოგია შეკრთა და უნებურად გაუშვირა ხელი. მგზავერმა ჩაუგდო შაურიანი და წაეიდა. ბოგია გაშტერებული იდგა რამდენსამე ხანს. «როგორ, იმისთანა კაცებიც ყოფილან, რომ უთხოვრად იძლევიან მოწყალებას? ჰფიქრობდა ის. დიაღ, ყოფილან. ამის საბუთი ხელში ეჭირა.

ამ გარემოებამ სრულიად შესცვალა ბოგიას აზრები. ძუჭმა აჯობა გულს და ბოგიაც ფურნისაკენ გაემგზავრა პურის სასყიდლად.

ამ დღის შემდეგ ბოგია ძალა-უნებურად მათ ხოვრობდა, მაგრამ ხელს მაინც ძვირად გაუშვერდა ვისმე. ის ისე თვალებით სთხოვდა და თუ ვინმე მისცემდა, ხომ კარგი, თუ არა, წაეიდოდა თავისთვის.

დღესაც არა ღებულობდა ბოგია მონაწილეობას სხვა მთხოვრების ტაციობაში და თავისთვის იდგა განმარტოებით. ბამელელებიც უფრო იმას აქცევდნენ ყურადღებას და ბევრი აძლევდა მოწყალებას.

აი მოატანა წირვის გათავების დრომ. ხალხმა ჯგუფ-ჯგუფად იწყო გამოსელა ეკლესიიდამ. მათხოვრებში ერთი ჩოჩქოლი და ვაი უშველებელი ასტყდა. ამ დროს ერთმა სრულიად ჩამოკონკილმა, მეტად გამხდარმა ქალმა პაწაწა ბავშვით ხელში დააპირა კიბეზედ შესელა, რომ თითონაც ეთხოვა.

— სად მოხვალ, სად მოხვალ? დასცეს კიჟინა ზემოდამ მათხოვრებმა: ჩვენც ვერ ვეტევით აქ. ძალმა უკან დაიწია.

— აქ მოდი, შვილო, აქ დადეგი! შთხრა ბოგიამ და დაუცალა ადგილი. ძალი იმასთან წაივიდა. ბოგიამ შეხედა თვალებში, ქალიც შეაჩერდა და მაშინვე, თითქოს რაღამაც უკბინაო, შემკრთალი შედგა.

— ძანა, შენა? დაიძახა ბოგიამ და ხელი მოჰკიდა... დიალ, ძანა იყო ეს უბედური, რომელმაც იგრძნო მთელი თვისი დანაშაული ამ კაცის წინაშე და სირცხვილით თავი დაღუნა...

დედა-შვილის თავგადასავალი

(აპენნინის და ანდის მთები)

ე. დე-ამიჩისისა.

ქუთაისი
ტიპო-ლიცოგრაფია ნ. ი. გაზრეულოვისა
1892



დედა-შვილის თავგადასავალი

დიდი ხანია მას აქეთ, რაც ერთი ბენუის ქალაქის მუშის შვილი, ცამეტის წლის ვაჟი, მარტოკა გაემგზავრა ამერიკაში დედის საძებრათ.

ორის წლის წინათ, დედა მისი წავიდა არგენტინის რესპუბლიკის უმთავრეს ქალაქს ბუენოს-აირესს; უნდოდა დაქირავებოდა ვინმე მდიდარს მემამულეს, რომ დახმარებოდა სხვა და სხვა გარემოებისაგან დაცემულს და დავალიანებულს ოჯახს და ფეხზე დაეყენებინა. ამ მიზნით მრავალი გამბედავი დედაკაცები მიემგზავრებოდენ ხოლმე ამერიკისაკენ, სადაც მათი შრომა გვარიანის სასყიდლით დაჯილდოვდებოდა და, რამდენისამე წლის შემდეგ, არა ერთის და ორი ათასის ლირის*) პატრონი შეიქმნებოდენ და ისე დაბრუნდებოდენ თავიანთ ოჯახებში.

საცოდავი დედა მწარეთ ტიროდა, როცა ეთხოვებოდა ერთს თერთმეტისა და მეორეს თორმეტის

*) ლირა იტალიანური ფული; უდრის ხუთ შაურს.

წლის თავის ეაქებს, მაგრამ ყოჩაღი და გამბედავი ქალი თამამად წავიდა. ჩინებულათ იმგზავრა. მივიდა თუ არა ბუენოს-აირესს, ერთის მედუქნის შემწეობით, რომელიც მისის ქმრის ბიძა-შვილი იყო, გენუელმა ქალმა მალე მოსძებნა მდიდარი ოჯახი, რომელიც ძალიან კარგათ ეპყრობოდა და კარგს ჯამაგირსაც აძლევდა მას. რამდენისამე ხნის განმავალობაში თავის რიგზე ჰქონდა შინაურებთან მიწერ-მოწერა. როგორც შეპირებული იყვნენ, ქმარი ბიძაშვილის სახელზე უგზავნიდა წერილებს, ის გადასცემდა ხოლმე ცოლს, პასუხს გამოართმევდა, წააწერდა თვითონაც რამდენსამე სიტყვას და გზავნიდა ზენუის ქალაქისაკენ.

რადგან თვეში ოთხმოც ლირას იღებდა და თავ-ისთვის არას ხარჯავდა, ყოველ სამს თვეში ერთ-ხელ გვარიან ძალ ფულს უგზავნიდა ოჯახობას; ქმარიც, როგორც პატიოსანი კაცი, ისტუმრებდა ვალებს, და იხვეჭდა კეთილ სახელს. თვითონაც შრომობდა და კმაყოფილი იყო, რომ მისი საქმე კარგათ მიდიოდა, ნუგეშობდა, ცოლიც მალე დამიბრუნდებაო. ეიმისოთ სახლი თითქოს სულ გამოცალიერებული იყო. ბანსაკუთრებით უმცროსი ვაჟი, უსაზღვრო მოუკარული დედისა, ვერ ითმენდა მის მოშორებას.

მაგრამ გავიდა თუ არა ერთი წელიწადი წასვლის შემდეგ, ქმარს მოუვიდა მოკლე ბარათი, რომელშიაც ცოლი უქეიფობას იწერებოდა, და გათავდა, მეტი წერილი აღარ მიუღიათ. ბაუგზავნეს წერილი ნათე-

საეს, პასუხი აღარ იყო; ეისთანაც იდგა, იმასაც მისწერეს, მაგრამ ალბათ ნამდვილად ადრესის უცოდინარობისა გამო წერილი ვერ მიეღო და პასუხი არც იქიდან იყო. შეშინებულებმა Italiis საკონსულოში მიიწერეს, საიდგანაც, სამს თვეს შემდეგ თვით კონსულისაგან მიიღეს პასუხი, რომ, თუმცა გაზეთებშიაც კი გამოვაცხადეთ, მაგრამ ჩვენთან არაეინ მოსულა და ცნობაც არავის მოუციაო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: მოსამსახურეთ ყოფნა ქალს სათაკილოთ მიაჩნდა; რომ დაეცვა თავის ოჯახის პატივი, საცოდავმა ქალმა უეჭველათ ნამდვილი სახელი და გვარი დამალა იქა. ბავიდა რამდენიმე თვე, ამბავი არ მოსელიათ. მამა და შვილები სულ დაიბნენ. ბანსაკუთრებით უმცროსი ვაჟი ჯავრით კვდებოდა. რა ექნათ? ეისთვისღა მიემართათ? მამა ფიქრობდა, წასულიყო ამერიკაში საძებრათ, მაგრამ შვილები ვისთვის ჩაებარებია? ვინ შეუნახავდა, ან და სამუშაოსთვის რა ექნა? უფროს ვაჟს შეეძლო წასელა, მაგრამ დიდი ხანი არ იყო, რაც მუშაობა დაეწყო, და ოჯახისთვის დიდი დასაკლისი იქნებოდა მისი მოშორება. ამ ფიქრსა და დარდში გადიოდა თვეები, ყველ დღე, ერთსა და იმაზედვე მწუხარებით ლაპარაკობდენ, ან და დალვრემილი შესცქეროდენ ერთმანერთს.

ერთ საღამოს უმცროსმა ვაჟმა მარკომ გადაწყვეტით თქვა:

— მიდიეარ ამერიკაში, დედის საძებრათ. მამამ მწუხარებით თავი გაიქნია.

—აზრი კარგია, შეილო, მაგრამ შეუძლებელია. ცამეტის წლის ბავშის ამერიკაში გამგზავრება! მარტოთ-მარტოსი! სახუმრო კი ნუ გგონია, ერთის თვის სამგზაეროა!

ბავში კი ყოველ დღეს იმეორებდა დაჟინებით, ისე მშვიდობიანათ და გონიერულათ, თითქოს მოზრდილი ყოფილიყოს.

—სხვებიც ხომ მოგზაურობენ, ჩემზე უფრო პატარებიც,—ეუბნებოდა მამას.—ბემში ჩავჯდები, მიმიყვანს. მიეალ თუ არა, მოვძებნი ბიძა ჩემის დუქანს. ბიძას რაკი ენახავ, ენახავ დედასაც. თუ ვერ ენახე, კონსულთან მიეალ და მისის შემწეობით მოვსძებნი არგენტინის მებატონეს. ყოველ შემთხვევაში იქ ყველასთვის არის საქმე, მეც სამუშაოს მოვსძებნი, მოვაგროვებ იმდენ ფულს, რომ დაბრუნების საშუალება მექნეს.

იმდენი ეჩიჩინა, რომ ცოტ-ცოტათ დაიყოლია ყმაწვილმა ძამა.

მამა დიდ პატივს სცემდა მარკოს. იცოდა, რომ გამბედავი და გამჭრიახი ყმაწვილი იყო, ნაკლულევანებას შეჩვეული და მონდომებული. ის მაღალი მიზანი, რომ საყვარელი და პატივსაცემი დედა უნდა მოსძებნოს, კიდე უფრო გაამხნევებს ამის გულს. ამავე დროს დაერთო სწორეთ ის შემთხვევაც, რომ იმ გემის კაპიტანი, რომელიც ეხლა ამერიკაში მიდიოდა, ძალიან კარგი მეგობარი იყო ამისა; გაიგო თუ არა ეს ამბავი, აღუთქვა არგენტინამდის მუქთათ წაყვანა.

შამა კიდეე ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა. ჩაულაგეს აბგაში საგზალი, ჯიბეში რამდენიმე სახარჯო ფული, მისცეს ბიძის ადრესი და აპრილის ერთს მშვენიერ საღამოს მარკო კიდეც გაემგზავრა.

— ჩემო შვილო,—ეუბნებოდა თვალ-ცრემლიანი მამა, როცა უკანასკნელათ ჰკოცნიდა მას გემზე: კოჩაღათ იყავი, ჩემო კარგო! წმინდა მოვალეობას ასრულებ, ღმერთი იყოს შენი წინამძღვარი.

საცოდავი მარკო! მზათ იყო ყოველ გასაჭირს მამაცურათ შეხვედროდა მგზავრობაში, მაგრამ როცა მას თვალთაგან მიეფარა მისი მშვენიერი ბენუა, როცა შეტოპა გადაშლილ ზღვაში, გადასასახლებლად მიმავალის გლეხებით გატენილს გემზე, ყველა უცნობსა და უცხოებში, მარტოთ მარტო თავის აბგით, მაშინ კი უსუსტა მხნეობამ. ტრის დღის განმავალობაში არც უსვამს, არც არა უჭამია, ძაღლიეთ ეგდო ბანზე, ცოტა აკლდა ატირებას. საშინელი სამწუხარო ფიქრები უტრიალებდა თავში. ბანსაკუთრებით ის უწყლავდა გულს, ვაი თუ დედა ჩემი მკვდარიაო; დაქანცულს თუ ხანდის-ხან ჩაეძინებოდა, გამოეცხადებოდა ეილაც უცნობი პირი, სიბრალულით მიაჩერდებოდა და წასჩურჩულებდა ხოლმე, დედა შენი მკვდარიაო, და შეშინებული ყმაწვილი ყვირილით გამოიღვიძებდა.

ბაიარეს ბიბრალტარი; ოკეანის დანახვამ დაამიმედა და გამოაცოცხლა მარკო, მაგრამ ხანგრძლივი არ იყო ეს იმედი. თვალგადაუწედენელის ზღვის ერთ-

გვარმა სანახაობამ, აუტანელმა სიცხემ, გარშემო მყოფთა დალერემილმა სახემ და მარტოობამ ხელახლათ დააღონა ყმაწვილი. შსაქმურათ გატარებული ერთ-ფეროვანი დღეები ირეოდა იმის გონებაში. ასე ემართებათ ავათმყოფთა. მგონა, ერთი თვეა ზღვაზედა ვარო. დილით გაიღვიძებდა თუ არა, ეს ფიქრი სტანჯავდა, რომ მარტო იყო, უთვისოთ მისცურავდა ამერიკისაკენ ამ დაუსრულებელს ტალღებში. მშვენიერი მფრინავი თვეზები, რომელნიც ხანდის-ხან გემშიაც ჩამოცვივდებოდენ ხოლმე, ოქროს ფრათ ჩამავალის მზის თვალის მომტაცი სხივი, ღამის ციაგი შუქი, რომელიც თითქოს გართხმული იყო ოკეანზე და ისე აბრწყინებდა,—ყველა ესენი საშიშარი სიზმარი ეგონა მას. როცა ცუდი ამინდი დადგებოდა, ის არ გამოდიოდა საერთო საწოლიდან, სადაც ყველანი კანკალებდენ, მწუხარებით შფოთავდენ და ძირს ეფინებოდენ. ის ფიქრობდა, ჩემის აღსასრულის დღე დადგაო. იყო ისეთი დღეებიც, როცა ზღვა უძრავათ იდგა, აუტანელი სიცხე იყო, ქამი ხანგრძლივი და სევდიანი. მგზავრები მომაკვდავესავით ეყარნენ, ზოგნი იატაკზე, ზოგნი სუფრებზე, ვისაც როგორ მოესწრო. ბოლო აღარ ჰქონდა მოგზაურობას; ზევით ცა, ქვეეით წყალი, რაც გუშინ, ის დღეს, იგივე ხვალ. მარკო გემის მოაჯირზე მიწოლილი, რეტიანის თვალებით გაჰყურებდა ზღვის სივრცეს და ფიქრობდა დედა-მისზე, სანამ კისერმა არ უსუსტა და თვალები არ მიეხუჭა ძილისაგან. დაწვა, დაეძინა თუ არა, გამოეცხადა ისევ ის

უცნობი შეწუხებულის სახით და კიდეე წასჩურჩულა, დედა შენი მოკვდაო.

წამოვარდა—და ამ უძრაე ნიადაგზე, ხელ-ახლათ თვალწინ უდგა მოჩვენებაო.

ოცდა შვიდი დღე დარჩათ სამგზაერო, მაგრამ შემდეგ მგზაერობა თანდათან გაუადვილდათ. ქარგი ამინდები დადგა. ჰაერი გაგრილდა. ჩვენი მოგზაურიც გაეცნო ერთ მოხუცებულს ლომბარდიელს, რომელიც ეაქიშვილიანათ მიდიოდა ამერიკაში; მარკომ უამბო თავის ამბავი.

— ნუ გეშინია,—აიმედებდა მოხუცებული ალერსით, დედა შენს ცოცხალს და კარგათ მყოფსაც ნახავო.

ამ ახალმა ნაცნობმა გამოაცოცხლა მარკო, ყოველი სამწუხარო წინათგრძნობა მხიარულებათ შეეცვალა. მშვენიერს მთვარიანს ღამეში მოუჯდებოდა გვერდით მოხუცებულს, გარ-შემოუსხდებოდენ სხვა მგზაერებიც და მოყვებოდენ სიმღერას. მოხუცებული ჩიბუხს ეწეოდა; მარკო კი ოცნებობდა, თუ როგორ მიეიდოდა ბუენოს-აირესს. აი ის ქუჩა, რომელზედაც დგას ბიძა მისი, აგერ მისი დუქანიც, მიეარდება ბიძას.—სად არის დედა ჩემი? წაეიდეთ ეხლაეე!

— ამ წამში! და მირბიან, აირბენენ კიბეს, აღებენ კარებს...

ამ დროს შესწყდება მისი ფიქრი, ოცნება ინთქება გამოუთქმელ სიყვარულის მორევში, ამოიღებს უბიდან ხატს, კოცნის და ლოცულობს.

ოცდა მეშვიდე დღეს, როგორც იქნა, დაასრულეს.

მგზაურობა, მაისის მშვენიერს დილას გემის ღუზა ჩააგდეს ფართო ლა-პლატის მდინარეში, რომლის ნაპირზედაც გაშენებულია არგენტინის რესპუბლიკის ქალაქი ბუენოს-აირესი.

მნეენიერმა დღემ ბედნიერების წინასწარი შთაბეჭდილება მოახდინა მარკოზე. სიხარულითა და მოუთმენლობით თავის-თავს აღარ ეკუთენოდა ჩვენი პატარა. დედა-მისი ასე ახლოა! რამდენსამე საათს შემდეგ ერთმანერთს შეხვდებიან! ის უკვე ამერიკაშია, ახალ ქვეყანაში! მარტოთ-მარტო გაბედა წამოსვლა! ამოდენა დაუსრულებელი გზა აღარაფრათ ეჩვენებოდა, თითქოს ფრენით გადმოეველოს, ყველა ესენი ეითომ სიზმრათ ნახა და მხოლოდ ეხლა ეს არის გამოიფხიზლა. იმდენათ ბედნიერი იყო, არც კი შემკრთალა და არ შეწუხებულა, როცა ნახა, რომ ჯიბეში სამგზაურო ფულებისაგან ნახევარიც აღარა ქონდა. რამდენიმე ლირაღა დარჩენოდა. მაგრამ ამას ვინლა დაეძებს? დედა ასე ახლოს ჰყავს! აბგით ხელში ჩვენი მარკო სხვა მგზაურებთან ერთათ გადავიდა პატარა გემზე, რომელმაც ნაპირს მიუახლოვა ისინი. ბემიდან გადასხდენ ნავებში და მიადგენ ნაპირს. აქ მარკო გამოემშვიდობა თავის მეგობარს მოხუცებულს და ჩქარის ნაბიჯით გასწია ქალაქისაკენ.

როცა პირველ ქუჩაზე გავიდა, მარკომ შეაჩერა ერთი მგზაური და ჰკითხა, საიდგან უნდა გადაეხვია ლოს-არტეს ქუჩაზე. მგზაური იტალიელი მუშა იყო; იმან გაკვირვებით შეხედა მარკოს და ჰკითხა:

— ქითხვა იცი?

— ვიცი.

— მაშ წადი პირდა-პირ,—განაგრძო მეშამ, და მიუთითა, საიდგანაც თვითონ მოდიოდა.—სულ პირდა-პირ, ყოველ გადასახვევზე წაიკითხე ქუჩის სახელი და ბოლოს ნახავ, რომელსაც ეძებ.

ბავშვმა მადლობა გადაუხადა და გასწია.

ქუჩა იყო ვიწრო და დაუსრულებელი. ორივე მხრით ჩაუყვებოდა დაბალ-დაბალი თეთრი სახლები, როგორიც არის საზაფხულო აგარებში; უანგარიშო ურმები, ხალხი და მათი ყვირილი ყურებს გაუჭედდა ადამიანს. ალაგ-ალაგ ბაირაღები იყო გამოფენილი ზედწარწერით,—აცხადებდენ, რომ ესა და ეს გემი მიდისო ამა და ამ ქალაქებს.

რომელს ქუჩასაც არ გახედავდა მარკო, ყველა ვიწრო, ყველგან ასეთი პატარ-პატარა სახლები, ამდენი ხალხის ფაცა-ფუცი და ურმების ჭრიალი. მარკო ფიქრობდა, მთელ დღეს და კვირასაც რომ ვიარო ასე, ვერც ქუჩას ვნახავ სხვანაირს და ვერც შენობას, უთუოთ მთელს ამერიკაში ამისთანა ქუჩები და შენობებიაო. ყოველ ქუჩის ზედ წარწერას აკვირდებოდა, მაგრამ წაკითხვა უჭირდა. ყოველ გადასახვევზე ვული უკანკალებდა. აქ არის! აქ უნდა იყოს! რამდენი ქალი შეხვდებოდა, უკვირდებოდა, სულ იმედი ჰქონდა, დედას შეეხვდებიო. ერთი ქალი მიუძღოდა წინ, მარკოს სისხლი აემღერა, გადაურბინა გზა და ჩახედა... არაბისტანელია!. მოუმატა ისევ ნაბიჯს, მიდის

და მიჰქრის, მიადგა ჯეარედინ გზას, წაიკითხა თუ არა: «ლოს-Არტეს ქუჩა», ხესაეით გაშეშდა. შემდეგ საჩქაროთ შეუხვია, ნახა სახლის ნომერი, ასჩეიდმეტი იყო. Არა, ამას ას-სამოცდა-თუთხმეტი უნდა, იქ არის ბიძა-მისის დუქანი. Ირბინა, ირბინა ას-სამოცდა-თუთხმეტ ნომრამდის; აქ კი უნდა შეჩერებულიყო, რომ სული მოებრუნებია.

— დედა ჩემო, დედა! ნუთუ ეხლაეე გნახავ?

Ბაიქცა ისეე, მიირბინა საწერილმანო დუქანთან; დიახ, ეს არის. შეიჭერიტა,—ვილაც ჭაღარა, სათვალებიანი ქალი ზის.

— რა გინდა, ყმაწვილო? ჰკითხა ქალმა.

— Აქ არ არის,—ძალა დატანებულის ხმით ჰკითხა ყმაწვილმა: ეს Ფრანჩესკო მერელის დუქანი არ არის?

— Ფრანჩესკო მერელი მოკვდა.

Ეს სიტყვები მეხიეით მოხვდა მარკოს.

— როდის?

— Დიდი ხანია მას აქეთ, რამდენიმე თვე იქნება. ᲗᲐვისი საქმეები ცუდათ წაიყვანა. Ბაიპარა ᲑაიᲣში, რომელიც აქედან შორს არის, და იქ მოკვდა. Ეს დუქანი ჩემია. Ყმაწვილი გაყვითლდა და საჩქაროთ თქვა:

— მერელი იცნობდა დედა-ჩემს, დედა-ჩემი ბატონ მეკინესთან იდგა მოსამსახურეთ. Მხოლოდ მერელს შეეძლო ეთქვა ჩემთვის, სად არის დედა-ჩემი, მე Ამერიკაში იმის საძებრათ წამოვედი. მერელიეე გვიგზავნიდა იმისგან წერილებს. Დედა-ჩემის ნახვა მინდა...

— საწყალი ბავში, თქვა დედა-ბერმა. არ ეიცი ღმერთმანი, მოიცა, ამ ეზოს მუშას ეკითხავ, ის იცნობდა მერელის მოჯამაგირეს, იქნება იცის რამე.

დაუძახა მუშას და ჰკითხა:

— თუ ღმერთი გწამს, მითხარი, გახსოვს მერელის მოსამსახურე, რომელსაც ხანდის-ხან წერილები მოჰქონდა ერთის აქაურ მებატონის მოსამსახურე დედა-კაცთან?

— მეკინესთან? მიუგო მუშამ,—დიახ, მახსოვს; ისინი ამ ქუჩის ბოლოში დგანან.

—ოჰ, შენი ჭირიმე, მადლობელი ვარ, წამოიძახა მარკომ, არ იცით ნომერი იმ სახლისა? მასწავლეთ, მიმაცილე, შენი ჭირიმე, მე ფულები მაქვს... ისე გაცხარებით ისროდა სიტყვებს მარკო, რომ მუშა არც კი დაჰკითხებია ქალბატონს, ისე დაეთანხმა ყმაწვილის ვედრებას. ხმა ამოიღებლათ, თითქმის სირბილით, მიაწიეს ქუჩის ბოლომდის. შეეიდენ ეზოში და გაჩერდენ თუჯის ლამაზ ჭიშკართან, საიდანაც მშვენიერი ბალჩა მოსჩანდა. მარკომ ჩამოჰკრა ზარა. ყმაწვილმა ქალმა გამოხედა მათ.

— აქ ცხოვრობს მეკინეს ოჯახობა? აღშფოთებით ჰკითხა მარკომ.

— ადრე იდგნენ. ახლა ჩვენ, ზებალოსანი ვცხოვრობთ.

— მეკინეს ოჯახობა სადღა არის? ძანკალით ჰკითხა მარკომ.

— ქორდოვას გადავიდენ.

— ქორდოვასაო! იყვირა მარკომ, სად არის ქორ-
დოვა? ის ქალი სადღაა, იმათ რომ ემსახურებოდა?
დედა-ჩემი? ის ხომ დედა-ჩემი იყო? წაიყვანეს განა
დედა-ჩემი?

— არ ვიცი ღმერთმანი, იქნება მამა-ჩემმა

о-
დეს, ის დაესწრო იმათ წასვლას. მომიცადე ერთ წამს.

ქალი მაშინვე გაიქცა და მოიყვანა მამა-მისი,
მაღალი ტანისა, ჭაღარა და ერიანი კაცი. ის გაშტე-
რებით ჩააჩერდა სასიამოვნო სახის, ქერა ხუჭუჭ-
თმიან ყმაწვილს და ჰკითხა;

— დედა-შენი ბენუიდგან არის?

— დიახ, მიუგო მარკომ.

— მაშ მე ნამდვილათ ვიცი, რომ იმათ წაჰყვა.

— სადა?

— ქორდოვას, ქალაქია ერთი.

მარკომ ამოიოხრა და თქვა:

— მეც ქორდოვას უნდა წავიდე.

— საცოდავაო, სიბრალულით წამოიძახა ზებალომ,
ქორდოვამდის ახი ალაჯია.

ბაყვითლებული მარკო მოაჯირს დაებჯინა.

— მაგრამ მოიცადე, აქ შემოდი ჩემთან, თანა-
გრძნობით უთხრა ზებალომ და გაულო კარები. ქარ-
გათ მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ.

დაჯდა, გვერდით მოისვა მარკო, გამოჰკითხა ვი-
ნაობა, ყურადღებით მოუსმინა და ცოტა ფიქრს
შემდეგ ჰკითხა.

— შენ, რასაკვირველია, ფული არა გაქვს?

— Ოტა კიდეე დამრჩა, მიუგო მარკომ.

ზებალო კიდეე ჩაფიქრდა, შემდეგ მოუჯდა სუფრას, დასწერა ბარათი, დაბეჭდა და გადასცა მარკოს.

— ბამიგონე, ყმაწვილო, წაიღე ეს წერილი ბოკას, ბენ ეიის მსგავსი პატარა ქალაქია, აქედან ორი საათის გზაა; გზას ყველა გასწავლის; მიდი იმასთან, ვის სახელზედაც არის წერილი, იმასაც ყველა იცნობს. ბადაეცი ბარათი, ის გაგგზავნის ხვალეე როზარიოში. ის ჩაგაბარებს თავის ნაცნობს და ნაცნობი კი გაგისტუმრებს ქორდოვას, სადაც ნახავ მეკინეს და დედა-შენს. აჰა, ეს საგზლათ წაიღე.

ამ სიტყვებით რამდენიმე ლირა ჩაუგდო ხელში.

—ეოჩალათ იყავი, ყველგან შეხვდები შენის ქვეყნის კაცს და ყველა ყურს გიგდებს; მშვიდობით!

— ბმადლობთ,—უთხრა ყმაწვილმა. მეტის სიტყვის თქმა ეელარ მოახერხა; აიღო თავის აბგა, გაისტუმრა გამომცილებელი და დაღერემილი, გაბრუებული დიდის ქალაქის ხმაურობისაგან, გაემგზავრა ბოკას.

მეორე დილამდის მარკოს თავში ფუტკარიევით ირეოდა მისი თავგადასავალი. ცხელებიანიევით აბოდებდა; დაიღალა, გამხთალდა, თითქმის სულითაც დაეცა. ღამე ეიღაცას ქოხში გაათია, დღე დატეერთულ გემებზე გაატარა. ბარშემო ხომალდები და გემები უჭრელებდა თვალებს. საღამოს მოხვდა დიდ იალქნებიან ხომალდზე, რომელსაც ნამუშაევრი მიჰქონდა როზარიოს: ხომალდის ხელის მწყობლებათ ლომებიევით ეაქკაცები იყენენ, გენუელები. მშობლიურმა ენამ და კილომ ყმაწვილი გაბოაცოცხლა.

სამ დღეს და ოთხ ღამეს გაგრძელდა მგზაურობა. ჩვენი მგზავრი გაკვირვებული იყო პარანის მდინარის სიდიდით, რომელთან შედარებითაც ღელეთ ეჩვენებოდა მდინარე ჰო: ოთხი ამ უკანასკნელისთანა მდინარე ვერ გასწვდებოდა სიგრძით პარანის მდინარეს! ხომალდი ნელ-ნელა მიდიოდა ამ უზარ-მაზარ მდინარეში წყალ-აღმა. ბაუარეს გრძელ კუნძულებს, სადაც ვეფხვები და გველები ბუდობენ; კუნძულები თითქოს მცურავი ბაღებიაო, საესე იყვენ ფორთოქლის ხეებით. ალაგ-ალაგ მდინარე ისე ეიწრო შტოებათ გაიყოფოდა, რომ ასე გეგონებოდათ, ველარ გავეტეეითო. შემდეგ შესცურავდენ ისევ უცნაურ ფართო და ტბის მსგავს მშვიდობიან მდინარეში. აესით ხმაურობა; როცა ხედავდით უდაბურ ნაპირებს და ურიცხვ ტალღებს, გეგონებოდათ, ეს მდინარე რომელსამე უცნობ დედა-მიწის კუთხიდან მომდინარებს და ეს საცოდეაი იალქნები პირველნი გაშლილან ამის მორეეში.

რამდენიც მიდიოდენ, იმდენი უფრო გულს უწყლავდა მარკოს ამ მდინარის ყურება. წარმოდგენილი ჰქონდა, რომ დედა-ჩემი ამ მდინარის სათაეეშია და იქამდის ერთის წლის საეალიაო. ღღეში ორჯელ ერთ ნამცეცა პურს და შაშხის ნაჭერს თუ შეეჭამდა, მენიჩბეები რაკი ხედავდენ, რომ ასე დაღერემილი იყო, ხმას არ სცემდენ. ღამ-ღამობით მოფარებულში ეძინა და მთეარის სინათლეზე, რომლის შუქითაც განათებული იყო მდინარე, შეშინებული წამოეარდებოდა ხოლმე,—გული ეწოდა.

— ᲙᲝᲠᲓᲝᲕᲐ! ᲙᲝᲠᲓᲝᲕᲐ! ᲘᲬᲔᲝᲠᲔᲑᲓᲐ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲚᲝᲜᲘ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲖᲚᲐᲠᲐᲗ ᲒᲐᲜᲐᲒᲝᲜᲘ ᲰᲥᲝᲜᲝᲓᲔᲡ,—ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲔᲠᲙᲕᲔᲝᲓᲐ:—ᲓᲔᲓᲐ-ᲩᲔᲛᲡ ᲐᲥᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲚᲘᲐ, ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲔᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ, ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘ... ᲠᲐᲙᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲛᲘᲡᲡ ᲔᲜᲐᲮᲐ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲡᲔ ᲣᲪᲮᲝᲗ ᲐᲚᲐᲠ ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲔᲠᲗᲗᲛᲐ ᲛᲔᲜᲘᲩᲑᲔᲛ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲬᲐᲛᲝᲘᲬᲧᲝ. ᲛᲐᲠᲙᲝᲡ ᲛᲝᲐᲒᲝᲜᲓᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲮᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘᲗᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲜᲐᲜᲘᲜᲐᲡ ᲓᲐᲛᲦᲔᲠᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲣᲯᲓᲐ.

— ᲛᲒ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐ, ᲧᲕᲐᲬᲘᲚᲝ, ᲣᲗᲮᲠᲐ ᲛᲔᲜᲘᲩᲑᲔᲛ. ᲑᲔᲜᲣᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲘᲧᲝ! ᲡᲢᲘᲠᲘᲡ, ᲡᲐᲮᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲨᲝᲠᲓᲐ! ᲑᲔᲜᲣᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲐ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲮᲜᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲘᲐᲠᲔᲡ.

ᲛᲐᲠᲙᲝ ᲬᲐᲛᲝᲮᲢᲐ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲯᲮᲘᲖᲚᲐ. ᲑᲔᲜᲣᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲐᲣᲚᲔᲚᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲐᲘᲦᲝ, ᲓᲐᲰᲙᲠᲐ ᲡᲐᲰᲔᲡ ᲛᲣᲨᲢᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲐ:

— ᲫᲐᲠᲒᲘ, ᲗᲣᲜᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲔᲚᲐ ᲛᲝᲛᲘᲮᲓᲔᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲬᲚᲝᲑᲘᲗ ᲬᲐᲜᲬᲐᲚᲘ, ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲘᲚᲘ ᲥᲕᲔᲘᲗᲐᲗ ᲒᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲠᲩᲔᲡ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲙᲐᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲔᲜᲐᲮᲐᲛ ᲓᲔᲓᲐ-ᲩᲔᲛᲡ. ᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲡᲣᲚᲡ ᲛᲘᲡ ᲙᲐᲚᲗᲐᲛᲯᲘᲡ ᲛᲘᲕᲘᲢᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲔᲜᲐᲮᲐᲕ.—ᲑᲐᲡᲬᲘᲗ!.

ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲛᲐᲪᲣᲠᲐᲗ ᲛᲘᲔᲒᲔᲑᲐ ᲠᲝᲖᲐᲠᲘᲝᲡ ᲖᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲐ ᲒᲠᲘᲚᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲡ. ᲠᲝᲖᲐᲠᲘᲝ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲖᲔ. ᲐᲥ ᲓᲒᲐᲡ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘ.

ᲛᲘᲐᲓᲒᲔᲜ ᲜᲐᲞᲘᲠᲡ. ᲛᲐᲠᲙᲝ ᲒᲐᲓᲛᲝᲮᲢᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲑᲒᲘᲗ,

გაეშურა ქალაქისკენ და. შეუდგა იმ კაცის ძებნას, რომელთანაც ბარათი გამოატანა მისმა მოკეთემ. როზარიო თითქოს ნაცნობ ქალაქათ მოეჩვენა მარკოს. იმ ნაირივე ქუჩები, თეთრ-თეთრი პატარა სახლები დახვდა, როგორიც წინათ ენახა. სახურავებიდან, ყოველის მხრით, ობობას ქსელივით, გახლართული ტელეგრაფის და ტელეფონის მავთულები. ისეთივე ხმაურობა ხალხისა, ცხენების და ურმების. მარკოს თავ-ბრუ დაეხვა, ასე ეგონა, ბუენოს-აირესში ვარ და ზელ-ახლათ უნდა შეეუდგე ბიძა-ჩემის ძებნასო. ამ ნაირათ მთელი საათის განმავალობაში გარეტიანებული დაეხეტებოდა. ბოლოს ბევრი კითხვის შემდეგ ასწავლეს ახალი მეარველის სახელი. მარკომ ჩამოირეკა ზარა. ქარები გაეღო მაღალი ტანის, ქერა, მოღუშულ სახის კაცმა, რომელიც ვაჭარს ჩამოგავდა, და უცხოელის კილოზე ბრიყულათ ჰკითხა:

— რა გინდა?

ყმაწვილმა სახლის უფროსი კითხა.

— უფროსი, მთელის ოჯახობით, გუშინ საღამოს ბუენოს-აირესს წავიდა.

ყმაწვილი გაშეშდა და ძლივსღა წამოილულლულა.

— რაღა ექნა... აქ არავინ არა მყავს... მარტოთ მარტო ვარო.

წერილი მიაწოდა, ვაჭარმა წაიკითხა და წაიბუტბუტა.

— არა ვიცი რა. ერთს თვეს უკან დაბრუნდება და გადაესცემ ამ ბარათს.

— მე რომ აქ პატრონი არავინ გამიჩნი, გაჭირ-ვებულ მდგომარეობაში ვარ? ვედრების ხმით შესჩივ-ლა ყმაწვილმა.

— მე რას დავეძებ, რა ჩემი საქმეა!

ტანი არიან თქვენებურები აქ? წადი და იმათხოვრე...

ამ სიტყვებით ცხვირის წინ მოახალა კარები. ყმაწვილი კარგა ხანს იდგა გაშტერებული, შემდეგ მოკიდა ხელი თავის აბგას და მწარე ფიქრებით მო-ცული დაადგა გზას. რა ქნას? საით წავიდეს? რო-ზარიოდან ქორდოვამდის, ერთის დღისა და ღამის გზაა რკინის გზით. რამდენიმეღა ლირი დარჩენია, ამას კიდეე დღეს ცოტა უნდა მოაკლოს, და რითღა წავიდეს? ვის გამოართვას სამგზავრო ფული? მუშა-ობით იშოვნოს? ეი, მაგრამ ეის სთხოვოს სამუშაო? მოწყალება ჩამოითხოვოს? ოჰ, არა! ის არჩევს ყო-ველ გვარ დამდაბლებას, შეურაცხებას, როგორიც ამ წუთში მას მიაყენეს; მაგრამ მათხოვრობას, სამო-წყალოს თხოვნას სიკვდილი სჯობია! ამ ფიქრმა და დაუსრულებელი ქუჩის სიგრძემ ხელ-ახლათ შეურყია მას მხნეობა. დააგდო აბგა ძირს, ჩაჯდა კედლის ძირ-ში და სასო-წარკვეთილებით მიიჯარა ხელები პი-რის სახეზე. ხალხის ხმაურობა, ეტლების რახა-რუხი ირეოდენ იმის თავში. ბამელელ-ვამომლელნი წაკ-რავედენ ხოლმე ფეხს, ბავშები ჩასჩერებოდენ, მაგრამ ის უძრაეათ ეგდო, მბოლოდ ერთმა ნაცნობმა ხმამ შეაკრთო.

— შენ აქ რას შვრები, ჩემო კარგო?

მარკო წამოხტა გაკვირვებული

— ოჰ, თქვენ აქა ხართ?

ეს ის ლომბარდიელი მოხუცებული იყო, რომელსაც მარკო მოგზაურობაში გაეცნო.

მარკოზე ნაკლებ არც იმას გაკვირვებია ყმაწვილის ნახვა. მარკომ აღარ დააცალა გამოკითხვა, ისე უამბო მას თავისი თავ-გადასავალი.

— ამ გვარათ ეხლა მე ცოტა მუშაობა კი არ დამჭირდება! მიშოვნეთ ისეთი სამუშაო, რომ რამდენიმე ლირი ავიღო. ყველაფერი შემიძლიან: ქუჩებს დაეგვი, საქონლის გადატან-გადმოტანა შემიძლიან, გასაგზავნ-გამოსაგზავნათ ვივარგებ, ეხნავ, ვთოხნი. სარჩოთ ერთი ნაჭერი პური მეყოფა დღეში; მპოლოთ მალე წავიდე და ვნახო დედა-ჩემი!... ღვთის გულისათვის მომეხმარეთ, თორემ მეტი ღონე აღარა მაქვს.

— უბედურებაა სწორეთ, უბედურება,—იმეორებდა მოხუცებული და თან წვერებზე ხელს ისვამდა. ადვილი სათქმელია სამუშაოს შოვნა! ეკნება სხვა ნაირათ მოვახერხოთ რამე. თქვენებურებთან არ ცდილხარ, გეშოვნა რამდენიმე ლირი?

ყმაწვილი იმედის თვალით მისჩერებოდა მოხუცს.

— ჩემთან წამოდი, განაგრძო მოხუცმა.

— სადა?

წამოდი მეთქი.

ბლეხი წავიდა, მარკო უკან დაედევნა. ძარგა ძალი გზა გაიარეს ჩუმათ. მოხუცებული შეჩერდა სა-

სტუმროსთან, რომლის გამოფენილ დაფაზე დიდი ვარსკვლავი იყო დახატული და ზედ იყო წარწერილი ისპანიურათ «იტალიის ვარსკვლავი». ბლეხმა შეიჭვრიტა შიგ, მემრეთ მიბრუნდა და მხიარულის სახით თქვა:

— ძარგ დროს მოვასწარით.

ორივე შეეიდენ დიდ დარბაზში; უანგარიშო ხალხი იჯდა სუფრათ, სვამდა და გაცხარებული ბაასობდა. ჩვენი ლომბარდიელი მოხუცი მიეიდა ერთ სუფრასთან. მათი მისალმებიდან ჩნდა, რომ დიდიხანი არ იყო, რაც ის მათ მოშორებოდა. იცინოდენ, ხმაურობდენ და მეტის სვისგან დაჭარხლებოდათ სახე.

— მეგობრებო! დაიწყო მოხუცებულმა და მიუთითათ მარკოსაკენ,—ეს საცოდავი ყმაწვილი ჩვენებურია, ბენუიდან წამოსულა ბუენოს-აირესს დედის საძებრათ; იქ უთქვამთ, რომ დედა-მისი ძორდოვაშიაო. მოვიდა ეხლა აქ როზარიოს; სამს დღეს და ღამეს მოსცურაედა, წერილი ჰქონდა გამოტანებული ერთ ვილაკასთან, რომელსაც იგი გზაზე უნდა დაეყენებია, მაგრამ იმ კაცის სახლიდგან უყურადღებოთ გამოუსტუმრებიათ. შული არა აქვს ერთი გროში, უპატრონო და გზა დაბნეულია ამისთანა ჩინებული ბავშვი. მოიძებნეთ, იქნება მოუგროვოთ იმდენი, რომ ძორდოვამდის მიიყვანოს და დედა მისი ნახოს!

— ნუ თუ ძაღლიეით ყურს არ უგდებთ?

— როგორ შეიძლება!

— ჩვენს ძვირს ვერავინ იტყვის!

— ეოჩალ, მამულის შვილო!

— ჩემთან მოდი, ყმაწვილო!

— მოდი ჩემთან, ჩვენ ხომ თქვენებურები ვართ, გადმოსახლებულები!

— რა მშვენიერი ბავშვი!

— ამოიღეთ, მეგობრებო, ვისაც რამდენი გაქვთ ჯიბეში!

— ეოჩალ! მარტო წამოდი? შენ კარგი ნიშანი გეტყობა.

— დალიე, სვამე, მამულის შვილო!

— ნუ გეშინია, გაგისტუმრებთ დედა-შენთან!

ვინ ლოყაზე ჩქმეტს, ვინ ბეჭებზე უთათუნებს ხელს, ვინ აბგას ართმევს; ეხლა სხვა სუფრებიდგანაც მოგროვდენ, მარკოს თავ-გადასავალს უამბობენ ერთმანერთს და იმეორებენ. რამდენსამე წამს შემდეგ, მოხუცებულმა დაუბრუნა მარკოს ქუდი, რომელშიაც ორმოცდა-ორი ლირი იყო.

— ხედავ, ჩემო კარგო, რა მარდათ კეთდება ხოლმე ამერიკაში საქმეები...

— დალიე, მიაძახა ერთმა და მიაწოდა ღვინო.

— დედა-შენის სადღეგრძელო იყოს!

უველამ აიღო საესე ჭიქები.

დედა-ჩემის სადღე... დაიწყო მარკომ, მაგრამ ველარ განაგრძო და თვალცრემლიანი ჩამოეკიდა კისერზე მოხუცებულს.

მეორე დღეს გამხნევებული და გამხიარულებუ-

ლი ჩვენი მარკო ყოჩაღათ მიჰკროდა ძორდოვასაკენ.

მაგრამ ბუნებას ისეთი თვისება აქვს, რომ მხიარულებაც არ არის ხანგრძლივი. დღე იყო ლრუბლიანი; მატარებელი თითქმის ცარიელი მიექანებოდა ტრიალ მინდორში. მოსახლობის ნიშანიც არა სჩანს; სამარის მსგავსი სიჩუმე, თითქოს ღიუ-ბოლოვებულ სასაფლაოთ გადაქცეულა არე-მარე. მარკოს ხანდის-ხან ჩაეძინებოდა; გაახელდა თვალს თუ არა, ერთსა და იმავე სურათს დაინახავდა: რკინის გზის სადგურები უდაბნოს ჩამოგავდა, მატარებლის გაჩერების დროს ადამიანის ხმა არ ისმოდა. ციმა ნიავმა შემოუბერა და აუსუსა მარკოს პირის საზე. ბენუიდან აპრილის დამლეკეს წამოვიდა, ეტრ ვასჭერიტა, რომ არგენტინაში ამ დროს ზამთარი იწყება და სათბურია საჭირო. რამდენსამე საათს შემდეგ კანკალი დაიწყებინა. სიცივეს თან ამდენის ხნის უძილობა, მოუსვენარობა და აშფოთებული მდგომარეობაც დაეტყო. პატარა ხანს იქით ჩაეძინა. ქარგა ხანს ეძინა და როცა გამოიღვიძა, სულ ერთიან გაყინულიყო; მთელ სხეულში ტკივილსა გრძნობდა. შიშმა აიტანა საწყალი ბავში, ვაი თუ მოეკვდე და მატარებლიდან გადამაგდონო, ჩემ სხეულს დაგლეჯენ ძაღლები და გარეული ფრინველები, როგორც იმ პირუტყვებისას, რომელნიც ფანჯრიდან მოჩანდენ, და შიშით თვალს არიდებდა. მარტოთ-მარტო ავათმყოფი მისი გონება ყოველ სამწუხარო დასკვნამდის მიიყვანდა ხოლმე,—ნუ თუ მართლა ნახავს დედა-მისს

ქორდოვაში? იქნება არც კი მისულა იქა? იქნება, შეცდა ის კაცი და ტყვილათ გამოისტუმრა აქეთკენ? იქნება მოკვდა კიდეც?... ქიდეე ჩაეძინა, დაესიზმრა ქორდოვა. ღამეა; ყველა ფანჯრებიდან და კარებიდან გამოსძახიან: «არ არის! დედა-შენი არ არის!» შეშინებულს გამოელვიძა.

მოშორებით სამი კაცი იჯდა, გრძელ წვერებიანი, შალებში გახვეული, გაშტერებით მისჩერებოდენ მარკოს, და ეჩურჩულებოდენ ერთმანეთს. ყმაწვილმა იფიქრა, ესენი ბოროტი კაცები არიან, უნდათ მომკლან და ჩემი აბგა წაიღონო. ავათმყოფობას ეს შიშიც დაერთო და სულ აერია გონება. კაცები დაჟინებით უცქერდენ. ერთი მათგანი წამოდგა და მიუახლოდა მას. მარკო გაფითრებული წამოეარდა, გაიქნია ხელები და ყვირილით შეხვდა წინ:

— მე არაფერი გამაჩნია! ერთი საწყალი ყმაწვილი ვარ! იტალიიდან წამოსულვარ დედის საძებრათ! ნუ მომკლავთ ღვთის გულისათვის.

იმათ საშინლათ შეებრალათ ყმაწვილი, მიეფერენ, დაამშვიდეს, რომელილაც გაუგებარ ენაზე დაუწყეს ლაპარაკი. მარკოს კბილები უკანკალებდა სიცივისგან: მაშინვე გამოხვიეს იგი შალში, დააწვინეს და ანიშნებდენ, რომ დაეძინა. სალამოს ქამს მართლაც დაეძინა და, როცა გამოიღვიძა, უკვე ქორდოვაში იყვენ.

ოჰ, რა თავისუფლათ ამოისუნთქა და რა მარდათ გადმოხტა მატარებლიდან, ჩვენი მარკო! სადგუ-

რის მოსამსახურეს ჰკითხა, სად დგას ინჟინერი მეკინესიო. მანაც ასწავლა ეკლესიის გვერდით სახლი. ბნელოდა. მარკო გაიქცა, შეეიდა ქალაქში, რომელშიაც ისეთივე სწორი ქუჩები და ისეთივე თეთრი სახლები იყო, როგორც როზარიოში; ხალხის მოძრაობა კი ნაკლები. ფანრებით გაჩაღებულ ქუჩებზე ახირებულ სახის ადამიანებს ხედავდა, რაღაც უცნაურ შავსა და მწვანე ფერისას. მარკომ აიღო თავი და დაინახა მშვენიერი თეალ-უწედენელი სიმაღლის ეკლესია.

ქალაქში თუმცა სიბნელე და მყუდროება იყო, მაგრამ იმდენ უსიამოვნო მგზავრობას შემდეგ, მაინც მხიარულათ ჩნდა. მარკომ მალე მონახა სახლი, დარეკა, სანამ კარებს გაუღებდენ, ორივე ხელები გულზე ჰქონდა მიჭერილი, რომ კანკალი დაემშვიდებია; ერუანტელი უელიდა მთელს ტანში,

მოხუცებულმა დედა-კაცმა გაუღო კარები, ყმაწვილი ჩუმათ იდგა.

— ვინ გნებავესთ? ჰკითხა ქალმა.

— ინჟინერი მეკინესი.

— შენთვისაც შეიქნა საჭირო ინჟინერი? მგონი დროა, რომ ბოლო მოეღოს აქ მის მომკითხავებს. რამდენი თვეა, აგრე გვაეიწროებენ, გაზეთებში გამოვაცხადეთ, მაგრამ, მგონია ქუჩაზედაც დაგვეჭირდება. განცხადების გაკერა, რომ ბატონი მეკინესი ტუგუმანს გადაესახლა.

ყმაწვილმა სიმწარით თავი გაიქნია და ბრაზ მორეულმა წამოიძახა:

— Ოხ, ღმერთო ჩემო! ასე უნდა მოეკვლე წანწალში, დედი-ჩემის უნახავი! სწორეთ ჭკუიდან შეეიშლები! თავს მოეიკლავ! ღმერთო! რა ჰქვია იმ მხარეს? სად არი'? შორს არის თუ ახლო, მითხარით მაინც!

საცოდავი! სიბრალულით თქვა მოხუცებულმა. შორს არ არის, სულ ოთხასი ან ხუთასი მილი იქნება აქედან, შეიძლება ცოტა მეტიც.

— რა ვქნა, რა მეშველება?—იძახოდა მარკო, მიიფარა ხელები სახეზე და მოჰყვა ქვითინს.

— მე არაფერი ვიცი, ჩემო კარგო, რა უნდა გითხრა? მაგრამ მოიცა—რაღაც მოაგონდა — და განაგრძო.

— იცი, რა გითხრა, გამიგონე, გაიქეცი მარჯვნივ. ამ ქუჩაზე მესამე ჭიშკარს ნახავ, შედი ეზოში, იქ ვაჭარი დგას, საქონლის ნარდათ გადამტან-გადმომტანი. ის მიდის ხვალ ტუგუმანს, საკუთარის ხარ-კამბეჩით მიაქვს საქონელი. თხოვე, იქნება მოგცეს ურემზე ალაგი და წაგიყვანოს, შეპირდი, ყველაფრის გაკეთება შემიძლია, ვიმუშავებთ'ო. გაიქეცი ჩქარა!

ბავშმა მადლობა გადუხადა, წამოავლო ხელი თავის აბგას და გაიქცა. ბანათებულს ეზოში მუშები ასაპალნებდენ გადახურულ ურმებს ხორბლით გატენილ ტომრებით. მუშაობას თვალს ადევნებდა მაღალი ტანის, გრძელ წვერებიანი, შალში გახვეული კაცი. მარკო მივიდა მასთან და მოწიწებით განუცხადა სათხოვარი. ისიც დასძინა, რომ იტალიიდან ვარ წა-

მოსული დედის საძებრათო. შეროსმა თავით ფეხამდის დაათვალიერა იგი და მოკლეთ უპასუხა:

— ალაგი არ არის.

— თუთხმეტი ლირი მაქვს, ხვეწნით ეუბნებოდა მარკო. სულ ყველას მოგართმევ, გზაში გემსახურები. წყალს მოგიტან, საქონელს საკვებს მიუზიდავ, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც კი მიბრძანებთ, სარჩოდ ერთი ნაჭერი პური მეყოფა დღეში. ღვთის გულისათვის ნუ დამტოვებთ, მომეცით ალაგი!

თავმდგურმა ცოტა უფრო მოწყალეს თვალით შეხედა და უთხრა:

— ალაგი არ არის, და ამას გარდა ჩვენ ტუგუმანს კი არა, სანტ-იაგო-დულ-ლესტერს მიედიავართ, გზაში უნდა დაგტოვოთ, კიდე დიდი გზა გვქონება ქვეითათ სასიარულო.

— ოო, მე ორ იმდენსაც გავიველი! წამოიძახა მარკომ, გავიველი, როგორც იქნება. თქვენ ჯავრი ნუ გაქვთ, ოლონდ იმდენი სიკეთე მიყავით და წამიყვანეთ.

— ძარგათ მოიჯიქრე, სამი კვირის საგალია!

— არა უშავს რა!

— გზაც ცუდია.

— უველაფერს ავიტანო.

— მარტოთ-მარტოს მოგიხდება წასვლა.

— არაფრის არ მეშინია, ოლონდ დედა... შემიპრალეთ, შედით ჩემს მდგომარეობაში!

— ძარგი, კარგი!

ბავშვი მივარდა და დაუკოცნა ხელები

— Ო, კარგი! ჩაწექი ურემში და დაიძინე. ხვალ ოთხ საათზე გაგაღვიძებენ. ნახვამდის.

დილით ოთხ საათზე გამწკრივებული ურმები დაიძრა, თითო ურემში ოთხ ოთხი კამბეჩი იყო შებმული და იმდენივე მიზდევდა გამოსანაცვლებლათ. მარკოს გამოეღვიძა, მაგრამ ისევ მალე ჩაეძინა ტომრებში. როცა მზე მაღლა ამოვიდა, ქარავანი გაჩერდა. ტრიამელ მინდორში გააჩაღეს ცეცხლი, აუფიცხეს რკინის შამფურზე აგებული ხბოს მწვადები, ისაუზმეს ყველამ ერთათ, ცოტა დაისვენეს და გაემგზავრენ, იმავე წესით და რიგით.

ᲧᲝᲕᲔᲚ დღე, ხუთიდამ ცხრა საათამდის მგზავრობდენ. Ცხრა საათიდან საღამოს ხუთ საათამდის დაბანაკებული იყვენ, ხუთი საათიდან ისევ მოგზაურობდენ, ნეხრეები ცხენებით მიჰყვებოდენ და შეირეკავდენ კამბეჩებს. მარკო ცეცხლს აჩაღებდა, საკვებს აძლევდა საქონელს, ფანრებს სწმენდდა, წყალს ზიდავდა. მეურმეები მარკოს, თითქოს იგი მათი მოსამსახურე ყოფილიყოს, ძალიან ჯაფას აყენებდენ,—ბრიყულათ ეკიდებოდენ, დაუზოგავათ ამუშავებდენ, ძლიერ შორს გაგზავნიდნენ ხოლმე წყლის მოსატანათ, მძიმე ტვირთს ათრევინებდენ. Დაღალულ-დაქანცულს ღამითაც არ ჰქონდა მოსვენება ურმის რყევისა და ბორბლების ჭრიალის გამო. Ამას გარდა, როცა ქარი ატყდებოდა, ადგებოდა საოცარი მტვერი; შეძვრებოდა გადმოხურულ ურმებში და ისე გაგუდავდა

საცოდავს, რომ ალაბ-ც სუნთქვას ანებებდა და ალარც თვალებში ახედებდა. მოსხლეტილი ლაღალულლობისა და უძილობისაგან, ჩამოგლეჯილი, ჭუჭყიანი, დილით საღამომდის შეურაცხყოფილი ყმაწვილი, თანდისთან ეცემოდა სულით. ზნეობითაც დაიღუპებოდა, რომ ხანდის ხან ჰაინც მეთაურის ტკბილი სიტყვა არ მოსცხებოდა მალამოსავით იმის გულს. ხშირათ მიიკრუნჩხებოდა ყურეში, მიიჯარებდა დაკიკნულ აბგას ცხვირ-პირზე და დაიწყებდა მწარეთ ტირილს. დღითი დღე სუსტდებოდა და ნაღელიანდებოდა. მაახელდა ნამძინარევ თვალებს თუ არა, ისევ ის დაუსრულებელი, გულის მომწყველელი მინდერები, ისევ ის მორევი მტვრისა დახვდებოდა.

— მეღარ გავაწევ სალამომდის, უეჭველათ გზაში მოეკვდებიო —კენესით ჩურჩულობდა ხოლმე.

სარჯელი, შეურაცხყოფა თანდისთან ემატებოდა. ერთ დილას როცა მეთაური იქ იყო, ერთმა მეხრემ გალახა მარკო იმიტომ, რომ წყალის მიტანა დაუგვიანა. სხვებმაც წაჰკრეს კისერში და თან ემასხრებოდენ უცნაურის სიტყვებით.

— ესეც შენ, მაწანწალა! მიუტანე დედა-შენს.

ბავშვი ვასკდა გულზე. ბახდა აკათ და სამს დღეს და ღამეს იწვა გადახურულ ურემში, მეთაურის მეტი ჯრაევინ ეკარებოდა, ის მიაწოდებდა წყალს, მაჯას უსინჯავდა. ბავშს ეგონა ეს არის ვკვდებიო, და სასოწარკვეთილებით ეძახოდა დედას.

— დედა, მიშველე, ჩემო დედა! მომხედე, ვკვდები

ეს არის! ველარ მოვესწარი შენს ნახვას, ჩემო საბრალო დედა! ჩემს გვამს გზაში ნახავ მტაცებისაგან დაგლეჯილს...

დაიწყობდა გულზე ხელებს და ლოცულობდა.

მეთაურის ყურის ვდებით და მოვლით მარკომ სწორეთ იმ დროს მოიხედა, როცა უსაშინელესი მგზავრობა მოელოდა, როცა მარტოკა უნდა დარჩენილიყო. ორი კვირის მგზავრობის შემდეგ, მიატანეს იმ ალაგას, სადაც გზა იყოფოდა. მეთაურმა გამოუცხადა მარკოს, რომ უნდა დაშორდენ ერთმანერთს. ასწავლა, საით ან როგორ უნდა წასულიყო, მოხერხებულათ გადაჰკიდა აბგა და სიქარით გამოეთხოვა, რადგან გული აუჩვილდა. მარკომ ძლივს მოასწრო კოცნა. აქნამდის ისე მკაცრად ეპყრობოდა, მათაც კი ეტყობოდათ, რომ შეებრალათ ყმაწვილი, როცა მარტო დარჩა მიწდორში, მიმავალნი ანიშნებდენ, მარკოც უქნევდა მათ ხელს და ემშვიდობებოდა, სანამ არ დაიმალენ სიშორისა და მტვრის გამო; შემდეგ ჩაკიდა ბაეშვა თავი და გაუდგა გზას.

ამდენი ხნის სულ მინდვრებსა და ველებში ნამგზავრები მარკო ძალიან გამხნევდა, როცა დაინახა გარშემო მაღალი, ერთი მეორეზე გადახლართული, ამწვანებული და თავგადათეთრებული მთები,—ალპი მოაკონა მას ამ სანახაობამ... Oითქოს თავის სამშობლოს დაახლოვებოდეს. ეს იყო ანდის მთები, ამერიკის ნიადაგის ზურგი, უზარ-მაზრათ გადაბორკილებული, მთელი ამერიკის მიდამოზე გადაჭიმული

სამხრეთის კიდით ჩრდილოეთის კიდემდე ას-ათ გრადუსის(*) სიგრძეზე. მარკო მით კიდე უფრო ნუგეშობდა, რომ ჰაერი გათბა. მარკო შორ-შორს მოსახლობასაც ხედავდა და დუქნებსაც, სადაც საჭმელს ყიდულობდა ხოლმე. აქა-იქ ცხენოსნებიც შემოეყარენ. დრო გამოშვებით იგი ხედავდა, მიწაზე მორთხმით მჯდომარე ქალებს, ბავშვებს და ერთ ნაირ ჯურის ხალხს, რომელსაც ქანგის ფერი და მედიდური სახე ჰქონდა და თვალების კილო ბრუნდეთ გაკრილი. ესენი ამერიკელი ინდოელები იყვენ.

პირველი დღე მარკომ, რაც ღონე ჰქონდა იარა. ღამით ხის ძირში დაიძინა. მეორე დღეს ბევრათ მოუკლო ნაბიჯს. არც წინანდელი მბნეობა ჰქონდა. ფეხსაცმელი გაუცვდა და ფეხები დაუსკდა. ბლიხა საჭმლისაგან გულის რევა დაუწყო. ღამ-ღამობით ძალიან ეშინოდა, გაგონილი ჰქონდა, რომ აქეთა მხარეს გველები იცისო და სულ იმათი წიეილი მოესმოდა. ხან შეჩერდებოდა ხოლმე და ხან გარბოდა შიშით აკანკალებული. ბოლოს თავის-თავის სიბრალული აიტანდა და მორთავდა ხოლმე ტირილს.

— დედა-ჩემმა რომ იცოდეს ეხლა, რომ ასე დაძაბუნებული ვარ! შცვებ მოაგონდა და იმავ წუთში გაიმხნევა გული.

შიში რომ სრულებით გაეფანტა, მარკო, დაწერილებით იგონებდა დედა-მისს. რას ელაპარაკებო-

---

*) გრადუსი 105 ვერსია.

და, როცა ზენუიდან მოდიოდა, როგორ აძინებდა, ახვევდა თავით ფეხამდის საბანში, რ.ოგორ ეტყოდა ზოლმე, მოდი, მოდი, ჩემო სიხარულოვო... აიყვანდა, ჩაიკრავდა გულში და დიდხანს იყო დაფიქრებული...

— სადაც უნდა იყო, მოგნახავ, ჩემო დედა! როცა იქნება, უეჭველათ ბოლო მოეღება ამ გზას!...

ამ ფიქრებით მიდის და მიდის მარკო და უყურებს უცნაურ ხეებს, შაქრის მცენარეებს, თვალ უწვდენელ სათიბებს და მოშორებით ამწვანებულს მთებს. მათი მაღალი მწვერვალი თითქმის ებჯინებოდა მოწმენდილ ცასა. ხუთმა, ექვსმა დღემ და ერთმა კვირამაც გაიარა; ღონე თანდათან აკლდება, ფეხებიდამ სისხლი სდის. დასასრულ, მზის ჩასვლის დროს უთხრეს ბავშს:

— ტუკუმანამდი ხუთი მილიაო.

მარკომ, სიხარულით ფეხი ააჩქარა, თითქოს ერთი ნაბიჯიც არ გამოედგას, მაგრამ მალე უსუსტა ღონემ და მოსხლეტილი დაეცა ხვევის ნაპირას; გული მაინც სიხარულით უტოკავდა; არასოდეს ცა ასე მშვენიერი არ სჩვენებია, როგორც ეხლა; მოსვენებული იწვა მწვანეზე და ფიქრობდა:

-- სადა ხარ ეხლა, ჩემო დედა? რას ფიქრობ? იქნება შენც ცას შეჰყურებ? ბაიხსენე შენი მარკო. ასე ახლოს არის შენთან!...

საცოდავ მარკოს რომ სცოდნოდა, ამ დროს რა მდგომარეობაში იყო დედა-მისი, ყოველ ღონეს

მოიკრეფდა და ერთი საათით ადრე მივიდოდა მასთან. ის გაჭირვებული ავათ-მყოფი იწვა მდიდრულის სახლის ქვეითა სართულში, სადაც სცხოვრობდენ მეკინესნი. ამ ოჯახობამ მომეტებულათ შეიყვარა ეს დედა-კაცი და ძალიანაც პატრონობდენ მას. საწყალი ქალი უქმოობდა, როცა მეკინესებს მოუხდათ უეცრათ აქეთკენ გადმოსახლება. არც აქ შეიქმნა უკეთ. ამას გარდა რაკი ქმრისა და ბიძაშვილისაგან წერილების პასუხი არ მოსდიოდა, ფიქრობდა, უთუოთ უბედურება რამ არის ჩემს ოჯახშიო. სულ მუდამ ცუდი ამბის მოლოდინეს ვერც წასვლა გაებედნა სამშობლოში და აქაც მწარეთ იტანჯებოდა. ამ დარდით დღითი-დღე მიემატა ავათმყოფობა, ბოლოს მძიმე სნეულება გამოაჩნდა. უკანასკნელს ორ კვირას მდებიარე ავათმყოფათ იყო და ამბობდენ, რომ მიუცილებლათ წყლულის გაკეთა არის საჭიროო, რომ სიკვდილს გადარჩესო...

იმ წამში, როცა მარკო თავის დედას უხმობდა, მეკინესი და მისი ცოლი იდგენ ავათმყოფის ლოგინთან და ცრემლით ეხვეწებოდენ, გაებედნა გაკეთა, მაგრამ არ შერებოდა; ერთის კვირის წინათ ექიმიც ურჩევდა.

— არა, ჩემო ძვირფასო ბატონებო,—უპასუხებდა მათ ის;—დამანებეთ თავი, ვერ ავიტან; ვიცი, რომ გაკეთის დროს მოვკვდები. ასე მოვკვდე, ის მირჩევნია. სიცოცხლე ჩემთვის მაინც აღარაფრათ ღირს. ჩემთვის ყველაფერი გათავდა. უფრო სიამოვნებით

მოვკვდები, სანამ არ ეიცი, ჩემი ოჯახობა რა მდგომარეობაშია.

ბატონები ამხნევებდენ და არწმუნებდენ, რომ თვითონ იმათ მიიწერეს ბარათი ბენუას და უეჭველათ პასუხი მოვა რამეო; ეხვეწებოდენ, შენი შვილების გულისათვის მაინც ეცადე, უკეთ გახდეო.

შვილების მოგონება კიდევ უფრო უძლიერებდა ტანჯვას და უკარგავდა უკანასკნელ ღონეს.

შვილებო, ჩემო შვილებო! დაიწყებდა ხელების მტვრევით ტირილს. იქნება აღარც კი არიან ცოცხლები! უკეთესია, მეც მოვკვდე; დიდათ გმადლობთ, ჩემო ძვირფასო ბატონებო, მაგრამ ჩემი სიკვდილი სჯობია. სულ ერთია, ვერც წყლულის გაკეთა მიშველის. მადლობთ, ექიმი ნულარ მოვა, არ მინდა. ბადავსწყვიტე, რომ აქ უნდა მოვკვდე, ჩემი წერა ეს ყოფილა...

— ნუ ლაპარაკობ მაგისთანა სიტყვებს, — მიაძახებდენ ხოლმე.

დაიწყობდა ხელებს გულზე, დახუჭავდა თვალებს და როგორც მკვდარი მიეცემოდა დავიწყებას. ბატონები მწუხარებით დასჩერებოდენ ამ საკვირველ დედას, რ..მელიც კვთილის და პატიოსანის შრომით ოჯახის დახმარებისთვის გადმოიკარგა რამდენისამე ათასის მილის სიშორეზე და აქ კვდება ტანჯვასა და მწუხარებაში.

მეორე დღეს, დილით ადრე, ჩვენი მარკო წელში მოხრილი, კოჭლობით, მაგრამ მხიარულის სახით

შემოვიდა ტუკუმანში. ტუკუმანი ერთი საუკეთესო ახალი ქალაქთაგანია არგენტინის რესპუბლიკაში. მარკოს ეგონა, ისევე ქორდოვაში, როზარიოში, ანუ ბუენოს-აირესში ვარო; იმნაირივე ქუჩები, იმნაირივე თეთრი სახლები, მაგრამ გარშემო მშვენიერი მცენარეობა, სურნელოვანი ჰაერი, გასაკვირველი სინათლე და მოწმენდილი ცა, რომლის მსგავსი იტალიაშიაც არ უნახავს. ზულის ღელვით მიდიოდა ქუჩა-ქუჩა, იკერიტებოდა ფანჯრებში და კარებში, რანდენი ქალი შეხვდებოდა, ჩაჩერდებოდა იმ იმედით, იქნება დედა-ჩემს შეეხვედეო... ყველასთვის უნდოდა ეკითხნა, მაგრამ ვერ გაებედნა ვერაფისი შეჩერება. ძარებისა და ჭიშკრებიდან გაკვირვებული მისჩერებოდენ, ჩამოგლეჯილსა და დამტვერიანებულს ყმაწვილს, რომელსაც ეტყობოდა შორიდან მგზავრობა. მარკო ეძებდა იმგვარ სახეს, რომელსაც გაებედვინებია, ეკითხა თავის გულით საძებარი. შეცრათ მოჰკრა თვალი დუქნის დაფას, რომელზედაც იტალიური სახელი ეწერა! იქ ისხდენ ერთი ხათვალებიანი კაცი და ორი ქალი. მარკომ როგორც იქნა, გაბედა მათთან მისვლა.

— ბატონებო, არ შეგიძლიათ მითხრათ, სად ცხოვრობს ინჟინერი ენეკინესის ოჯახობა? ჰკითხა მან.

— ინჟინერი მეკინესისა? ჩაჰკითხა ეაჭარმა.

— დიახ, წყნარათ გაიმეორა ყმაწვილმა.

— მეკინესის ოჯახობა ტუკუმანში არ არის.

საშინელი სასოწარკვეთილებით შეჰყვირა საცოდავმა, თითქოს დანა დაჰკრეს გულშიო; ეაჭარი და ქალები ფეხზე წამოხტენ.

— რა იყო, ყმაწვილო? რა დაგემართა? ეკითხებოდა მედუქნე. შეათრიეს ძალათ დუქანში და დააჯდინეს. რა დაგემართა? სული მოიბრუნე. მეკინესი თუმცა აქ არ არის, მაგრამ ახლოა, რამდენიმე საათის გზა თუ იქნება.

— სადა? სად არის? და ამ სიტყვებით გაოცებულებული მარკო წამოხტა.

— Oუთხმეტი მილი იქნება აქედან. სალადინის ნაპირზე შაქრის ქარხანა არის გაშენებული, იქვეა მეკინესის სასახლეც, რამდენსამე საათს მიხვალ.

— ერთის თვის წინათ მეც იქ ვიყავი, თქვა მუშამ, რომელმაც ამათ ყვირილზე მოირბინა.

ბაფითრებულს მარკოს თვალები გაუფართოვდა სიხარულით და საჩქაროთ ჩაკითხა:

— ნახეთ ისა... მეკინესის მოსამსახურე. იტალიელი დედა-კაცი?.

— ბენუელი? დიახ, ვნახე.

მარკოს სიცოლ-ტირილი აუტყდა.

— მითხარით, საით უნდა წავიდე? ჩქარა მასწავლეთ, თქვენი ჭირიმე.

— მოიცა ცოტა, იქამდის მთელი დღის სასიარულოა, მიაძახეს ყველამ. დაღალული ხარ, დაისვენე და ხვალ წადი!

— არა, არა! მასწავლეთ, საით წავიდე, თუნდა მოვკვდე, ამ წამს უნდა გავიქცე!

არა ვისი სიტყვა ალარ ესმოდა.

— წადი, ღმერთი შეგეწიოს!

— ფრთხილათ იყავი, ტყით უნდა იარო.

— გზა დაგვილოცავს, იტალიელო ბაეშო!

მუშამ გააცილა მარკო ქალაქს გარეთ, უჩვენა გზა და აუხსნა, როგორ უნდა ეელო; რამდენსამე წამს შემდეგ, კოკლობით მიმავალი ყმაწვილი მიეფარა ტყეს, რომელზედაც გზა მიდიოდა.

ბეათ-მყოფისათვის საშინელი იყო ეს ღამე. საშინელი ტკივილები გულის მოსაკლავათ აკიელებდა. ბოდვაც დაიწყო. მომვლელი დედა-კაცები შეშინდენ, ქალბატონი ყოველს წამს შემორბოდა, ყველას ეშინოდა, რომ ექიმი ეელარ მოუსწრებდა, თუნდა კიდეც გაებედნა წყლულის გაკვეთა, რადგან ის დილით უნდა მოსულიყო. როცა გამოერკვეოდა ხოლმე, ეტყობოდა, რომ იმდენათ მას ტკივილები არ აწუხებდა, რამდენათ ოჯახობის შორს ყოფნა. ლონე მიხდილი, წაიელებდა ხოლმე თმაში ხელს და საშინელის მანჭვით დაიწყებდა ტირილს:

— ღმერთო! ღვთის მშობელო! სიკვდილი... ესე შორს!. სიკვდილი მათ უნახავათ!. ჩემო შვილებო... დაობლებულებო... უდედოთ!.. ჩემო სისხლო და ხორცო... ჩემო მარკო, ის ხომ სულ ბაეშია ჯერ... ჰეთილი, ალერსიანი... თქვენ არ იცით ქალბატონო, რა ბაეშია... როცა მოედიოდი. . ძლიეს მომაგლიჯეს გულიდან! ბულის მოსაკლავათ ღრიალებდა... უთუოთ გრძნობდი, შვილო, რომ ეელარ ნახავედი დედა-შენს .. ჩემო პაწაწა! მეგონა, ვერ აეიტანდი იმის მოშორებას. უმჯობესი იყო, მაშინ მომკვდარ-

ვიყავი მათთან, როცა ვეთხოვებოდი... მეხი უნდა დამცემოდა... შდედოთ, მერე რა რიკ ვუყვარდი... ისე საჭირო ვიყავი მისთვის... შდეთოთ... მათხოვრათ უნდა იაროს... სამოწყალო ითხოვოს... ჩემი მარკო უნდა დაიმშეს... ოო, ღმერთო!.. არა, არ მინდა სიკვდილი! მქიმი! დაუძახეთ ჩქარა ექიმს! ბამიკვეთოს წყლული! თუნდა სულ ამკუწოს, მხოლოდ ვიცოცხლო! სიმრთელე დამიბრუნდეს! მივდივარ! მივრბივარ ხვალ, არა, ეხლავ ამ წუთას! მიშველეთ, ექიმი!..

ქალები აკავებდენ, ამშვიდებდენ, უნდოდათ გონებაში ჩაეგდოთ, ეუბნებოდენ — ღვერთია მოწყალე, ნუ გეშინიაო. ის ხელ-ახლათ მოჰყვებოდა ტირილს, წაიელებდა ჭალარა თმაში ხელს და ბავშვივით გულ-ამომჯდარი იმეორებდა.

— ჩემი ბენუა! ჩემი სახლი! თვალუწვდენი ზღვა! ოო, ჩემო მარკო! სადა ხარ, საბრალო შვილო?..

შუა ღამე იყო... მისმა მარკომ რამდენიმე საათი ხვევის პირზე გაატარა და ეხლა მიდიოდა ტყეში. უზარ-მაზარი ხეები, თვალ-უწვდენელ სიმაღლემდის გადაწნულ-გადახლართოდენ ერთმანერთს და იქ მათ ტოტებს მჭიდროთ შეეკრათ თალი; შიგა და შიგ, ოდნავ თუ გამოსჭვერეტდა მთვარე, რომლის სინათლე-ზედაც ყმაწვილი ხედავდა ათას გვარ ფიჩხებს, ხვეების ნამტვრევებს და მიგრეხილ-მოგრეხილ ფუტუროებს, რომელნიც ისე არეული იყვენ ერთმანერთში, თითქოს ჩხუბი და ალიაქოთი ჰქონიათო. ზოგი

თითქოს კოშკის ნანგრევი არისო, მედიდურათ წამოწოლილან და მათზე ამოსული ხშირი მცენარეები ისე მიჰედილან და მიწოლიან ერთი მეორეს, რომ გეგონებოდათ ხელჩართული ომი აქვთ ერთის ნაბიჯით გასწრებისთვისო.

დიდებული შეხედულება, წყობილი ურიგობა და უზარ-მაზარი სიდიდე მათი საამო სურათს ხატავდა ბუნების ძალისას. თითო წამს ყმაწვილი შეჩერდებოდა გაკვირვებული და გაშტერებული, მაგრამ იმავ წუთს მისი გონება დედა-მისისაკენ მიეშურებოდა. ფეხებ დასისხლიანებული ამ საშინელს ტყეში მარტოთ მარტო იყო. ხანდის-ხან კარაეს თუ მოჰკრავდა თვალს, რომელიც ამ უზარ-მაზარ ტყეში, ჭიანჭველას სოროს ოდენი თუ ჩნდა. ყმაწვილი დაღლილობას ვეღარ გრძნობდა შიშით. ტყის სიდიდე აღონიერებდა, დედის სიახლოკე ამხნევებდა. ოკეანის გამოელა, იმდენი ტანჯვისა და ნაკლულევანების ატანა ამაყათ აჭერინებდა თავს. ქეთილშობილური სისხლი გენუელისა, გაბედულის და მედიდურის ნაკადულით ასკდებოდა მის გულს. ბასაკვირველი კიდეე ის არის, რომ აქამდის დედის სახე, გამოურკვევლათ ნისლში გახვეულსაეით ეჩვენებოდა; ეხლა კი ცხადათ, გარკვეეით უდგა წინ, გაბრწყინებული, მობაასე! ხედავდა იმის ღიმილს, მის სახეს; თითოეული იმის სახის ნაწილი მტკიცეთ ებეჭდებოდა გონებაში; ცხოველის მოგონებით გართული, ჩვენი მარკო სულ უმატებდა ნაბიჯს. ბამოუთქმელი სათნოება თანდა-თან იზრდე-

ბოდა მის გულში. სიხარულის ცრემლები, ერთი მეორეს მოსდევდენ მის სახეზე. მიდიოდა ღამეში და სიბნელეს ეჩურჩულებოდა იმ სიტყვებს, რომელიც მალე უნდა წარმოეთქვა.

— აი, მეც აქა ვარ, ჩემო დედა! აწი აღარ დაეშორდებით ერთმანერთს. ერთათ დავბრუნდებით სახლში. აქ აღარ დაგტოვებ, გემზე შენთან ვიქნები, ჩაგეკვრები გულში და ვერავინ, ჩვენ სიცოცხლეში, ვერ გაგვაშორებს.

დილით რვა საათზე, ახალ-გაზდა ექიმი, თავის თანაშემწით იდგენ ავათ-მყოფის ლოგინთან, უკანასკნელათ კიდევ ცდილობდენ, დაეთანხმებიათ წყლულის გაკვეთაზე. მეკინესი და მისი ცოლიც შეუჩდენ, მაგრამ, დედა-კაცი რაკი ფიქრობდა, რომ ძალა და ღონე აღარა მაქვს, იმედი არ ჰქონდა მას ექიმობის გადატანისა და დარწმუნებული იყო, რომ, თუ გაჭრის დროს არ მოკვდა, რამდენისამე საათის მეტს მაინც ვეღარ იცოცხლებდა.

— დარწმუნდით, რომ გაგიჭრით თუ არა, სრულებით განთავისუფლდებით, არწმუნებდა ექიმი; მხოლოდ გაბედეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში კი სიკვდილი მიუცილებელია!

— არა, კვნესით მიუგო მდებიარე ავათმყოფმა. იმდენი ღონე კიდევ მაქვს, რომ სიკვდილს შევხვდე, და მეტ წვალებას კი ვერა!.. ბმადლობთ ექიმო... ასეთი ბედის ყოფილვარ... მომასვენეთ.

ექიმი ჩამოეცალა. ყველამ მიანება თავი. მო-

მაკედაემა ქალბატონს მიმართა.

— ძვირფასო ქალ-ბატონო! ჩემი უკანასკნელი თხოვნაა ეს. Ოტა ფული მაქვს და რაღაცა ნიეთები... ბაუგზავნეთ ჩემს ოჯახობას. ღეთის შეწევნით იქნება ცოცხლები არიან, გული ასე მიგრძნობს სიკეთილის ჟამს. ჰქენით იმდენი სიკეთე, წერილი მისწერეთ, რომ ყოველთვის მახსოვდენ ისინი... მათთვის ელოცულობდი და შვილებისათვის ეშრომობდი... ჩემი სამწუხარო ის არის, რომ ისინი ველარ ვნახე... მისწერეთ, რომ მაჰაცურათ, მშვიდობიანათ, სრულ გრძნობაში და მათ ლოცვაში დაველიე სული. მთხოე ქმარს და უფროს შვილს ყური უგდონ ჩემს პატარა მარკოს. უკანასკნელის სულის ამოსვლამდის ის მახხოვს...

შეცრათ დაიკრიფა ხელები და განძვინებულის ხმით წამოიძახა:

— მარკო, ჩემო სიცოცხლე, ჩემო სიხარულო!... ჩემო პაწაწინა მარკო!...

მიიხედ-მოიხედა, მეკინესის ცოლი ველარ დაინახა, ჩუმათ გაიყვანეს მეორე ოთახში. Თვითონ მეკინესს დაუწყო თვალიერება, არც ისაა... დარჩენ მარტო ორი მოშველელი დედა-კაცი და ექიმის თანაშემწე. მეორე ოთახიდან, რაღაც ხმაურობა მოისმის, აჩქარებული ფეხის ხმაა. ბაცხარებული ჩურჩული, კრძალული გაკვირვება. Ავათ-მყოფი კარებს მიაჩერდა. რამდენსამე წამს შემდეგ შემოვიდა ექიმი, რაღაც უჩვეულებრივოთ იყურებოდა. მეკინესი, და მი-

სი ცოლიც, შემოვიდენ. იმათაც სხვანაირი სახე დასდებოდათ. სამივენ ავათ-მყოფს უყურებდენ და ჩურჩულობდენ.

— ერთბაშათ სჯობია, უთხრა ექიმმა მეკინესის ცოლს.

ავათ მყოფმა გაიგონა, მაგრამ ვერ გაიგო.

— იოზეფა, — ათრთოლებულის ხმით უთხრა ქალბატონმა, რაღაცას გახარებ. მოემზადე საამო ამბისთვის. მომაკვდავი გაშტერებით შეაჩერდა.

— ახალი ამბავი ისეთია, რომ ძალიან გასიამოვნებს.

ავათმყოფმა გამოაქყიტა თვალები.

— ცოჩაღათ იყავი, საყვარელ ადამიანს გაჩვენებ.

მომაკვდავმა ძალა დატანებით წამოსწია თავი და ხან ქალბატონს მისჩერებოდა და ხან კარებს.

მეკინესის ცოლი სანთელივით გაფითრდა.

— ის სასიამოვნო სტუმარი... ეს არის ეხლა მოვიდა.

ვინა? ბიჭივით წამოიძახა დედა-კაცმა, წამოვარდა ლოგინიდან, გაშეშდა, უცნაურათ ქაჩავდა თვალებს და თითქოს მოჩვენებას ეხვდაო, საფეთქლების სრესა დაიწყო.

ჩამოგლეჯილი, დამტვერიანებული მარკო იდგა კარებში, ექიმს ეჭირა ის.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო! ყვიროდა დედა.

მარკო მოვარდა. დედამ, როგორც გაცოფებულმა ვეფხვმა, შემოახვია მას გამხმარი ხელები და ჩაი-

კრა გულში. ხან იცინოდა, ხან ტიროდა უცრემლოთ, და ბოლოს დაქანცული დაეცა ბალიშზე. შეცრათ ისევ წამოეარდა გიჟივით, ტკბილათ ამოიკვნესა, შემდეგ გაისმა გაშმაგებული კოცნის ხმა...

— როგორ გაჩნდი აქ? რისთვის?.. ნუ თუ შენა ხარ? მინ მოგიყვანა? მარტო? ქარგათა ხარ? რამოდენა გაზრდილხარ? შეილო, ვითომ შენა ხარ? მარკო, სიზმარი ხომ არ არის? ღმერთო! მიამბე, მომიყევი... მაგრამ არა, არა! ბაჩუმდი, მოიცადე...

შცებ გამოცვალა კილო და მიუბრუნდა ექიმს.

— ჩქარა, ექიმო, ჩქარა, მინდა მოერჩე. მე მზათ ვარ, ერთ წამსაც ნულარ დაჰკარგავთ. ბაიყვანეთ მარკო, რომ არაფერი გაიგონოს. მარკო, ჩემო კარგო, არაფერია, სულ უბრალოა. მერე ყველაფერს მიამბობ განა? მაკოცე ერთი კიდეე. აბა ეხლა წადი... ექიმო, მზათა ვარ...

მარკო გაიყვანეს, გავიდენ ყველანი, მარტო ექიმი და თანაშემწე დარჩენ, რომელთაც ჩაიკეტეს კარები. მეკინესის ცოლს ღნდოდა, მარკო მოეშორებია, ოთახში გაეყვანა, მაგრამ ყმაწვილმა არაფრისთვის არ ჰქნა.

— რა ამბავია! კითხულობდა გაშტერებული, რა დაემართა, დედა-ჩემს? რას უშერებიან?

— ბამიგონე,—ეუბნებოდა მეკინესი და ცდილობდა, როგორმე გაეტყუებია... აი რა, დედა-შენი ავათ არის... ბაჭრა უნდა წყლულისა. სულ უბრალოა, წამოდი ჩემთან, იქ უფრო კარგათ ბგიხსნი.

— არა, მე აქ დავრჩები. აქ მიამბე.

მეკინესს სიტყვები დაებნა, იჭერდა ყმაწვილს, რომელიც შეშინებული სულ კანკალობდა.

ბულ შემზარავმა კივილმა მოიცვა მთელი სახლი.

აქედან უარესის ხმით უპასუხა მარკომ.

— დედა-ჩემი! ჩემი დედა მოკვდა!...

— დედა-შენი გადარჩა, მიუგო კარებში მდგომმა ექიმმა...

ბავშვი დაეცა მის წინ დაჩოქილი.

— მმადლობთ, გმადლობთ ექიმო! რომ გადამირჩინეთ.

— ადექიო, უთხრა ექიმმა და წამოაყენა. მე კი არა, შენ, მამაცო ბავშვო, შენ გადაარჩინე დედა-შენი...

ა. ბ.

დასასრული.